მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN

ტომი IV
BAND IV

თბილისი
2007

ანტონ ვილდგანსი

ზევით ატყორცნილი მზერა

შეაჩვიე შენი მზერა ზეატყორცნილ შორეთს,
სად ღრუბელი აღმოსავლეთს უერთდება მდორედ
ანდა – სამხრეთს, სად ცეცხლისფერს ამოაფრქვევს ყვავილს...
მაგრამ როცა თვალს შეავლებ ვარსკვლავთ მხარეს, მბზინავს,
გაიხსენე ისიც, რასაც არასოდეს სძინავს,
გაიხსენე დედამიწა, ჩვენს ფერხთით რომ ყვავის.

სიახლოვის განცდა ტკბილი და სიშორის ვნება
მიწიერად გარდაქმნილი არის ნეტარება –
ამ ორთაგან ერთი გიჟის ჩაგვაცმევდა ხალათს.
მას, რაც არის, დაჟინებით ჭვრეტს გამჭოლი მზერა,
მერე, უცებ, არსებულსაც დაგვაცილებს ხელად
და შეხედავს ცას და მიწას, მზე რომ გადარკალავს.

მარტოობის ბედნიერება

სხვების გვერდითაც მარტო იყო, როცა ენება.
როგორ ნატრობდა სხვასთან ყოფნას და დაწყვილებას!
ახლა იხსენებს "მე"-ს უდიდეს გამოცდილებას
და მარტოობას ცნობს ერთადერთ ბედნიერებად.

იღვიძებ. დგები. დილას, უცხოს, აცილებ ზღუდეს.
ირგვლივ მოწყალე სიჩუმეა, პირშებურვილი,
შენს პირველ მზერას არ ეხლება უცხო სურვილი,
მაგ შენს სურვილთან შეერთება კიდეც რომ სურდეს.

დაგცდება სიტყვა — ხმას გამოსცემ მჟღერსა და ამოს.
გულს მოუსმენ და... "ბარაქალა!" — გინდა, რომ უთხრა.
ამოისუნთქავ — შენ გემონვის ისევე სუნთქვა.
თვალს გაახელ და... მზერა მზისკენ გაფრენას ლამობს.

შენ შეეჩვიე ყოველივეს მორიგ დღესავით —
და, შესაძლოა, ფიქრის ღირსად არც ჩაგეთვალა,
მაგრამ დღეს მართლაც სხვანაირად იგრძენ ქვეყანა,
რადგან ნამდვილი საოცრება სწორედ ეს არის.

ნუთუ, ამ გზაზე ეს პატარა ბუჩქი არ მდგარა
სხვა სურვილებში, სხვა კანონში ანდა სხვა "მე"-ში?
ნუთუ, გუშინ არ ნეტარებდა სხვა სიმწვანეში?
ნუთუ, ზამთარიც გასულა და თოვლიც დამდნარა?

შენ მას უეცრად აღმოაჩენ და გტოვებს იჭვი,
ეფერები და მის რტოებთან გინდება შერთვა.
ამ ციცქნა ბუჩქში გაგიღიმა, თითქოსდა, ღმერთმა

და გისახსოვრა მარტოობის მოწყალე ნიჭი!

გახსოვს, მდუმარეს, მრისხანედ რომ მოსთხოვე შველა,
ითხოვდი, დღეს რაც გერგებოდა და არა — ხვალ-ზეგ...
ხედავ, ბუჩქიდან გამოსულა, გეხება მხარზე
და მის გარშემო ანგელოზი დაფრინავს ყველა.

დაწყევლილ გრძნობებს სათნოების სინათლე რკალავს,
სისავსეს ჰმატებს ფერდაკარგულ სტრიქონებს, მწარეს,
მერე კი, თავის ზედროულ და წარუვალ ბწკარებს
იმ ხელს მიანდობს, ამ წუთშიც რომ აწვალებს კალამს.

SuadRis dasveneba

ქუჩის კიდეზე — მთლად გასხლული და კანგაცლილი
ყრია ხეები და არცა ვარ მეტის მსურველი.
ჩემს გვერდით ისევ აწოწილა ბუღის აჩრდილი,
ფისის და ხვატის მოსდებია ქუჩას სურნელი.

აქ არის ჩემი სასთუმალი — დავწვები ჩუმად,
თითქოს, სიზმრებიც დამიხურავს მსუბუქ ნაბდებად.
ზევით — უჩუმრად მირონინობს ღრუბლების ქულა,
ქვევით — ვნებების ნაკადული ჩქეფს და ქაფდება.

გაორებისგან ვერც ჩემს ფიქრებს ვერასდროს ვიხსნი:
გონს ათრობს ჩუმი აღმაფრენა, აზრთა გალობა,
თუმცა, სიღრმეში ბინდისფერი ბობოქრობს სისხლი,
ქვევით მეწევა მიწიერი დაღმავალობა.

იქ ბედისწერის სიმღერა ჟღერს, კუშტი და მტრული
უფსკრულზე, ხალხი რომ აქცია მტრებად, მსტოვრებად,
იმ სიცოცხლეზე, მთლად მუქთად რომ გაყიდა სული,
სულზე, რომლითაც შეიგრძნობა მაინც ცხოვრება.

ბგერა სასულე ინსტრუმენტში ვერ დაეტია —
მსმენელისათვის ნათელია ყოველი ახლა:
კვლავ რომ ბობოქრობს, ეს მაცთური ელემენტია,
დაბლა — ვნებებს რომ აბატონებს და დუმილს — მაღლა.

sayvareli midamosadmi

აი, უსაყვარლესი აიზიდნენ ბორცვები,
შორეულ სილურჯეში თავს კვლავ ჩემს წინ დახრიან.
ცის კიდეზე ღრუბლები, მრგვალები და მორცხვები,
იმდენს ინავარდებენ, რომ ერთმანეთს დაღლიან.
ეტლს აჩერებს მეეტლე და გახედავს ოცნებით
მხარეს, სადაც ნაცნობი სარკმელი და სახლია.
მგზავრი, სტუმრად მოსული, მასპინძლობას ვთანხმდები,
მოწიწება შემიპყრობს, სხვა ვიყავ და სხვა ვხდები.

გუშინ სულ სხვას ვფიქრობდი. სხვა მტანჯავდა სახმილი —
გუშინდელი ვაება დღეს არაფრად ითვლება,
გუშინ, გზებით დამღლელით, მოღოღავდა მარხილი,
დღეს კი, აწმყოს წყალობით, ცრემლი შვებად იცვლება.
თქვენი იყოს სიცოცხლე, საათებად დათვლილი,
დღეს, რაც მაკლდა, პეშვები სწორედ იმით ივსება.
გული, მხნე და მღელვარე, თავისად დაიგულებს
ამ საყვარელ ხმასა და ამ მშობლიურ ფიგურებს.

მაგრამ ქროლვა ჯერ ისევ ქარზე უსწრაფესია!
თვალი ამჩნევს სურათებს ტკბობის სიხალვათეში,
ეფერება მდელოებს, რომ აკურთხა მესიამ,
ბებერ ქვაზე ისვენებს გაზაფხულის ნათესი.
გამოარჩევს ღრუბლებში, რაც მზეს დაუკვესია,
ჩიტის ფრენა იტაცებს შორს, უანდამატესი.
ის მოვლენებს განმარტავს, თითქოს, იყოს მისანი,
რადგან აქ ყველაფერში განცდაა და ნიშანი.

აჰა, სველი ქუჩები, იქვე — გრძელი სკამები,

წისქვილები – ფიჭვების ფსკერზე ჩაშენებული...
მოვარდნილო წყაროო, გრძნეულ აკამკამებით
აქაფდი და დასჭექე სიმღერა შენებური;
სიხარულო, მაჩუქე ბობოქარი წამები,
რაშო, კვნიტე სადავე, ვერცხლით დამშვენებული,
აჩუხჩუხდი, კრისტალო, ახტი, როგორც გორგალი,
ოღონდ არ დამიმსხვრიო მარჩენალი ბორბალი.

ახლა მაღლა მივიწევ! წიწვებით მოფენილი
მიწა ფესვით იმაგრებს ბრგე ბოძების სიმძიმეს.
მახლობელი ბუჩქიდან ჩანს აბრა, ვით წერილი,
შველი კრთება, ხეთა შუქს ისიც ვერ აიცილებს,
გაგაბრუებს ხეების სუნი, თაფლად დენილი,
ისტორია გვიყურებს – დააკვირდი იმ ძირებს!
თოვლად გადმორეკილა ჩრდილოეთი სრულიად,
მიწაცა და მწვერვალიც უკვე დალაშქრულია.

კლდე ვარ გაქვავებული და სიცილად არ მყოფნის
ქვის სამტეხლო მანქანის ურჩი შემოტევები
და ხუმრობით ვიფიქრებ: მწვერვალი ვარ ამ სოფლის,
რადგან ჩემი სიმაღლით მთის კენწეროს შევები.
თავს ატლასად დავსახავ, გორაკებით დახორკლილს,
დგანან ჩემი მოძმენი, ვით შავტუხა დევები.
ეს შიშველი კისერი, ჯერაც გაუღუნავი,
ცის თაღივით მყარია, ვარსკვლავივით მბრუნავი!

ო, ამ ძალას, ამ სურვილს ვერასდროს დავუსხლტები,
მათ ემონვის ნერვი და კუნთი თითოეული;
აქ ფიქრს, როგორც ფალავანს, გამოებმის მუშტები,
აზრთა მწვერვალისაკენ მიისწრაფის გრძნეული.
ღვთაებრივ ***მოთამაშეს***, ყველგან უფლის რუს ხვდები,

როცა გუშინ იყავი მორჩილი და ეული.
რა გინდ, მიწას მოწყდეს და ღმერთი ჰყავდეს თავდებად,
სულის მარადისობა მიწიდან იბადება.

ადრე, მიწავ, შენს ძახილს ზურგს ვაქცევდი პასუხად.
მშლიდა, ისე მხიბლავდა, ქალაქი დიდებული –
რაც მან მოძღვარს წაართვა, სწავლის მძებნელს აჩუქა
და მოედო ქვეყანას შეგირდების კრებული.
არემარემ, ახლა რომ ჩემთვის გამოაშუქა,
მყოობადით განკურნა ჩემი სული, ვნებული,
დაამარცხა იოლად სცილაა თუ ქარიბდა,
მისი ნაბუტბუტარი ლოცვად ჩამოყალიბდა.

ბინდდება და სიბნელეს აწყდებიან ჭოტები,
მერე მათი ჩრდილები ხიდან ხეს ეფინება.
ბილიკები სოფლისკენ ისე მიაბოტებენ,
ბაღს აფხიზლებს მათი ხმა, სიმღერა და გინება.
რეკს საათი, თავის დროს ჩუმად დანალოდები,
სულს შინის გზა ეძახის, მიდის და ეღიმება!
თვალი ახლა თავის თავს უმზერს და უღრმავდება.
ყველაფერი იწყება. არაფერი მთავრდება.

მე ქალაქის შვილი ვარ

ქალაქელი ვარ. სხვებზე მეტად მიყვარს ქალაქი.
არსად მაქვს ქვეყნად სხვა ყურე და ძვალთშესალაგი.
მკილავს მავანი, მაგრამ, განა, ძალმიძს არ ვაქო
ცხელი ქუჩები, შავ ასფალტად მდნარი კარაქი –
დამცინის კორტოხს შეფენილი მტრული ბანაკი –
ჩემთვის შენ მაინც სიმღერა ხარ, ჩემო ქალაქო!

უშენოდ ალბათ ვერ ვიცხოვრებ და ვერ ვცხონდები,
შემიპყრობს შიში, როცა გტოვებ, როცა გშორდები –
ასე ნანატრ შვილს ვერ თმობს ხოლმე სადგურზე დედა...
გიახლოვდები, ვაგონს ადნობს ცრემლის ფანტელი,
დამივლის ჩუმი სიხარული და ჟრუანტელი,
როცა ბინდბუნდში შენს სინათლეს მწკრივებად ვხედავ.

გაზაფხულობით, როცა ფიქრით შორეთს გავცურავ,
ვიღაც ქალაქის განაპირას მიხმობს მაცთურად –
იქ ჩემი სკოლის შენობა დგას – მყარი, მაგარი.
იქნებ იმ ქუჩამ იდუმალი რამე მაჩვენოს,
ოდინდელივით, იქნებ, ახლაც აღმოაცენოს
ძველი განწყობა – კურთხეული, ლოცვისმაგვარი?!

აი, ადგილი, დრო რომელსაც ვერ ასნეულებს –
ფარდული, სადაც ვყიდულობდი კალმებს, რვეულებს,
ტყავის ჩანთით რომ მივძვრებოდი, აი, ვიწრობი;
აგერ ტაძარი, სადაც შობა რეკდა ზარებად,
სადაც პირველად სიცოცხლეში ვთქვი აღსარება,
აი, ის პარკიც, ტოლებთან რომ ვმამლაყინწობდი.

მერე კი, ძველი გარეუბნის სიბნელეს უცებ
დავუსხლტები და მივაშურებ საყვარელ ქუჩებს,
რომლებსაც მუდამ ლამპიონთა კრთომით ამკობდი...
გზას უნათებდი მაგ სინათლეს მინდობილ შვილებს –
მაშ, მოუსმინე შენს ერთ ნაწილს, მცირეზე მცირეს:
ჩემს გულში ყვავის შენი ბაღი, შენი წალკოტი.

ამ ჭრელ ნაკადში, შენს ქუჩებს რომ ყიჟინით ავსებს,
თავს ვერ ვაკუთვნებ მოხუცებულთ, ჭაბუკებს, ბავშვებს –
მე წერტილი ვარ, წაშლას ძლივს რომ გადარჩენია;
გზა-გზა ყიალი უცხოობის ჩემის მაცნეა –
მე შენს მიწაზე ერთი გოჯიც არ გამაჩნია,
დავეპატრონო, დავეუფლო და ვთქვა: "ჩემია!"

ავსტრიული სიმღერა

იქ თოვლია და ტბა ალპებს ირეკლავს,
იქ ჩანჩქერი კლდეს ეხლება უშავესს,
მტვრადქცეული, ლამის ქიმზე მიეკრას —
იხუვლებს და ქარხნებს აამუშავებს.

იქ ბორცვები უგრძნეულესს ჰგვანან მთებს,
მათი გული რკინის მადანს ანათებს,
იქ მთის ქანებს ჩაქუჩები ესხმიან,
იქ ორთქლია, იქ მარადი ცეცხლია.

იქ, ვაკეზე, დიან მდინარეები —
და წყლად მხოლოდ ოქროა და ვერცხლია.
იქ, ნაპირზე, ხილის ჭამით ერთობი,
იქ ვაზივით ღვლარჭნილია ფერდობი.

ვალი ახსოვთ, ქედს იქ ფუჭად არ ხრიან —
იქ ძელქვა და ღონიერი ხალხია —
მოთმინებით გადიტანეს რა დრონი!
იქ სუყველა არის სიტყვის პატრონი.

ქალაქელი საქმეს უფრთხის აღარა,
იქ მეგუთნემ თავის ოფლი დაღვარა.
ბედისწერის იქ არავის სჯეროდა,
მაინც ყველა ელოდა და მღეროდა.

როცა ღმერთმა მას ავსტრია უწოდა
და თავისი ხელი გამოუწოდა,
შექმნა იგი, შექმნა და გაუხარდა —
იმიტომ, რომ იგი უფალს უყვარდა.

ავსტრიული მრწამსი

მე თქვენ გიმღერით, მომავლიდან მოდიხართ ვინც კი,
წარსულს ვეკუთვნი, ამით მხნე ვარ და ძლიერი ვარ...
მე თქვენ გიმღერით, მაგ სიფიცხით, სიმართლით, რისკით,
მე ჭეშმარიტი ვენელი და ავსტრიელი ვარ.

ჩემო ქვეყანავ, დარდი გაწევს პატარა გულზე,
დროთა გრიგალმა შენს ხეს თითქოს დაატყო დაღლა,
შენ აღსავლის და ჩრდილოეთის კვლავ საზღვრებს უმზერ,
შტეფანის კოშკის გუშაგივით ირჯები ახლა.

აქ რაც დაცვივდა, ის ფოთლები შეაკვდა ღამეს
და მათთან ერთად ჩამოსხეპილ რტოებსაც ვტირი.
შენ მაინც გულად უფეთქავდი გერმანელ მამებს,
მთელი აღარ ხარ, მაგრამ ისევ მტკიცე გაქვს ძირი.

ასეთი იყო, ვუწოდებდით რასაც "ავსტრიას"
და იდუმალად გულის საჭრფოს ვსახავდით შორად.
ვინც ჩვენ შეგვეკრა, ზავს გვიდებდა, თითქოს, ასწლიანს,
სინამდვილეში, არ მივაჩნდით მისსავე სწორად.

ჩვენ შენს ძველ სახელს აღვიქვამდით ისე სათუთად,
ფსალმუნად, ლოცვად იღვრებოდა ყოველი წამი —
მილიონების ამოსუნთქვამ მიგისაკუთრა,
მილიონების წმინდა ბაგემ შესძახა: "ამინ!"

მათი გულიდან ეფინება არეს ერის ხმა,
თუნდ, ეს სიტყვები ჩამითვალონ შეშლილის ბოდვად,
წარსულის ყველა შეცოდება ღმერთმა შერისხა,

ხომ იცით, ცოდვა ყველა დროში დარჩება ცოდვად.

მათ რომ შეხედავ, უზრუნველი გგონია ჟამი,
ისე ილხენენ, ვეღარც მწველი ფიქრისთვის იცლი,
მათ სიძულვილის არასოდეს შეუსვამთ ჯამი,
არც ძალადობით გალეშილან არასდროს, ვიცი.

მთლად ბავშვებივით ენდობოდნენ საკუთარ სმენას,
კაცად რჩებოდნენ, ღალატობდნენ, როცა – თვითონაც –
მათ ერთგულების სიყვარული ასწავლეს ყველას,
მათი სიმღერა ყველამ იგრძნო და გაიგონა.

თავისუფლების ძიებისას ჰყვიროდნენ ნაკლებს
და მაშინ ჰპოვეს, იმედიც რომ დაჰკარგეს, თითქმის,
მათ მოთმინებას დღეს ყოველი მეორე აქებს,
თავისუფლადაც მათნაირი მორჩილი ითქმის.

იარაღს ნებით აჟანგებდნენ, ელოდნენ – ვიდრე
თვითონ უფალი და ხელმწიფე არ აკურთხებდათ,
სადაც კი იდგნენ, თურმე, ყველას გუშაგად იდგნენ,
მაშინაც, როცა დამარცხება შემოუტევდათ.

სწამდათ სიცოცხლე – თავისი და შთამომავალთა
და შეჰხაროდნენ, მოპოვებულს ოფლით, ქონებას;
ბევრჯერ სიცოცხლის დასაცავად ტყვიაც გავარდა –
ქებათაქება მათ მოთმენას, ტანჯვას, გონებას!

უსრული იყო მოლოდინი – რა არ ხდებოდა –
ავი მდევარი რამდენიმეს სდევდა თაობას:
ითხოვდა, სწამდა, იმარჯვებდა თუ მარცხდებოდა,
თურმე, საკუთარს ამარცხებდა ის გულზვაობას.

მცირე ყოველდღიურობათა გამო

1.

არაფერია გარდაცვლილთა ნივთებზე მეტად
გულისმომკვლელი. ყოველივე ხდება სხვაგვარი:
მათი სამოსი, თეთრეული, ყველა საგანი,
მიყრილმოყრილნი, სამუდამოდ შთენილნი კენტად,
კვლავაც ელიან, რომ გაათბობთ თითები სათნო.
გაციებულნი, მზად არიან, ყოველი დათმონ,
ოღონდ კი ჩვენი მოწყალება დაიმსახურონ.
მაგრამ მერე კი, მათ პატრონად სხვა ხალხი მოვა,
რათა გაიყოს დარჩენილი ტანსაცმლის გროვა –
უვარგის ნივთსაც მარჯვე ხელი სხვაზე გადაცვლის –
აი, სათვალე, რომ შვენოდა გუშინ გარდაცვლილს!
მის საფულეში ჯერ ისევ დევს ორიოდ მარკა
და სიგარებსაც მის უჯრაში ნახავს მსახური,
ტკბილ ღამეთათვის რომ ჰქონია გადანახული.
მისი მემკვიდრე ერთ იმათგანს მზერას აყოლებს,
მერე ასანთით მოუკიდებს და გააბოლებს.

2.

ნეტავ განახათ, საყიდლებზე როგორ დადიან
წვრილმოხელეთა სევდიანი მეუღლეები:
კალათა მკლავზე წამოუცვამთ, ფარდულთან დგანან,
ბოსტნეულიდან უიაფესს ამოარჩევენ
და მემწვანილეს ამ გროშებზეც ევაჭრებიან.
სანოვაგისთვის სიარული გრძელდება დიდხანს.

ხშირად უხდებათ სიმწრის ფასად, პაწია ხელებს,
რომელთაც ისევ შერჩენიათ ქათქათა ფერი,
იმის დათმობა, რასაც ერთხელ შეეხნენ უკვე...
რა ქნან — ძვირია... მაგრამ თვალს კი ძლივს აცილებენ!
აჰა, მოდიან მზარეული ქალბატონები
და სქელ გავათა ქნევა-ქნევით გზას მოიკვლევენ.
სხვისი ფულებით ყიდულობენ უახლეს სურსათს
იმ ხალხისათვის, არასდროს რომ არ ყვარებიათ.
ამ ხორცისაგან, ამ ხასხასა ბოსტნეულისგან
მოუმზადებდნენ თავიანთ ქმრებს გემრიელ კერძებს
და დამაშვრალებს მიართმევდნენ თავდახრით, ნაზად —
ჭრელ გაზაფხულზე — მხოლოდ ერთი ღიმილის ფასად.

3.

ღარიბი ხალხი კვირაობით სიმწვანეს ელტვის.
მდელოზე შლიან ცივ საუზმეს, პურსა და ღვინოს.
მერე მზის სხივებს მიუშვერენ გაძარცულ სახეს
და შეიგრძნობენ, დედამიწა როგორ ეხებათ.
ისმის სიხლნაკლულ გოგონათა ჩაკისკისება.
ქალები ქსოვენ და დღიურ ხარჯს ანგარიშობენ.
ძილს ეძლევიან საღამომდე მამაკაცები.
მერე კი, ბაღებს ჩაუვლიან. ციმციმებს შუქი.
კერძთა სურნელი მათ მაცთურად თავისკენ უხმობს.
ბაღებში მსხდომთა მხიარული ისმის ზუზუნი,
რომელსაც გარეთ მშიერ ბალღთა ჩივილი ერთვის:
“გვშია, გვშიაო”, — დასძახიან, ეკვრიან მესერს,
ყელგამოწეულთ, ენთუზიაზმს ჩაუხშობთ მამა:
“წავიდეთ ჩქარა, აქ საჩვენო არაფერია!”

4.

ქუჩას თხრიან და იღვრებიან ოფლად მუშები.
ხოლო ზარები გვაუწყებენ შუადღის მოსვლას.
ნიჩაბთან ერთად, ერთხელ კიდევ ეშვება მკლავი...
და ყველა მიდის ფერგასული ქურთუკებისკენ,
გროვად დაყრილნი მაწანწალებს რომ მიაგვანან.
ღარიბულ საგზალს ფეხზე მდგომნი შეექცევიან,
ეყუდებიან ზურგით ჩრდილში მოქცეულ კედელს.
ზოგი ძირს წვება, ნეტარებით აბოლებს ჩიბუხს.
დანარჩენები, იმათ გვერდით, თვალს ატყუებენ.
დუმს ყოველივე. ხოლო მზე კი აცხუნებს ძლიერ.
ნიავი ზოგჯერ თუ შეარხევს გაზეთის ნაგლეჯს;
ქუჩის კუთხეში დაძონძილი კრთება მოხუცი,
მიმოფანტული ნაფლეთებით აავსებს კალათს,
სათუთად კეცავს უძვირფასეს სახსოვარივით...
ყოველთვის არის ვიღაც — ჩვენზე უფრო ღარიბი.

მსახურები

მთლად უსურვილოდ არსებობენ, თავს ხრიან უხმოდ,
არვინ იქცევა მათი ნატვრის თანაზიარად,
სანამ მორჩილნი იქნებიან, არავინ უხმობთ,
არც ვინ ეპყრობა უცხოსავით თავაზიანად.

ჩვენთან ცხოვრობენ — ამ ბინაში, აქ მიმოდიან,
მათ სამყოფელზე, რა თქმა უნდა, ვნაღვლობთ ნაკლებად.
პირუტყვისაზე მათი ფიქრი მეტი როდია,
მათ პირზე კლიტედადებული მძიმე ლოდია —
არავინ იცის, რა აწვალებთ, რა ენატრებათ.

მათ, ხელებივით, მადლობასაც არასდროს ვეტყვით...
სასწრაფოდ შევცვლით, როგორც ბორბლის გაღუნულ ღერძებს.
თუ დასნეულდნენ, ჰოსპიტლებში მივათრევთ ეტლით,
მათ დავიწყებას გული, ალბათ, ადვილად შეძლებს.

სანუგეშებლად იკმარებდა სიტყვა კეთილი —
გაზაფხულობით, როცა სუნთქავს ბუნება ხარბად,
მათ გამხმარ ყვავილს მოუსწრებდა წვიმის წვეთივით,
განათდებოდა მათი სული, გამოკეტილი,
და სასწაულსაც ვიხილავდით იმ წამში, ალბათ.

თუმც, მათი ფიქრი დროის სამანს ვერასდროს სცდება,
უფსკრულის პირას დარჩენილნიც არ გთხოვენ შველას.
და ეს დილემაც მათთვის ისევ მარტივად წყდება:
ან უნდა გატყდნენ, ან შესძულდნენ ამ ქვეყნად ყველას.

ზოგიერთები სიცოცხლესაც დათმობენ უმალ,

სხვისი ვაჟისთვის ათენებენ ღამეს მთვარიანს.
სიძულვილისგან განძარცულნი, ჰმონებენ გუმანს,
გვირგვინმოსილნი, იდუმალი ღიმილით სდუმან
და წააგვანან ამ ღიმილით ქალწულ მარიამს.

ახალგაზრდა მოსამართლისადმი, რომელიც ფიცს დებს

ჯერ ისევ ყრმა ხარ, ჯერ ნორჩია შენი ხელები,
ფიცის სათქმელად შეგიმართავს მკლავი თავნება.
ჯერ მას ციებად არ შეჰყრია ამპარტავნება
და გულზვიადად შენ ჯერ კიდევ არ იხსენები:
მაგ ხელით ქვეყნად ყოველგვარი დაგაქვს უფლება —
ძალა გერჩის და გაქვს უზღვავი ძალაუფლება.

ბავშვი ხარ ისევ,
გაუმცდარი წიგნის მშრალ ფურცლებს,
რაა სიცოცხლე ან ტკივილი, არ იცი ჯერაც.
ჯერ ნედლი ხე ხარ, ქარის ქროლვას ძლივსღა რომ უძლებს,
ძალაუფლება გეზმანება მემკვიდრეს უძღებს,
შენს "მედ" ქცეული სამართალი პარიკს შეარხევს
და წითელ კრებულს ფიცის ნიშნად თითებს შეახებს.

ნუ დაივიწყებ, შენც კაცი ხარ, ადამიანი,
ეგ სამართალი ჩვენიცაა, რადგან შენია —
შენი დუმილი ჩვენთვის უტყვი განაჩენია,
ხოლო ცხოვრება ეს ბაღჩები და ყანებია,
სარეველა რომ ერთიანად მოსძალებია,
კეთილი ნერგი, ლამისაა, გადაითელოს.
გიყვარდეს იგი, ჰპოვე ეკლად, ფითრად, იებად
და როცა დასჯის შეგეყრება მტრული ციება,
სცადე, არავინ ჩაგითვალოს შურისძიებად,
იმედის სხივი ადამიანს რომ არ გაუქრეს.

ნუ დაუჯერებ, ვინც კბილის წილ ისევ კბილს ითხოვს,

სიყვარულის წილ ვინც იშურებს ღიმილს და სითბოს,
ეს სიგიჟეა და შავ-ბნელი დროის ნარჩენი –
შენ სხვა სამართლის განჩინებად გიწვევს გამჩენი,
კანონის ერთგულ აღმსრულებლად გარდასახული
თუ არ გახდები
დაწერილი სიტყვის მსახური –

რაც დაწერილა, გახმება და გაცამტვერდება,
თუ უსულგულოდ წაიკითხავ, გონდანისლული.
გთხოვ, უანგაროდ დაეხმარო ყოველთვის იმას,
ვინც თავის სისხლით ვაზის ფესვებს აპოხიერებს.
სხვაგვარი გარჯა არის ქარის ამაო დევნა,
უსაგნო ბორგვა, ყალბი ვნება, დაცინვა მტრული...
გაიღე, შვილო, თბილი სისხლი და მთელი გული –
ამას გთხოვს ფიცი,
გაიმეტე, არ არის რთული.

ტუსაღები

ჩანს სამხარეო სასამართლოს ბნელი ტალანი,
ხოლო იქიდან ტუსაღების შენიშნავთ სახეს...
გაფითრებულებს, წამოზრდიათ ჟღალი ბალანი,
მათ თავზე ქარი უხილავი ნათურას არხევს —
გისოსებს მიღმა კრთება ზღვები და გზაშარანი.

ქვემოთ, ეზოში, დაწყვილებულთ უხდებათ გარჯა —
ბუჩქთა ოთხკუთხედს მხეცებივით უვლიან გარს და
მათ ფეხქვეშ კვდება ეზოს მწვანე, მწუხარე ფარჩა;
თვალების საკანს, რა ხანია, სინაზე გასცდა,
თუმც, მათთან ერთად ისიც დადის, რაც გარეთ დარჩა.

ვინმე მწკრივიდან არ გაიქცეს, გუშაგი ფხიზლობს,
ხოლო ზმანება, ტუსაღებს რომ დაჰყვება უკან,
ამ ეზოშია, ამ ცასა და ჰაერში ხიზნობს;
ორი გუშაგის მზერამ, თითქოს, დაჰკარგა რუკა,
მთავარს ვერ ხედავს, თუმც, ერთგულად ასრულებს მის როლს.

შინ რაც დატოვეს, თან ციხეს ჰგავს და თანაც არ ჰგავს,
ახლაღა გრძნობენ, რას ნიშნავდა ის სიღატაკე,
თავისუფლება შარავანდად რომელსაც ადგას,
მას ახლა მხოლოდ იმ თმასთან თუ მიასადაგებ,
რომელიც წამში გადაპარსეს სუყველა მათგანს.

ერთიც არ არის ისე შლეგი და თვითგუნება,
თავი ანგელოზს შეადაროს, ამტკიცოს რამე,
უფლის წიაღში მოისურვოს კვლავ დაბრუნება —
მხოლოდ მდიდრების ნუგეშია მზიანი ღამე,

ღარიბებისთვის ღმერთს ყოველთვის მოაქვს ცთუნება.

ყველა მათგანში თრთოდა ერთხელ კეთილი სული,
რაღაც უყვარდათ და რაღაცის რცხვენოდათ, ალბათ,
ვიდრე ზღვასავით იხუვლებდა ქაოსი სრული
და ცხელი პეშვით შეასმევდა ამღვრეულ შარბათს,
ერთს სისხლის ვნება გათანგავდა, მეორეს — ფული.

ახლა ისინი კვლავაც ეზოს სიმწვანემ იხმო.
დაწყვილებულნი ბუჩქთა კვადრატს უვლიან გარს და
ცხოველებს ჰგვანან, ჩაირბინა მდუმარე რიგმა,
მათი თვალები უმზეური ყლორტივით გაცვდა,
თუმც, მათთან ერთად ისიც დადის, რაც ***დარჩა*** მიღმა...

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

1.

მაშინ ერთმანეთს ხელს ვუწვდიდით, თუმცა, დროებით,
მზერას გვტაცებდა ბილიკები, მთები, კლდეები,
ციხე-კოშკები, ქონგურები, კარიბჭეები,
ალმოდებული გვიზიდავდა კენწეროები.

გაწოლილიყო შემოდგომის პირმშო — სოფელი,
ვაკე სინათლეს ვერცხლის ძაფით მიმოექარგა,
მთვარეს ჩვეული ბზინვარება არ დაეკარგა,
დუმდა მდინარე, შლეგ ტალღათა უარმყოფელი.

მე შენი ნორჩი დალალების მწყუროდა დათვლა,
თოთო სიცოცხლე თბილ შეხებას ისე უფრთხოდა,
გაათმაგებით ცახცახებდა ათივე თითი,

ხოლო თვალები, გაპარულნი ამ საწუთროდან,
ბნელ შორეთიდან მაცნობებდნენ საყვარლად, ნათლად,
რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა, მე მეკუთვნოდა.

2.

მაღლა სახლობდა ნიავქარი ლაღი, თავხედი,
გალავნის ჩრდილში მიმალულებს, ჩუმად გვიცდიდა,
ბალახებს ნთქავდა, მწვანე ფოთლებს ხარბად წიწკნიდა,
ჩვენც ვიხუტებდით და ყმაწვილურ ალში ვახვევდით.

რუხი ქალაქი მოჩანს, შორით ნისლმოხვეული,

მაღალ გუმბათებს, მბჟუტავ ფანჯრებს გასვლიათ ყავლი,
მათ წინ მდორე და ყავისფერი ირევა კვამლი,
გაუმაძღარი მილებიდან ამოფრქვეული.

დიდო კოლოსო, აღარ მათბობს შენი სიცივე,
გზააბნეული მოყმეების ნუგეშო ყალბო!
შენგან ნაჩუქარ მწარე ტკივილს, საყვედურს მართალს

მე მომჩვარული ნიღაბივით ჩამოვიცილებ.
შუბლს, თავისუფალს, მადლიერი ცრემლებით ვალბობ
და ახლა ბავშვურს და დედობრივს მივანდობ კალთას!

3.

დიდხანს ვიწექი და სიმშვიდე სუფევდა სრული.
ჩემი სხეული ახლაც თრთოლვას მაშინდელს ბაძავს.
ვხედავ, შენს მკერდზე წამომართულ დიდებულ ტაძარს
ვით უბრუნდება აფრენილი ზეცაში სული.

რა პატარა ვარ — კაცი ვარ თუ ატომი ერთი?!
შენში დანთქმული, მიხლა-მოხლით, ოხვრით, წვალებით,
შენი სხეულის უხილავი სადინარებით
ცხოვრებისეულ მდინარეებს რუსავით ვერთვი.

მოსაღამოვდა. ძირს დავეშვით ბნელი ხეობით.
ჯერ არ გვენახა დღე, ამგვარად დანასრულები!
ერთურთის სუნთქვას მინდობილი ჩვენი სულები

ზარივით რეკდა. ჩვენ მის ძახილს ძლივს ვეწეოდით,
ვიდექით ასე — ამ ქორალით დანავსულები
და სიყვარულის წმინდა ვახშამს შევექცეოდით.

კამერული მუსიკა

კვირასაღამო. მზეს ყინულის ადევს ხუნდები.
ახლა მუსიკა ამოავსებს სულის ნაპრალებს.
ამოაწყობენ მეგობრები მბზინავ საკრავებს.
დღეს მხოლოდ ვუსმენ, მხოლოდ ვნატრობ, მხოლოდ ვჩუმდები.

სარკმელი მედგრად ერკინება გათოშილ ტოტებს.
ღუმელში შეშა წამოიწყებს მიმწუხრის ლოცვას.
ისინი ახლა დაუკრავენ ღვთაებრივ მოცარტს.
უფროსი შვილი ჩემს მაგივრად შეარხევს ნოტებს.

როგორ უჭირავს ვიოლინო! ნუთუ მე სხვა ვარ
და ეს ბგერები მეც ***მასავით*** დამემგვანება?
ჩემივე თავის მომზირალი, ბრიყვივით ვდგავარ.

გრძნობს ***ამას*** ბავშვი? არ ჩამოჰგავს რადგან ზმანებას,
მუსიკა რჩება. სხვა ყოველი აჩრდილებრ წავა.
სისხლი თუ მღერის, შეიძლება გარდაცვალებაც.

მბჟუტავი ჟამი

ხანდახან რაღაც გვემართება: ვემონვით ვნებას
და გვეჩვენება, რომ ცხოვრება ხელიდან მიგვდის,
რომ ვეღარასდროს დავუსხლტებით ავბედით სიკვდილს,
ჩვენი ვალისკენ უზეშთაესს მივყავართ ნებას.

ეს არის მხოლოდ (არა თრობა და დანაქადი)
ჩვენი ცხოვრება (რის არ მეთქმის მე სამდურავი) —
პატარა ნავი, ორ არაფერს შუა მცურავი,
კვლავ არაფერში რომ გადაჰყავს საგანთ ნაკადი.

იგი ძლიერი სტიქიაა, მარად სხივდება,
რომ არეკვლისას ზედაპირზე დარჩეს მხოლოდ ის,
რაც ალის მსგავსად, თიხანარევ ხორცს მოსცილდება...

ქმნადობის ტკივილს დამარცხება ძალუძს ბოროტის
და მომავალიც ემსგავსება ძალუმ მოლოდინს:
მას, რაც ანათებს, წვაც არასდროს არ მოსწყინდება.

უკანასკნელი აღსარება

გსურს, რომ მაგ შრომის საზღაური ახლავე ნახო?
ვინ არის, ნეტავ, ვინც უმწიფარ მოსავალს გაყოფს?
ჯერ მისი ცქერით დაიღალოს ბებერი ახო,
ჯერ იმუშავე, მერე მიწვდი სანუკვარ ნაყოფს!

ნუ დააჩქარებ, თვითონ დაჰკრავს ერთხელაც ჟამი —
სუყველა ნათესს კანონი აქვს თავისი ქვეყნად,
ტკბილი ლოდინით აღსავსეა ყოველი წამი,
წინ გელოდება სათიბები და ძნების შეკვრა!

თუ სხვა მეგუთნემ სავარგულის მოგასწრო დახვნა,
გულმედგრად შეხვდი ვნებების და იჭვების ხანას,
ნუ შეგშურდება, ნურც მაშინ და, მით უფრო, ახლა,
არ უთვალთვალო ჩასაფრებით მეზობლის ყანას!

ეგებ, ის გაკრთობს, რომ ბეჩავი, მოკვდები რთვლამდე,
დაიღუპება, ჩანაცრდება მწიფე ნაყოფი —
მოსავლის ბედი, მოდი, თვითონ ბუნებას ანდე,
ის გაირჯება, გაუჩნდება საქმე სამყოფი.

შურსა და დრტვინვას ხორბლის სუნით დაფარავს ხვავი,
სულიერ შრომას რადგან მუდამ თავისი მოაქვს,
ვინც შმაგ ბრძოლაში იმარჯვა და დასძლია თავი,
მას შეუძლია, დაიცადოს, ჯერ ბევრი დრო აქვს.

კიდევ ერთი დღე მიიწურა

აჰა, გავიდა, მიიწურა ერთი დღე კიდევ,
მე ჩემს გარშემო ძველ კედელთა აჩრდილებს მივდევ.
თურმე რა აღარ შეუძლია ღამის ავგაროზს!
არავინ იცის, სულ არავინ, ხვალ რა იქნება,
ცაზე ვარსკვლავი ვისი თვალით გადაითვლება,
ხვალ, შესაძლოა, აღარ იყოს სულაც სამყარო!

ძველი გაქრა და არ მოსულა ახალი ჯერაც.
ყველა სიყალბე გუშინწინდელს გადაჰყვა მზერას.
დღეს თუ კი ფასობს — მხოლოდ ნაღდი, მხოლოდ მართალი.
ფხიზლობს სიავე, თუ სიკეთეს მოჰგვრია რული,
ამ ძველ ყალიბში ჯანმრთელად ვერ იძგერებს გული.
თუმც, ვერ შობს ახალს და გრძელდება ძველი ზამთარი.

ჯერ ვერ გაბედავს, შეაჩეროს მომწყდარი ზვავი
ან ახლის ფეთქვას საკუთარი მიუძღვნას თავი,
ჯერ რწმენისათვის თუ ეყოფა გამბედაობა.
თუმც, მის კისერზე ჟამმა ყულფად გადაიარა,
ადამიანი მაინც რჩება ადამიანად —
ცუდია, მაგრამ არ იცვლება მისი რაობა.

ოღონდ კი, ხელი მოუმართე, ქვეყნის გამჩენო,
რომ იტრიალოს საკუთარი ღერძის გარშემო,
აღზარდოს გული, თითქოს, ფეთქვით სხეულს ეცლება.
ის მხოლოდ ამით განათდება და სრულიყოფა,
მაშინ ადვილად სხვისი ტვირთიც კი გაიყოფა,
მაშინ სხვაგვარად უკვე თვითონ არ შეეძლება.

ამდენი ტანჯვით სულის ცაც კი დაიღრუბლება,
რადგან უფლება ვერ იქცევა თავისუფლებად,
ბედნიერებად ტანჯვა ვეღარ გარდაიქმნება.
კაცობრიობას, თუ გსურს, ბნელში გაუძღვე კვარით,
მოყვასს მოყვრულად შეაგებე გული და მხარი,
თორემ ყოველი ამოსუნთქვა ფუჭი იქნება.

აჰა, გასრულდა დღე, წყვდიადით განათენები,
მაშ, სალოცავად გადააჭდე შენი ხელები,
რომლებსაც ჯერ არ დასცემიათ სიბილწის ჩრდილი.
ვერ მოასწარი ვნების კერძის დაგემოვნება,
ამ სიწმინდეში გაატარე მთელი ცხოვრება,
დაღამებულა, გელოდება საწოლი თბილი.

ლექსი, მიძღვნილი იარაღასხმულ ხალხისადმი

მაგრამ, როდისმე, როცა ისინი
ჩვენი გმირების საფლავებზე დარეკენ ზარებს
და გულწრფელად იზეიმებენ „დედამიწაზე კაცთა მშვიდობას",
მაშინ ჩვენ სიტყვას ვითხოვთ იქ და მწარედაც ვიტყვით,
რომ არ გვინდა ეს ფიცი და ვალდებულება,
რაც მსახურებდა ზოგთა ფლიდობას.
სჯობს ვუღალატო მათ ან დავგმო ეს ყოველივე.
ჯარისკაცებად გაჩენილები, ჯარისკაცებად დავრჩებით მუდამ,
თუმცაღა მერე მტრებს მაინც ყველგან
მოვძებნით, ყველას, და თავზედაც დავატეხთ დელგმას,
სადაც ისინი პურის ყანებს გვიწამლავენ სისხლით მორწყულებს
და ცხოვრებას შევეშველებით
ჩვენ – გუთნები და გუთნისდედები,
ჩვენ – სოფლები და ქალაქები
და ფაბრიკები, ღრუბლებივით რომ ვიქუფრებით,
ჩვენ – ბობოქარი პროტესტები და დატბორილი წყალსაგუბრები,
ჩვენ – ზღვები და მდინარეები,
დროის გვალვას და ცეცხლს რომ შევებით,
და ჩვენ, ვენივე გულებიდან და ხელებიდან
და ცისქვეშეთში დასახლებულ თეძოებიდან –
ენერგია შეუწყვეტელი,
და მახვილებიც – ჩვენ – მრავალი ისტორიისა
და ჩვენ – მიზეზი დიდი ლექსების
და ჩვენ – დიდება და დროის ქარი
და ჩვენ – მუდმივი ქვეითი ჯარი.

ომში მიმართვა ღვთისადმი

ცა ხომ კვლავ დარჩა ქვასავით უტყვი! –
გვეყო, ბატონო, ეს ბათქაბუთქი!

სინათლე ქრება მირიად თვალში –
იქნებ წკვარამქვეშ მიტომაც დავრჩით!

მრავალ გულს სისხლი ყინულად ექცა,
მრავალს – სიცოცხლით აღავსებს ეგ ცა.

ბევრ ველს და ქალაქს დანგრეულს ვუფლობთ.
სამყარო მაინც დიდია უფრო.

მწარედ დის ცრემლის ყოველი წვეთი,
მარილი მაინც ზღვაშია მეტი.

ხოლო შენს კანონს იგდებენ მასხრად,
ამის შესახებ რა იცის კაცმა?!

ჩემი ბავშვის თვალსაზრისით

არსებავ, ღვთისგან სულჩადგმულო, დავცქერ შენს თბილ ტანს
მე, ვინაც შეგქმენ. ვარ დახრილი შენს უტკბეს ძილთან
და მეგობარი ქალის მაჯას ვეხები უხმოდ,
მისი კალთიდან გადმოგორდი, ბატონი უყმო...
ჩვენი ხალისის ხორცშესხმულო, მხურვალე ძალავ,
ჩვენ შენ გვინდოდი. შენ აქ მოსვლა გემართა ვალიდ.
ჯერ მხოლოდ შენივ ბედისწერის დაწყება ხარ შენ,
ვის ჩაწვდომაშიც მე თავს ვიმტვრევ ჩემსავე თავში.

შენი ნაკვთები გაურკვეველ, ბუნდოვან ფონზე
მსგავსებას ვხედავ და თანდათან მოვდივარ გონზე:
ეს ჩემგანაა, ეს კი – ძვირფას ქალისგან არის,
ცოლო, ეს შენ ხარ – მოგყვა შენი წვიმაც და ქარიც.
ისე იღიმი, თითქოს ხედავ შენს წილხვედრ ნიღაბს...
დედის ბავშვობის ალიკვალი, ბედნიერ იყავ!

ეს ტკივილი კი, პაწაწინა ტუჩ-პირის გასწვრივ,
მეცნობა მამის გარდაცვლიდან – ტკივილი მკაცრი...
გაურანდავი მადლითა ხარ მოსილი ჯერაც
და არაცხადი სურვილები მზესავით გფერავს.
აი, კრთი ძილში, თუმცა გიძღვნის სიმღერა ჩიტებს,
და განა მარტო კრთები ძილში, ოცნებობ კიდეც.

(პირველი სამი სტროფი)

ჩემი ძველი ვიოლინო

ერთხელ, როდესაც მიჭირდა და ვიყავი ცუდად
და არეული ჰქონდა თავი საათს, სამაჯურს
და ბეჭედსაც კი, სხვა რამესაც, თითქმის ყველაფერს
მე მაშინ ძალზე ნელად სავალ გზას დავადექი:
ის ჩემი ძველი ვიოლინო სახლის სხვენიდან
ჩამოვიყვანე და მიმყავს ის ფულის საშოვად,
თან გულმოდგინედ ვაკვირედებოდი,
ამ დროს მას ვიღაც უცხო კაცმა მოაკაკუნა
და თქვა: ეს დიდად ვერ გაგიმართავს
ხელსო და მერე მწუხარე სახით
დასძინა: მასზე არ დაუკრავს ძველი ოსტატი! –
და ტკივილი და წინაღობა გამიასკეცა
და მე დავჯერდი მის მოცემულ მცირე საზღაურს.

ზოგ მძიმე წელსაც ჩემი საქმე არ მიდის ცუდად,
მაინც ჭკუაში მომდის ხშირად იმ კაცის სიტყვა,
რაც ხსოვნით ძველი ვიოლინოს ჰანგს მისნეულებს,
ის მისახსოვრეს მე ოდესღაც ჩემმა მშობლებმა.
მამა, ჯაფისგან დაღლილი და ქანცგაწყვეტილი,
მიუჯდებოდა ხოლმე თავის ღარიბულ სადილს
და იღიმოდა, როცა ჰქონდა მცირედი სარჩო.
დედა კი, ძვირფას ზოგ წელიწადს გააცობდა
ისევ იგივე ახალით კაბით.
და უკეთესი დღის იმედი ჰქონდა უბრალოდ.
ორთავემ ჩემთვის შეინახა ეს ვიოლინო.

ხოლო ის ძველი ოსტატიც რომ არ ყოფილიყო,
მას ჩემთვის მოაქვს საამო და წმინდა ნათება,

მის ხმაში ჩემთვის სულ გაისმის,
რასაც ითმენდა დედა და რაც მამას ტანჯავდა
და დღეს პირველად ვხვდები, ტკივილს თუ რატომ მგვრიდა,
რაც მითხრეს: ეს შენ ხელს დიდად ვერ გაგიმართავსო!

ნაირ-ნაირი სტუმარი მესტუმრა

ნაირ-ნაირი სტუმარი მსტუმრობს ბაღში მე, სახლის მახლობლად –
 აქ წელიწადის ყველა დროსა ჰყავს შესაფერისი სტუმარი,
აი, გვამცნობენ თავს ეს-ესაა სტუმრები გაზაფხულისა –
 ნაზი პეპლები და ფარვანები, ყვითლები, როგორც ლიმონი,
ზოგიც თეთრია. გაჩნდებიან და მთის ქვა-ღორღს დაჰფარფატებენ,
 მერე ფუტკრებიც მოგვიანებით მოვლენ და სწოვენ ყვავილთა
წვენს სურნელების ფიალებიდან, რასაც მე ცაცხვი დამაფრქვევს,
 ხოლო სთვლობაზე, როცა სამყაროს თივის და ძირს დაცვენილი
ხილის სურნელი ასდის – ზღარბები იქექებიან ლანდებად

ღამის ფოთლებში. ჩიტუნები კი ზამთარ და ზაფხულ წივიან.
 ბელურებს აღარ დავასახელებ, არ ვასახელებ სკვინჩებსაც,
შაშვებზე ვიტყვი და უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ბუებზე
 და მოლაღურებს დავასახელებ, ოქროსფერ სტვენით გავსებულთ,
შევაქებ ბულბულს, თავის ფლეიტით, ტკბილად მგალობელს ჟასმინზე.
 ოჰ, მძარცველები ჩემი კენკრისა, შოთხვს და ალუბალს კენკავენ,
ხოლო გარგარს და თხილს, ჯერ უმწიფარს, ციყვი დაღრღნის და ჩამოყრის.
 გავგულისდები და ხელსაც დამრევს მე მათი მოსპობის
და ფეხაკრეფით, დატენილ თოფით მივეპარები ბაცაცებს,
 ვიღებ მიყანში და იარაღა გამოვარდება როდესაც
გრაციოზული სუსტი არსება უძლურს მხდის მშვენიერებით.
შენი ჩაქრობა რომ მსდომებოდა, დაისის მზეო წითელო,
სიცოცხლეს რომ ჰგვრი ხის კენწეროებს, მიმწუხრისაგან მოწყენილთ!
ან დამუნჯება რომ მსდომებოდა მე შენი, ოქროს ნისკარტო,
საეჭვო მგალობელისა, ან შენი, წრფელო სიმღერავ,
გრძნობებს რომ მიტკბობ საღამოობით! თქვენი სიცოცხლე მაცოცხლებს...
მაშ, გაიხარეთ და ჩიჩაყვები გამოიტენეთ ჰანგებით,
რასაც უთუოდ გამოვისყიდი მე ჩემი ბაღის მოსავლით.
ასე ვფიქრობ და შეჩერდებიან ჩემ თვალწინ, რადგან იციან,
რომ მათი მტერი სულაც არაა საწყალი ადამიანი.

შედეგი

მე გამუდმებით ვიცვლიდი ნიღაბს,
იმართებოდა მეჯლისი როცა.
შევციცინებდი ბევრ ვინმეს მორცხვად,
იმათ კი ჩემთან არ სურდათ მოსვლა,
ვისგანაც უკვე დახსნილი ვიყავ.

ყოველ სანუკვარ მიზნისგან დამრჩა
მწკლარტე ნაღველი წარსულის ნამჯად.
მაინც საქმესთან აჯობებს ვიყვე,
მაგრამ საქმენი თავიანთ მპენტავ
სიცოცხლეს აღარ ტოვებენ ჩემთან,
იქნებ უფრთხოდნენ ჩემს უცხო ნიღბებს!
და ჩამივლიდნენ ყოველთვის გვერდით
და მათგან, თითქოს, არ მცნობდა ერთიც.

ციკლიდან სონეტები ედის

* * *

ისინი სადღაც, სოფლის ბოლოს აგებენ სახლს და
ამოყვანილი აქვთ მაგარი ცოკოლი უკვე.
მშენებარ სახლთან შეიგრძნობა ზველაზე უკეთ,
რომ შემოდგომა მოდის ლურჯი ოცნების მსგავსად.

სახლის მფლობელო, ეს ცხოვრება ნუ დაგცემს თავზარს,
მადლი ჰქენი და შენი სახლი უცხოსაც უქე,
ნუ დაუფრთხები დღესასწაულს – ნუ იკლებ ნუგეშს,
არ თქვან: "სუფრასთან თავის ჭერქვეშ არასდროს დაგვსვა".

შენ არ შეგაკრთობს, რომ ქვეყანა ფართოა ასე
და რომ ამ სახლის ქვის კედელსაც, ვითარცა ციხეს,
ფრთები არასდროს გაეშლება ცხოვრების გზაზე.

ხოლო ჩემ სახლში ეტევა და ოცნებას მასევს
უსასრულობა სიახლოვით და კარსაც მიღებს
და იღიმება მიმტევებელ გრძნობებით სავსე.

* * *

ის შემომხვდება მე ***ერთხელაც***, კარგად თუ ავად,
როგორც მავანი უღიმღამო ჟამსა თარეშის,
ყრმობის სიმღერა თავს აცხრება სიმწუხარეში,
მას შემდეგ ბევრი რამე ჩაკვდა, ის კაცობს კვლავაც.

და ბედნიერი არის იმით, რომ ძალუდს თავად,
არ დაემონოს ცდუნებას და ხორცის მდარე ჟინს.
მის სულში ზოგი სიმი გაწყდა კვნესის გარეშე,
ის შემომხვდება მე ერთხელაც, კარგად თუ ავად.

და არა მკითხავს თუ საიდან საითკენ მივქრი,
შემომეჭრება იგი შიგნით, რომ ჰპოვოს შვება –
მხოლოდ ჩემნაირ კაცს აქვს შენში სტუმრობის ნება.

და გაიზრდება ის თავისი მორჩილი ფიქრით,
როგორც ის, ვინაც მეშჩანივით გასცემს სიყვარულს,
ანუ ვინც ხარობს იმისათვის, რომ გაიხაროს.

* * *

ერთადერთია, ერთადერთი, ვინაც სურვილებს
სულ მიიზიდავს მაგნიტივით, რათა რაღაცა
არ დაიფანტოს, არ დააკლდეს კაცთა ნაღვაწარს,
ის ძველია და თვალს ახალ ცრემლს დააწურვინებს.

ის თავს ივიწყებს და აბრუებს დღეებს ბურვილებს,
რომელთა შემდეგ მწუხარება ყველას დააცხრა,
ის მეძავია და ერთგული, მისებრს აღარსად
ნახავ, რაც უნდა ქმნიდე ძეგლებს ოქროცურვილებს.

ის ხალისია, რაშიც სული იცრება ლაღად,
მსუბუქდება და ძლიერდება, მიტომაც დაქრის
ქედძე შორის ხმის თრთოლვა მისი იალქნის აფრით.

იგი რაღაცის სიზმარია, რომელსაც აღარ

უარსებია, ხოლო სატრფო სიზმრად თუ ნახა,
და მას შეეძლო, რომ ამქვეყნად ეცხოვრა სხვაფრივ.

* * *

მე ვარ მდიდარი, მაგრამ რა მაქვს, გარდა საგნისა,
რომელსაც საზღვრის მიღმა ჩავთვლი ჩემად საკუთრივ:
ესაა ხვატი, რაშიც ვიწვი და ვარ ნაკუთი
და რაც ჩემს არსში აბურცული იყო ნაღვლისგან.

ეს უკვე ახლდა სიჭაბუკეს, რამაც დამიხსნა
და განვლო და რაც ერთადერთი არის საბუთი
სიხარულისა, ო, ეს ხვატი, რისგან დახუთვით
ვიწვი და ირგვლივ მაფარფატებს და მთვლის თავისად.

სწორედ მას უნდა, რომ მე ნათელ გზაზე ვიარო,
სული გავუღო იმ ერთადერთს, კაცთა გასაგისს,
რომელსაც უნდა სიყვარულის მზეს მაზიაროს,

როგორც მებაღემ მე, ველური სიშლეგის ფსკრიდან
მოსულს და დამწვარს ღვთის წყურვილით, რომელსაც ვიტან.
შეხე ჩემს სახეს – მადლს რაიმე თუ სცემს მასავით!

წარუმატებლობის ელეგია

ფასეულია ეს დღე მზიანი, ეს – გაზაფხულის დღე სექტემბერში.
ვაკე-დაბლობთა ვიწროებიდან მე მწუხარება მიმერეკება
იქითკენ, სადაც სრულიად ქორფა არყებია და ლარიქსებია.
ო, დაბუჩქულა კვლავაც ჯაგნარი და განივრცობა ხე დაღრეცილი.
მაგრამ გზებს როდი ვირჩევ, სხვებისგან უკვე ნარჩევს და განვლილს, არამედ
მაღალტანიან ხეების უღრანს მივიკაფავ და ვაწვენ ირიბად
და თაღიც უკვე გარს მომვლებია ერთურთში შესულ კენწეროების –
ჩამწკრივებულნი დგანან და მწუხრის მჟონავ ოქროსფერ ნათელს ერწყმიან
და ტყის ნაკაფი ზოლი პატარა ჩნდება ფენილი ბალახეულით...
სდის სოკოსი და ნამის სურნელი ხეების ხაოს – ხავსს ზურმუხტისფერს,
შეხედე, აი, თვითონ არიან თავიანთ თავის წარმომქმნელები...
ერთადერთია ღამე, რომელიც სინოტივისგან ბადებს რაღაცას,
რაც თეთრ ფეხებზე ოქროს ქოლგებად უცებ გაშლილი სოკოებია,
მთლად კვერცხებივით ყავისფერნიც და კვერცხის გულივით მოყვითალონიც,
და ეს ზღაპარი არაა განა! როგორ ჩნდებიან ელფები, სუფრას
სულ რომ უშლიან ხალხს ბალახებში სახელდახელო ნადიმისათვის!
ჩხიკვიღა ჩხავის მშვიდად და ახლა უფრო ღრმად შევალ მე ამ უღრანში:
ისედაც ვიწრო გზა, საცალფეხო, გაჩეხილ ხეებს ჩაუხერგიათ.
ეს შინაგნობა გახლავთ ამ ტყისა, რომელიც თავის ფუძეს მომწყდარა
და სელის ბოჭკოს ნახლართებივით ღრმად გასჯდომია თავის ნიადაგს.
მეხთაცემულთა ლპობა ურჩხულობს და ნარჩენები მათი ტოტების,
თეთრად ნადებნი, ხავსისგან, როგორც საზარელ ხრწნისგან – იფარებიან.
და კვლავ გრიალი – დაცემა მეხის და ამოგლეჯა გიგანტურ ფესვთა,
ჯავარიანნი, გაქვავებულნი, სადარნი პირველყოფილებისა.
პრეისტორიულ დიდ ცხოველების უძველეს ძვალთა მთად აჩონჩხილნი –
ეშვნი, ხორთუმნი, თავზარდამცემად რომ დაფარულან დროთა ქერცლებით,
სიკვდილის მგვანი თავის ქალების მსგავსება მყინავს და სულს მიხუთავს.
სიცოცხლის არსად არის ნიშანი, ჩქამიც არ ისმის არსებობისა,
მხოლოდ ფარული სიღრმეებიდან წყალნი მოჩქეფენ თვალთუხილავად
და მოკვნესიან წყვდიად თავზარში, როგორც სამყაროს უღრმეს კალთიდან.

გაზაფხულის ბალადა

რანი არიან მაინც კაცნი! – ფიქრობენ, ხვალ-ზეგ
რა მოელით და – არა კაცთა ჭეშმარიტ ვალზე,
ამიტომ სულით ღარიბნი და ბრმანი რჩებიან.
გვერდს აუვლიან, ხეტიალით, ბაღებს და სკვერებს
და ქარში ბუჩქთა შლეგ გისოსებს, რომელთა მერე
მათი სულები მწუხარებით აღივსებიან

და რომ იქმნება სასწაული ღამეში ახლად
და რომ შეშლილთა სახლებიდან, იდუმლად, მაღლა,
ბავშვის ღუღუნის ნორჩი სიო აკრთობს თენებას
და რომ ჰაერში თეთრი ბლონდი იშვება ნისლის,
(ფორთოხლისა და სიგარეტის სუნისგან ისიც),
ანდა სუნამო, როს ჩაივლის ქალის მშვენება –

ისინი ამას ვერასოდეს იგრძნობენ ცისქვეშ,
ვერც – საღამოთა ფერხულს, როცა მშობლიურ წრისკენ
მიმავალ ღატაკ ხალხის გრძნობა ქუჩებს მოიცავს,
ვერც ყმაწვილ ქალთა გაზაფხულის ღვთაებრივ სურნელს
გრძნობენ და ვერც მათ ფერმკრთალ ლოყებს ხედავენ, თურმე,
და არაფერი გაეგებათ დუხჭირ დროისა...

ერთ სნეულს ვცნობდი ქვეყანაზე, კოჭლს ორთავ ფეხით
და აზრებით და სურნელებით, ის იყო გლეხი
და ის ჯანსაღ სულს სასწაულთა მიმართ ავლენდა,
უნარი ჰქონდა ღიმილისა: როს პირველ ლიცლიცს
გაზაფხულისას, მწუხარ ჭერქვეშ, ნახავდა, მისთვის
მაშინვე ლხენად იქცეოდა ტანჯვა-წვალება.

ყველა ყვავილის დანახვაზე შეეძლო ისე
გაეღიმა, რომ ეს ღიმილი ხალისის მიზეზს
მოგვრიდა თავად მომაკვდავის თვალთა დანისვლას.
და მას შეეძლო, რომ ეტირა პარატა ბავშვის
სიმღერის ხმაზე და უფრო ღრმად ესუნთქა მაშინ,
როს ეწვეოდა სურნება იასამნისა.

ის ღიმილი და ის ცრემლები არ სცნობდნენ წუხილს,
სასწაულების მიმართ იყვნენ ესეოდ უხვი
და სულ ჯანსაღად განიცდიდნენ ყოველ საკვირველს.
იმ კაცის ხელი მე მეკავა, კვდებოდა როცა,
შთამომავალი მე გავუხდი მის ღიმილს მლოცვარს,
როს მკრთალ პირიდან სულს აფენდა, როგორც ყვავილებს.

მითი შემოდგომისა

ის დადგა ისევ წყნარად და მშვიდად
და ვინც კი შეხვდა დაღლილი ლოცვით,
ყველას მოჰგვარა თაყვანი ციდან,
როგორც თავისი სული და ხორცი.

რა ლამაზია მდინარე მკის დროს!
ნამგალიც საქმეს რარიგად ავლენს!
ზვინებიც, ყანა ოქროდ რომ იძრობს,
როგორა ჰგვანან დაღალულ მგზავრებს!

მადლობას სწირავს ყოველი ჭიქა
ბოლო ლხინს, ხვალე ბნელია რაკი,
და საფლავები ფოთლების ნიღაბს
აცქერინებენ როგორღაც აქით,

ხოლო ოსტატი გასცქერის ლოცვით,
როგორც ექიმი საქოლთან ქალის,
ვინც წევს ტკივილში თავისი ხორცის
და მიწის პულსს გრძნობს მილეულ ძალით.

შემობრუნდება შემდეგ ერთბაშად
და ნორჩ სიცოცხლეს ეტყვის სამძიმარს
და მომაკვდავი დედის ხელთაგან
გაზაფხულს ბავშვად გამოაბრწყინებს!

ღრმა გამოხედვა

მარტოობ, ვინძლო შეგიბრალოს მაღალმა ღმერთმა!
და ბუზანკალთა შუაგულში უეცრივ, ერთხმად
ადამიანთა მოდგმაც თავზე დაგეცეს ვინძლო.
სარკის წინ, ზოგჯერ, შენც გაივლი და როგორც ღვთის შვილს,
შენსავ ანარეკლს იმ სარკეში შეხედავ შიშით,
რომ იგი, ვინც გცნობს ასე კარგად, შენც კარგად იცნო.

შენ ძალგიძს გყავდეს მეგობრები, შვილი და ცოლი
და მაინც მარტო იყო, როგორც ხე – ხარში მძრწოლი,
მთრთოლვარედ რომ დგას უსახელო ტრამალში სადღაც.
შენ მეგობრებთან მიმოფანტე მრავალი რამე
და მეუღლესთან ერთად წევხარ კვლავ ყოველ ღამე
და ყველა ბავშვი გისაზრდოებს სულსა და ნატვრას.

მაგრამ ისინი ძლივს იგებენ ლაპარაკს შენსას,
თითქოს მეტყველებ მცდარ სიზმრიდან და ენით კენწლავ
სიტყვებს, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვთ მათთვის,
და გულცივთ ყველა შენი ხალისის მიმართ
და შენი ჭირი არასოდეს აღელვებთ იმათ,
მათგან ყოველი – შენთან მუდან ყოყმანით დადის.

უკვე შენც შენი თავისთვისაც უცნობი ხდები,
ხარ, ვით პატარა კომიკოსი, რომელიც წლების
მანძილზე, დღემდე, იზეპირებს გრიმასებს, ჟესტებს;
მხოლოდ ხანდახან გესმის ჩქამი იდუმალ ხმათა
და კანონს იცავ: ეს მე ვარო, წარმოთქვამ, რადგან
ღმერთის წინაშე მარტოსულად სიცოცხლე შეგწევს.

ადაჯიო ჩელოსათვის

ყველა მოთხოვნას დღისას
ჰქონდა სიმშვიდის ვიზა
მიწის ლალისფერ ბუკში...
არყის ტოტებში მთვარეს,
როგორც თევზს, ბადის ხიზანს,
ამაღლებს სიღრმე ცისა,
ზე იწევა და არე
ჩანს, როგორც სხვითა ბუჩქი.

აბრეშუმები მინდვრებს
თეთრად მოსავენ ვიდრე –
ძილში ჩხრიალებს წყარო.
თივის ზვინები დგანან
და გოლიათებს გვანან,
ძაღლები ირგვლივ თარეშს
აგრძელებენ და მთვარე
ანათებს უანგაროდ.

შუა ქალაქში

შუა ქალაქში, წარმოჭიმულ სახლებთან, ცათა
მკვიდრებს სწვდებიან გუმბათები მრავალი ტაძრის,
აყვავებული შრიალებენ ხეები სადაც
და თითქმის ყველა მოკლე-მოკლე ნაბიჯით დაძრწის.
ქალაქში, რომლის ქუჩებს ძრავა თუხთუხით გალევს,
აბრეშუმი და ბრჭყვიალები იზიდავთ ქალებს
და ღამეებში, ოქროსფერად ნახატებიან
ჭერქვეშ, გაპუდრულ ნაოჭებზე,
კივილი ისმის
და გათენებაც, როგორც ვხედავთ, არ მოვა მალე,
და ქალაქის ქვეშ წყალთა ჩქარი ნაკადებია!

ნარეცხი წყალი მოწვეთავს
და დამჭრელთა ხახის,
წამლვს პულსსა და ოცნებას,
ავობს შიმშილის დაღი,
ჭუჭყს მალავს სუფთა ჰაერი,
შიმშილის გრძნობას უკლავს
მრავალ კუჭს. ასეთნაირი
ნანატრი გახდა სუფრა:
პური, ფაფა და წუმპეზე
მოხდილი ქაფი მყრალი,
მუდმივ ღამეში უკეთესს
ვერაფერს ნახავს თვალი...
საჭმელი არ აქვთ ვირთხებს —
შიათ, ომია ვიდრე!

ნერვების ლორწოვანია

ამ ჟონვასა და ტბორში;
მიაზმებს, დიდი ხანია,
ასდით სიმყრალე ბორშის,
იფანტებიან, მსჭვალავენ
ტიფოზურ, ბოროტ ჰაერს,
სადაც აქვთ დასამალავი,
იქ მკვიდრდებიან მალე,
ციებ-ცხელებად ქცეულნი,
ამოგიჭამენ თვალებს.
დაგვისნეულებს სხეულებს
ჭისა და გრუნტის წყალი.
ნაგავი სწვდება ღრუბლებს,
ეპიდემია სუფევს.

მაგრამ მდინარე, სუფთა,
დროს, როცა გვიჭირს მაშინ,
აღიქვამს კაცზე უფრო
თავის ვერცხლისფერ სვლაში,
რომ შიშმა, ძლივძლივობით,
წვიმად, თოვლად და ქარად,
მარადი, ყველგან მყოფი სახენი გაიარა
და მოქშუის და ღრუბლის
ქაფებს ირეკლავს ზღვად.
ეს სიზმარია თუკი,
ნეტავი, ვნახე სად?!

მხოლოდ მსურს მაინც

მხოლოდ მსურს, მაინც არ ვიცხოვრო, როგორც აქამდის,
მივბაძო იმათ, ვინც მიზანში ხედავს ყველაფერს,
რაშიც არ ყრია არაფერი, მაგრამ მაგათთვის
ბევრს ნიშნავს, რადგან ის მაგათ შიშს გააკელაპტრებს.

ჩემი სამყაროს ყოველ საგანს ხელში ავყავარ –
მაიძულებენ, მათ მათ მივდიო კუბოს კარამდი,
რომ ვზიდო მათი აზრი ბნელი, არა კამკამა,
ბრიყვი მქვია და საფუძველში დავრჩი წარმართი.

ერთ უცნობს

ამ წუთისოფელს, სხვაზე უფრო დიდად საწუხარს,
   გვინდა თუ არა, ჰქვია სიცოცხლე,
იქნებ ზოგს ლამპის შორი ბჟუტვა ესმის პასუხად
მისალმებისას, რაც ცაში სულს სულმა აჩუქა,
   რომლებიც ერთურთს ცის ქვეშ იცნობდნენ!

ადამიანი, სწორედ იგი, ვინაც ამქვეყნად
   ვერ გავიცანით კარგად აქამდეც,
იქნებ შემძვრელი იყოს, როგორც ლექსის ხატება
და განუგეშოს, როგორც წყნარმა, ნაზმა ნათელმა,
   შებინდებისას ძლივს რომ ანათებს!

ალბერტ ერენშტაინი

დილის ლოცვა

ამ დროისათვის დაღლილია ყველა მეძავი
და უძინარი საბრალო ქალი
სუფევს ცარიელ საროსკიპოში
და ხელით იფშვნეტს მიბლეტილ თვალებს.
ღრუბელთა ზემოთ მდგომო მამაო,
შენი ჩვეული სიმაღლიდან საკუთარ მრევლს რომ ათვალიერებ
და გვიბიძგებ საზიზღარი ავხორცობისკენ,
დაგვიფარე სიფილისისგან!

მე დავიღალე სიცოცხლითაც და სიკვდილითაც

და მანქანები უზარმაზარი დაჰქრიან, როგორც ბუზანკალები,
აეროპლანებს დაუპყრიათ მთელი ეთერი,
ადამიანს კი სად შესწევს ძალა მარადიული,
ეს სამყარო შეატორტმანოს.
ადამიანი ნახველია, ლიანდაგზე დაფურთხებული.
უნდა, დაეხსნას შორით შორიდან შემოჭდობილ მკაცრ
მარწუხებს დედამიწისა,
დღემდე რომ მაინც ვერ ვეთმობით დასაკარგავად,
მოაწევს ჟამი და კუთხეს მდგომი
სამყაროთა წმინდა გუშაგი
თვით მიგვასწავლის სავალს უმოკლესს –
უახლოესი ნისლოვანი ვარსკვლავისაკენ.
არის ყოველგვარ მოგონებაზე გულგამგმირავი –
ერთი ქალღმერთი მტვრისმწმენდავი:
რა მშვენიერი ხის ბაყაყები წამოზარდა გაბრუებულმა,
მაგრამ უკლებლივ დაეხოცა.
რარიგ უმწეოდ იხრჩობიან უსაზღვრო ზღვაში ბობოქარი
მდინარეები.
ვერ შეიგრძნობენ დიად გოეთეს
გასაოცრად მოცეკვავე მეომრები სიუს ტომისა,
ვერც ქრისტეს ვნებებს – სირიუსი,
უმოწყალოდ მარადიული.

გრძნობიერებით განუმსჭვალავნი,
თუმც ერთმანეთის პირველქმნილად თანამგრძნობელნი,
ზემოიწევენ შეუპოვრად და ეშვებიან დაბლა-დაბლა
დაუსრულებლად
მზეებია თუ ატომები: სხეულები სივრცით მოცული.

ეროსი

ვარვარებს წითლად მშვილდოსანი ღმერთი ეროსი,
თავის კუნძულზე დიდებულად მოულხენია.
დასრიალებენ მოშვებული ბაგირებით
ტალღოვან ტბაზე მამაკაცები
ბედნიერად, ბაგემდუმრიად.
და ბანაობენ წყაროებში მშვენიერ ქალთა,
ალერსის ღირსთა,
თეთრ ნათელში მოელვარეთა;
გარემოცულან, ატლანტიდავ,
ღვთაებრივი ვნების მომძღვნელი,
სპილენძოვანი შენი მზიური სასძლოებით
და საძოვართა მწვანე მინდვრის სხეულებითაც.

მაგრამ ბოროტო ქარიშხალო!
დღე დამდგარა ღონემიხდილი.
უებრო სევდის ქრისტიანი შავი ბერები
უკვე აღძრულან მეშვიდე ცის ნეტარების დასამარცხებლად.
ო, ნუთუ, მოკვდა ბობოქარი?
თუ წარიტაცა მრისხანებამ დედამიწისა?
მის საკუთრებად გარდაქმნილი მონა-მხევალის
ხარბ ოცნებებში გრაფებს ოქროს დაედო ფასი,
აღფრთოვანებულ საღამოს ცაზე
ძილს ეძლევიან სამუდამოს ვარსკვლავები აფროდიტესი.

მეზღვაურული

მკვდარი აგდია სანაპიროზე,
მეზღვაურების მონატანია.
ნეტავ, ვინ გდია სანაპიროზე?
მეზღვაურების მონატანია.

გაჩნდა თოლია სანაპიროზე,
თავი ჩაჰკიდა, სული დალია.
ნეტავ, ვინ იყო სანაპიროზე?
თავი ჩაჰკიდა, სული დალია.

ორი თოლია სანაპიროზე
ბუდისთვის ბუმბულს დახარბდა როცა,
სხვა მეზღვაურმა სანაპიროზე
ნახა, ორივე იქვე დახოცა.

ცეცხლზე შეიწვა, ცოცხლად ღეჭავდა,
ღიღინით ჩანთქა ორივ თოლია,
მკვდარსაც წააძრო მერე ბეჭედი
და შვილებისთვის წაიყოლია.

მკვდარი კი ეგდო სანაპიროზე,
ზღვა ხმელეთისკენ მოიქცეოდა.
იპოვა მკვდარი სანაპიროზე,
გახელებული მოიქცეოდა.

მკვდარს რა უნდოდა სანაპიროზე,
ეჰ, თოლიებო, ვის მიაბარეს?
თქვენ უნდა თხაროთ სანაპიროზე
მეზღვაურული ჩვენი სამარეც.

ომის ღმერთი

რა უდარდელად წანწკარებს წყალი!
სისხლი სდის მინდორს, რაც ყოველთვის ხდება მიმწუხრზე.
მაგრამ, იცოდე, შეიმუსრება
თავი მხეცისა, ბანჯგვლიანის, ზეშემართული.
უმწეო ცხვირ-პირს გადავუპობ
კაცთა მოსისხარს,
გაგიცამტვერებთ დედამიწას მე, არესი, უმძვინვარესი.
ამაოდ უხმობთ ღმერთს, რომელსაც არ ეყურება!
ნუთუ, ვერ ხვდებით:
ქვეყნიერებას განაგებენ ეშმაკები – მსახურნი ჩემნი,
რომელთაც ჰქვიათ მძვინვარება და უგნურება.
ქალაქთა ირგვლივ,
ყველგან ძელებზე გადავჭიმე კაცთა ტყავები.
ეს მე ვზიდავდი ციხე-ქალაქთა მიმორყეულ კარიბჭეებს
დემონურ მხრებით.
მე გადმოვანთხევ გამოფიტულ ომის დროებას
და მთელ ევროპას ჩავტენი ომის ტომარაში;
ჯალათურ მკლავზე თქვენი სისხლის
წითელ-წითელი ნიაღვრები მედგაფუნება.
ო, ყოველივე რა საამო საცქერალია!
თავსხმაწვიმიან ღამით მტერი აბრიალდება,
და დაგიფლეთენ ჭურვები ქალებს,
დედამიწაზე
კიტრის თესლივით მიმოიბნევა
ძეთა თქვენთა
სათესლეები,
ხოლო სიკვდილი, თქვენი შვილების ხელთამკვეთელი,
თქვენც, წყება-წყება, ყველას თავებს დაგაყრევინებთ.

სიბინძურის წილ ყველამ სისხლი უნდა გაიღოთ,
გაჭირვების წილ მთელი თქვენი მონაგარია!
უკვე არწყევენ
ჩემს ნადიმზე დამძღარი მგლები.
უხვი აქვთ სარჩო -
თქვენი ლეშით დასივდებიან.
ვინ გადარჩება?
ბოლო მტერია შავი ჭირი,
ო, როგორ ღმუის ჩემში წადილი –
ნეტავი მალე ნატამალიც არ დაგიტოვოთ!

კასტილიელი ბერნალ დიასი

კასტილიელი ბერნალ დიასი
გამოეთხოვა ძვირფას სიცოცხლეს.
მისი თმა, როგორც ჟღალი ღრუბელი,
ფრიალებს ქარში, შეშლილ ქარში, გამორჩეული
სხვა საავდრო ღრუბლების ქუფრში.
ქარიშხალიც მისი ხმით კივის:

“ვარსკვლავებთან და ცხოველებთან სიამოვნებით
მოთამაშე, მინდვრის მხვნელი, ვიკვებებოდი
ხნულებში უხვად ჩამარხული, ნედლი, სათესლე
კარტოფილებით. ღვთისმშობელი შეაკვდა ზეცას
და ვხვდებოდი მხოლოდ ცოცხალ, ბებერ მეძავებს;
როგორც მამალი, მე ვიყავი მათი ერთგული.
როცა მათ გული დამიფლითეს,
მე მოვახრჩე გლისპი ვენერა.

გაზაფხულის ფრინველი და დილის ყვავილი,
ყველაფერი მიიმალა გაღმა ნაპირზე.
მე აქ სამყაროს ღმერთად ვიქეცი,
ზანგი ბავშვების მრისხანე ღმერთად.
მაგრამ აქაც კი მოჰყვება ჩემს კვალს
თეთრი ძაღლი: ბერების ხროვა,
ადამიანზე დაგეშილი, ჯოჯოხეთის მრისხანე გმირი.
ჩემი ზანგი მათ მოსპობას ვეღარ აუდის,
ჩაწვავს ბარდებში – გემებიდან სხვები ღმუიან,
მიაქვთ ოქრო და გვიტოვებენ მხოლოდ პირობებს,
მიჰყავთ მონები, სულებს ძიძგნიან:
შემოიჭრება ჯადოსნური სამყარო და უდაბურდება.

კურთხეულო მაღალი მზის დიადი ძალით,
დააბრმავე ეშმაკები, გამჭოლო სხივო!

უკანასკნელად, კიდევ ერთხელ ავიმართები
ცეცხლთან ერთად. იწვიან და იბუგებიან
წყალმცენარეთა ნაკადებში ჩემი კოშკები.
ჩემი სული უკვე იცნობს მათ ბოროტებას,
დავიმორჩილე უკვე ხორცი – მე ის დავსაჯე,
გაზაფხულზე მარტოობა ვასწავლე ჩემს თავს.

მაგრამ დამღალა ჩემივე სევდის
ქოხმა, დამღალა ნებისმიერმა
კლდემ, ტყემ, მინდორმა, ყველაფერმა როგორ დამღალა!
და თქვენ, ქვეყნებო, მთელი თქვენი მდინარეებით,
ქალაქებო, მდელოებო, მთის კიდეებო,
მოგესალმებით კიდევ ერთხელ – უკანასკნელად!
საცოდავო ჩემო თავო, საით მიდიხარ?
ვიდრე ბებერი, ბრმა და სნეული,
ჯოხს დაყრდნობილი, მივლასლასებ, შენ შემეწიე,
წყალქვეშა გზები მომაგებე შენი ზღვების,
მარადისობავ!''

ბერნალ დიასმა,
კასტილიელმა რაინდმა, შუბლში
დაიხალა ტყვია და მოკვდა.

გეორგ თრაკლი

ხე მიისწრაფის მაღლა და მაღლა,
ზარი ***სალამო*** ინთქმება ხეში,
აღწევს ფესვების მოლურჯო ჩრდილში
და სულს სიმღერით ეხმიანება.

ცეცხლი თანდათან ბნელდება შენში.
სხეული ელის ნათელ მგზავრობას
და, მოქვითინე, ირწევა წყალზე,
სიცოცხლის მკვდარი სამშობლოს იქით.

და შენ, ახალი ზიარებით წამონთებული,
მსუბუქად მიფრენ ჩუმი ცეკვისკენ,
და ქვემოთ რჩება ყველაფერი, ნებისმიერი
“სად” და “რატომ” და “როგორ” და “როდის”.

დედა

გრძელია ღამე.
შენ ხარ ჩემი საშობაო თეთრი ნაძვის ხე,
უცოდველი ვარსკვლავებით გაბრწყინებული;
მშვიდად ციმციმებ, თოვლი მოდის, დროის სიზმარში
ზამთარია, ისევ ზამთარი.

შენ ერთადერთი სამშობლო ხარ!
ჩემი ქალი ხარ:
ღმერთიდან და სამოთხიდან –
შუასივრცის გადამსერი –
ეშმაკამდე, ჯოჯოხეთამდე, –
შენ ხარ ჩემი ადამიანი.

უკეთეს დროში ეშვება თესლი;
წმინდაა და ნეტარია მსხვერპლის სხეული:
გაიპობა გოგონას ტანი,
ჭრილობიდან გამოვა დედა.
დიადია ყოველი გობი,
ყველა აკვანში სძინავს მესიას
და, მძინარე, ბრწყინავს,
ანათებს.

ღამის ლოცვა

უფალო ჩემო, შენს წინაშე მე ვარ მროკავი.
ირგვლივ ყოველი იფურჩქნება, მე ასე ვრჩები.
უძლურებასა შინა უძლურმა
როგორ დავძლიო სიზმარი ჩემი.
ერთხელ მამღერა ნეტარების საგალობელი
და მერე თუნდაც მომელოდეს სამარე ბნელი.

ვენდათა დარნი, ავის მხარშავნი, თმათა შრიალით,
გავათა ქნევით მიმოდიან დედაკაცები.
ო, დედამიწის სამარცხვინო მოდგმა წყეული!
თავის მუცელზე ფიქრობს მათგან თითოეული
ან სარკით ხარობს.
ო, როგორ მინდა, ჩაგიწიხლო
ეგ სახე, ქალო,
მახვილით ჩაგწვდე
მედიდური კისრის ბოლომდე!

ძახილი

ი. ზ.-ს

შენ უმანკო ხარ იმგვარი,
ჯერ სულიც არ გაგაჩნია.
სულიც კი არ გაგაჩნია,
შენ უმანკო ხარ იმგვარი.

არ შეფაკლულა შენი დღე
ჯერ, ვერცხლისფერო აისო,
გამჭვირვალევ და ფხიზელო,
წყალო ცივო და ცინცხალო,
ზღვის - მოცეკვავის - შრიალში
ოქროსფრად მონარნარეო,
ყინულოვანო ასულო,
შენ, შამპანურის ქაფიდან
შობოლი აფროდიტესი.

ვით სამეჯლისო დარბაზი
ხალხით, ზეზეულ მთვლემარით,
სავსეა მთელი მაგიდა
რაინულ ღვინო-არყებით.
დაე, დაძველდნენ ისინი!
ამ ზღვაში წვეთიც მეყოფა -
წყალი ნაკურთხი, შესმული
მაგ შენი მკერდის თასიდან,
რარიგად დავითვრებოდი!

ნეტავი, მერცხლად მაქცია
და შენი მუხლის ფოსოში

მაჭიკჭიკა და მამღერა
მე უამესი ჰანგები!
გიცქერ და მესალბუნები.
ნეტავ, მე დამავარცხნინა
ეგ თმები სანეტარონი!
ეგ შენი ორი პოლუსი,
დღემდე აღმოუჩენელი -
სამყაროს დასაბამია.

მიბოძე მკერდი! იცოდე,
ჩვილი როდი ვარ, მწადია
მე მთელი შენი სინაზე.
მოწყალე და საყვარელი
უფალი-ღმერთი მკვდარია.
რა დაგვრჩენია, ვიწამოთ
ჩვენ ღმერთი სიყვარულისა.

vercxlis qorwili

დაუნანებლად მყვარობს ჩემი ხელისმომკიდე,
მომაწოვინე, ნუ მეურჩები.
ჩემი კერტების ერთგულება შემოგრჩა კიდევ?
ჰა, კორძი ჩემი!

სურვილი

ნინველებსა და ქალებს მხურვალებს,
ქალწულებსა და საროსკიპოებს, შიშს ბაცილათა
და სარეცელში აღტყინებას, მერე – ერთობლივ აბაზანას
მკლავმოხვეული უმღეროდა ზღვის შემოქცევა.
ვუალერსებდი ბეწვს ბოცვერთა,
თეთრსა და ფაფუკს. და მკვრივი იყო ქორფა ხორცი.
ვიცი ჭაბუკი გენიოსის ჭეშმარიტება,
ვიცი, ვით ცრუობს ბერი – ქალი კომედიანტი.
ვგრძნობ გემოს მკერდის; ყურების, შარდის,
გავის და ნდომის, ლაღი სიმრერის,
და ვიცნობ ჟინის საბოლოო ბრძოლის ყიჟინას.
კვლავაც ვისუნთქავ ბოშა ქალის ოფლიან სურნელს
და ნეტარებით მაგონდება
ველური ქალის ბუნებრივი მოთხოვნილება
და მელანდება შტაზი, ექსტაზი
და საყვარელი ფისუნიები.
არას ვინანებ სიკვდილისას, თუნდაც მახსოვდეს,
რომ როზენასთნ არ ვწოლილვარ მე არასოდეს.
თუმცა დღეს უკვე არაფერი აღარ მაღელვებს,
არას დავეძებ,
თუ ეს ლექსიც არ დამთავრდება.
ერთს ვიტყვი მხოლოდ:
ადამიანებს ერთმანეთი ეგემრიელათ
და გემოვნებას ვინ დაუდგეს, აბა, თავდებად.

SekiTxva

თქვენო უდიდებულესობავ, მთვარევ დიადო!
ნება მიბოძეთ, შემოგკადროთ სავსე ღრუბელი:
მოიერიშე უმამაცეს მებრძოლთა შორის
უეცრად ნაღმი რომ იფეთქებს დამანგრეველი,
ნუთუ არავის შეეწევით გადასარჩენად?

ო, სახიჩარი არმიები, მიმოფლეთილი,
და იმათ თავზე გაწოლილი ტყე უდარდელად!
დაე, ჯარებმა ერთმანეთი გააცამტვერონ,
უკვე ირყევა ტყე, სახმილში დაწვის წადილით.

უმწუხროდ დგება შავი ღამე,
აწ საუკუნო.
ო, საყუდელნო, თქვენ, ქცეულნო უკვე ტაძრებად
და შენ – შორეთო ჯერ უშობი განთიადისა –
- ადამიანის განკაცების - ,
თქვენ გეკითხებით: ამ სისხლისფერ ღრუბელთა თავზე
ნანატრი ლურჯი ყვავილობა როსღა დადგება?

საყდარი მინდვრად

მთას მობეზრდა ქარიშხალი; ფუგების ქარი
დანგრეულ სახლში შემოიჭრა, ბალახებში დიდხანს ნაფრენი.
შიშველ საყდარს საკუთარი აშინებს ზარი,
რომელსაც სცვივა დღე, საღამო, და ყველაფერი.

რა უნდა ვიგრძნო,
ყველაფერი შედის ღამეში,
აღარსად მოჩანს პირველქმნილი სინათლის სხივი.
თოვლის კედელი ჩამოინგრა, ზვავად დაეშვა,
ქარი კი არა, სიკვდილი კივის.

მგზავრს მერყევ ქვებზე უსხლტება ფეხი.
მისი ყელისკენ იხრებიან მახრჩობელა, ხმელი ტოტები.
თავისქალაზე ფუთფუთებენ ბუზები ნეხვის.
ვაზიდან ისმის ხმა სიკვდილის, მისი გოდების.

RmerTis sikvdili

ზღურბლი – სურომ, ხოლო თოვლმა – სუროც და ზღურბლიც
გადაფარა. მოვარვარე ლითონის ღრუბლით
დაიფარება თქვენი ნორჩი სიცოცხლეც. უფლის

ხმა არ გეგონოთ ეს გუგუნი, რომელსაც ერთვის
გამარჯვების დამღუპველი ზარების მკვეთრი
ხმა, რომელიც დაგაყრუებთ, რომელმაც ღმერთი

მოგტაცათ. ეს დრო რკინის დროა, და სწორედ რკინამ
შეცვალა ღმერთი, დაძიძგნილი, ნატანჯი, ვინაც,
რკინის მატლებით გამოღრღნილი, ჯერ კიდევ გმინავს,

რკინის რელსებზე მიგდებული. რჩება გოგონა –
ბოლო იმედი, მაგრამ მისკენ უკვე მოგორავს
რკინის ქვემეხი: ის მას გასრესს, არც მის მომგონად

არვის დატოვებს. ღმერთი კვნესოდა,
დიდხანს კვნესოდა: "ვკვდები, მიშველეთ!"
მაგრამ მისი ხმა არვის ესმოდა, მისი ძახილი ვერ გაიგონეს.
ახლა კი გდია, მკვდარი, შიშველი
და ჩვენ ვკითხულობთ ომის ამბებს: შავბნელ სტრიქონებს.

და ყოველი ხე, ნებისმიერ კუნძულზე მდგარი,
მიხვდება, რასაც გულისხმობდა მტირალი ქარი:
მამა, სამყაროს ძველი მამა, მკვდარია, მკვდარი!

ქადაგება

ტყე ვერ დაიმსახურეთ
მრავალკენწეროვანი,
ვერც შორეულ მწვერვალთა მკრთალი გამოდარება.
მიწყივ თავდადრეკილნი ყველა ქარის წინაშე,
ყივით, ვით თოლიები, ძელზე შემომსხდარები.
რა ღირსი ხართ, იცეკვოთ ველზე ცეკვა ველური,
ნახოთ მთა დაფარული, გქონდეთ თვალთა ნათელი.
მიწყივ მორკინალები ჯოჯოხეთის გზათათვის,
უფალს ნუ შეავედრებთ შემოქცევას ვაების,
თორემ გამძვინვარდება მიწისქვეშა ვულკანი,
დაინთქმება ლავის ქვეშ კაცი ხელკეტიანი,
მოვა სისხლის ღრუბელი, ჩანთქავს მქუხარ საყვირებს.
ქვეყნები ჩირქმდინარი: ტორფიანი ჭაობი –
დრო დამდგარა, იხრწნება გველეშაპთა გვამები!

ხორცი

ღამემ დაბურა ჩემი ტვინი, დაობებული
ძილი – ქვადქმნილი – მინგრევს სახეს და
გარდაცვლილი მეგობარი, მივიწყებული,
ძილისძილში მესაუბრება:

“დაუმარხავო, ნუთუ ხმაზე ვეღარ მიცანი?
მე დამარხული მეწოდება,
ადამიანი.
ვარ კაცთა მიერ მიწისპირის ახლოს დაფლული,
ეს შენ დამფალი.
ყეფენ, მყნოსავენ მე ძაღლები გარსმოხვეული,
გამართეს ბანქო ამ გერმანულად გონმახვილი ყელისა გამო.
საქმე ხორცია! ვიდრე ძვლისძვლამდე დამიყვანენ,
მე, მეგობარი ძველისძველი, სახელად მაქსი,
სიზმარში მოვალ
და შენც გარგუნებ მცირე ნაწილს, რათა მიგემო.”

გამარჯვება

გადაირბინა ტყეთა ნიავმა,
წყალქვეშა ნავის გზას გაჰყვა შარად,
წამიღო ნავთან და გედთან ერთად,
ბავშვად მაქცია და გამახარა.

ომზე ზმანება მიუკარები,
ირწევა სული ტალღების ქიმზე,
შემოიკრიბე ზღვის დუმფარები,
ლერწმის ფოთოლთა მაგიერ გიმზერ...

გადაიფრინე, ნუ იგვიანებ,
როგორც ჭრიჭინამ ჭალა მზიანი,
მცდარია: გერქვას ადამიანი!
გასწი, ჭრიჭინავ, ლაღად იფრინე!

საშველად ხმობა

ბაგე, რომელსაც მალე მიწა ეამბორება,
ხომ ვერ ილოცებს დაუსრულებლად,
ვერ ააკვნესებს ანგელოზი რკინისფრთიანი
ძველისძველ საყვირს –
მოგრუხუნე ხმების სალაროს...
სად იმალება რკინისჯავშანშემოსილი
მდუმარე ძალა,
ჯუჯა მეომრებს მუსრს რომ ავლებს
და ადიადებს თავის მდაბალ ამპარტავნებას?..
მოწამლულია შხამიანი გაზით ნისლები,
სისხლის ჭაობში იძირება
მთელი სამყარო
და ყაშყაშებენ ლეშის ახლოს
ხარბი სვავები
და ფრთებით დააქვთ
ცოცხალთა ზიზღი.

სიკვდილს

ჟანგიან ცელით ფუჭად მოხველ დედამიწაზე,
შავი ჭირის ბებერო მაცნევ,
წავიდა შენი ზეობის ჟამი,
გაძვალტყავებულ ჯაგლაგით რომ დაჯირითობდი,
შენ ძველი ნამგლით ამ მიწაზე
ვერ მოიმკი უკვე მოსავალს,
იყავ მთიბავი საპატიო ლეგიონების –
წყალქვეშა ნავთა,
ტანკების და დრედნოუთების
და ვერაფერი ერეოდა შენს ძლიერებას
და შენი იყო გამარჯვება მარადიული.
მაგრამ დღეს უკვე
გყავს მეტოქე უძლიერესი:
ხელყუმბარებით, რაკეტებით, ტყვიამფრქვევებით
უტევს სამყაროს გველეშაპი ცეცხლისმფრქვეველი.
აირწინაღით ემალება მოწამლულ სივრცეს,
ნიღაბს იფარებს უხორცო და მიუკარები,
ის საატანაა – გენერალი წმინდა მესიის,
მკვდრების მკვლელია
და აღარ მსურს უკვე სიცოცხლე,
მოდი, ქოფაკო, და მიიღე შენი არჩევი!

უძლურება

სიტყვის შავ ბურუსში მთვლემარე სამყარო –
ფერმიხდილი სუროს ფონზე
ეშმათა სისხლის საწებელში მოფართხალე ყვავი და ზარნაშო.

გარეთ კი სულს ღაფავს მკბენარებით ტანდაკბენილი
მტარვალი, - ქვეყნის მძარცველი ომი, ძვალში და რბილში
სიკვდილივით ჩაბუდებული, რკინის მუშტის წინაშე კი
საცოდავად შეშინებული.

ჩვენს მეგობრებს, მწვანე მდელოზე,
ჭრიჭინობელას სიმღერებმა დაუგო მახე,
სადაც ტყვიების თავსხმა წვიმის
ბოლო წვეთებს აშხეფებდა კაციჭამია...
ჩვენ ცრუ მსაჯულებმა და
აუჩქარებელმა შურისმაძიებლებმა
დავივიწყეთ თოვლით გაბრწყინებული
ცისფერი მთების მწვერვალების
დანაღმული საშიში გული.
ავხორცი სიზანტით უგონოდ მთვრალებმა
გადავიარეთ საღამოს ტკივილით მოცახცახე ტბა,
რომელსაც ჩვენი მეგობრების დაღვრილი სისხლი აფერადებდა.
ჩვენ დავბრუნდებით ჩვენს მშობლიურ სიბინძურეში,
მაშინ, როდესაც ქვის ხერხემალს გალოკავს წყალი,
ვერ ვეღირსებით სინათლის წვიმას,
რადგან ვიხრწნებით ლოგინების თბილ სამარეში...
ვიდრე იერიშს მივიტანდეთ მტრის ციხე-კოშკზე,
და გადავუმსხვრევთ ხერხემალს მტარვალს –
გაგვჟუჟავს ღამე.

მომაკვდავი ევროპა

მზე ზეიმობდა: საკუთარი თავი დაბადა,
მთვარეს აჰყარეს ამ ყველაფრით თითქოს ღირსება,
ვარსკვლავთა ვერცხლის ბურბუშელის ჩუმი წკრიალი
ღრუბლებს ავსებდა.
კვალად კი ოთხი ქარბორბალას უკაცური ლაბირინთების
უსახო ჩრდილი დაჰქროდა წყლებზე და ირწეოდა.
რატომ და რისთვის? კითხვა ჩნდებოდა.

ვინც ამოზიდა შიშის ქვები ველურ ნადირთან საკუთარ მხრებით,
ის იყო ქვეყნად პირველი კაცი,
ვიდრე სიკვდილმა თავისი ხელი გაუწოდა და თვალები
ამოუსრუტა.
ჰო, და სულელი მეფეების ყოფილა მიწა
მათაც შემოჰკრეს რისხვით დაფდაფებს,
მსხვერპლად შეწირულთ დაავიწყდათ საკუთარი კეთილი ღმერთი,
გაკადნიერდნენ, შეუჭამეს თავის ღმერთს კვერთხი.

და აყეფდნენ მეომრები, როგორც ძაღლები.
“გავსრეს ყველაფერს!“, გაისმა სამჯერ ხმა შემზარავი,
ეს გაჰკიოდა მძიმე სენით შეპყრობილი ახალშობილი,
მთაზე შეფენილ უღრან ტყეში თითქოს ღვთისაგან მიტოვებული,
პირქუშ თელების ხანძრისაგან შეჩვენებული და განწირული.
მრისხანე შუბლი – თავდახრილი და მდუმარე,
როგორც ცხედარი, შემოსილია სახელოვანი
ბერძნული ღმერთის გმირულ ჩაჩქანით და
მას მკვლელობა ჰქვია სახელად.

შავი შაშვების ჩრდილი გაფრინდა,

მელოდიის მაქმანებით შემოსალტული,
ეს ტბილი ხმაა, შავი ჩიტის მუსიკაა ნისლგარეული,
მე თქვენ მოგმართავთ: უკიდეგანო და უნაპირო
დროების მკაცრო სიმაღლეებო: შენობებო და გორაკებო,
ბულბულის ხმით მოჟღურტულენო,
ვერცხლისფერი ქალაქის წიაღს ჩაბუდებულო მწუხრის ჰანგებო.

შიშნარევი ძილბურანიდან კვლავ გამომარკვევს
ტანჯვით გაღებულ ფანჯრებიდან
ფლუიდივით მომდინარე ქალების ნატვრა:
უკვე აღარ ჩანს ის გოგონა, ტოროლასავით მოჭიკჭიკე,
შენს სარეცელზე, მეომარო, გმირო ჭაბუკო, და მებრალები.
მარადიულად ჰყვავის ქვეყანა, მაგრამ კვლავაც მეორდება
მკვლელობის სცენა: აბელი – კაენს,
გოლიათი – დავითს,
ნესტორი – მემნონს,
ქრისტე – იუდას,
თითოეულს კი მკვლელი ჰქვია ადამიანის.

მარადიულად ლაღი სიცოცხლე – ეს არის წყალი მოლივლივე,
ბედნიერების განცდას ბადებს მისი ტალღების ოაზისში
განავარდება.
მრავალი მსხვერპლად შეეწირა წლობით შიმშერებს,
ეს მომხიბლავი მკვლელი ზღვებია,
უცნობ წყალქვეშა ღმერთისადმი წარმოთქმულ ლოცვით,
რისხვით, ღრიალით მოსულებს რომ ეგებებიან.

ეს ლოცვებია, ხმლებით დაჩეხილ, ცეცხლმოდებულ მხედრიონთა
თავზე რომ ისმის,
როგორც ჰიმნი გამარჯვებისა,
არწივის მსგავსი, თვალშემართული მფრინავები

თავზე თამამად დასტრიალებენ გადაბუგულ ქალაქებს, სოფლებს.
ჩინგის ხანის წითელი დროშის
ფერადოვან სისასტიკეს, ამაოებას.
თქვენ სინათლის სხივით თამაშობთ, მას ისე ისვრით, როგორც
ცა – ელვას,
რისთვის გჭირდებათ საპასუხო ცეცხლი-პაროლი,
სიგნალი თუ კითხვის ნიშანი?
ვის სწირავთ მსხვერპლად საკუთარ თავს,
ჭექა-ქუხილი ვის აძლევს სიგნალს,
ხელებს ვინ ითბობს კაცობრიობის განადგურებით?!

საფლავებიდან თუ ქვესკნელიდან,
სანგრებიდან წამოსული ყრუ არსებები
ზეცას ღაღადით შესთხოვენ შველას,
ტყვიებზე ზევით ადის მათი ხმა, იმოსება ნაცრისფერ-ლურჯად,
ბრმად შეერევა ქინქლების გუნდებს.

მიწავ, ბნელეთის მბრძანებელო, ო, შენს სხეულზე
მიცვალებულნი გვამთა მტვერით იმოსებიან,
შენში დაგუბდა ყველა სიმწარე ამქვეყნიური,
სიკვდილის ცაო, რა მძიმე ხარ და კეთროვანი,
შენ შემოგბღავი მე საბრალო, როგორც ტყიური:

“მქუხარ ზარბაზნებს, მიწის ღმერთო, ვერ გაექცევი,
საკუთარ წვერში ვერასოდეს დაემალები,
რა პასუხს გასცემ ბინძურ წყლებით,
ტურების ლეშით დაწყლულებულ ადამიანებს.
ქარიშხალში ელვარებენ ქარბორბალას გველის თვალები.

უცხო ღრუბელი, ალბათ, მალე ახალ მთვარეს შობს,
და ნელ-ნელა აგავსებს შხამით.

შენ არ ხარ ღმერთი,
რადგან მატლებით, ჭაღარა თმით ხარ შემოსილი,
მკერდების ლეწვით მიმოდიხარ –
შენ ხარ სიკვდილი.

წმინდა ვარსკვლავთა ზღვების გუშაგნი
კარგა ხანია არ არსებობენ,
მათგან დღეს უკვე ფერფლიღა დარჩა,
ისინი ხომ დარდმა და სევდამ გაანადგურა.
მზე სირცხვილისგან იწვის, ხოლო შენ?
შენ რაღას გვეტყვი?!”

ხმა ბარბაროპას თავზე

მზეო, მნათობო, შენ სიშიშვლეს სიმწვანით მოსავ,
ჯეჯილის კაბას აცმევ გარემოს.
გახარებული ბეღურები ნათელი სულით კენკავენ მარცვლებს,
ღუზას ჩაუშვებ ადამიანში, ყველას თანაბრად მოეფინები.
ხოლო ჩრდილების მომფენი ჯუჯა სიბნელეში ცდილობს არიოს
შენი ცხოვრების დღიური თესლი.

მას, ვინც ხვალინდელ სიბნელეთა სრულყოფილებას
პირველქმნილი ნისლი შთაბერა,
მზის ბურთად შეკრა ნაკადი ცეცხლის,
და იქვე თანავარსკვლავედთა შექმნა ტანდემი,
მას არაფრად მიაჩნია თავის ცელქობა.
არად აგდებდა მუცელღმერთა კაცს,
მტვრის ტილს და ველურს,
ვინც ტრამალში თუ ზღვის ნაპირზე
ხორცს საკუთარ ხელით დაფლეთს და,
კლანჭმომართული, ღრიალით ეძებს გამოქვაბულში
სიკვდილისთვის გამეტებულ თავის თანასწორს.

მზის შუქით მოვარაყებულო საღამოებო,
გეხმიანები, ოქროს დაისო! სად არის ხიდი მდინარეზე?
უძილო ღამის ნისლი ფარავს ნაცრისფერ ქუჩას,
მომძლავრდნენ ისევ ნიაღვრები
და გადარეცხეს მეჩეჩები ლიანდაგებით.
სისხლის წვიმები უკვე ზღვად იქცნენ
და ჩვენც ვფართხალებთ ძილის ჭაობში
და შეუპოვრად დავეძებთ ნაპირს.

უკანასკნელი ბრძოლის ჟამი როდის დადგება?
ბარბაროპის და ევრაზიის გამაყრუებელ
მკვლელობის ღამის დასასრულით?
თქვენ საკუთარი ჭებიდან თვრებით,

ქანცგამოცლილი ეშვებით დაბლა –
სასმელში რომ დაიხრჩოთ თავი.
სისხლის ნიაღვრებს ახალისებენ
შავი გედები ფრთების ტყლაშუნით.
ცას შეჰღაღადებს ბინძური წყალი,
პირდაღებული ქვიშა გიმზერს
ამოსუნთქვის ბოლო აკორდით.
ტირილი დედა-სამშობლოზე
მხოლოდ ტკივილს შობს:
ძვლებამოშვერილ მინდვრებს ბრძოლისას,
ეს ნიშანია, ანუ –
ბრძოლის გამოცხადება.

სამშობლოსათვის ბიბინებს მიწა,
მწვანე მინდორი –
ხავერდის ფარდა;
იქ, ხმაურიან დარბაზებში, ნადიმობისას
თავს იწონებს მეფე ტანჯვისა.

ლეშს ლეში ჰქვია ყველგან სახელად.
დემონს, რომელიც მშვიდობაზე ურცხვად გაჰკივის,
ომის გვირგვინით მოურთავს თავი. მოდით, მოფრინდით, არწივებო,
ჩაასვით თქვენი ბასრი ბრჭყალი მის პირქუშ სხეულს!

მოკლულ ძმას

ჰოი, ყმაწვილო, არაფერი გინახავს ვისაც!
შორს ჩანდა ფრონტი,
ახლოს მხოლოდ ექიმი იყო.

იმ შეხუთული შენობების სივიწროვიდან
მასწავლებელთა ხუშტურები გიბრუნდებოდა,
თავს ისიზმრებდი გმირად მთევარს საგუშაგოში,
ომის მაცდურ და დაუნდობელ აბლაბუდაზე
ფრთებშერჩენილო, მოფრთხიალე სუსტო ფარვანავ!
ჩამოიფერთხა მტრედისფერმა ცამ ვარსკვლავები,
შენს ფეხსაცმელს კი ექსკურსიის მტვერი შემორჩა.
შენ დამშეული მუშაობდი, იწყებდი ხველას
და მტვრით მოსვრილი იჩქაროდი ქუჩის ბოლოსკენ,
სადაც სევდიან და უსასო საღამოისას
გიწილადებდნენ ჯარისკაცთა სარგო შაფართხელს.

შემდეგ მოჯარდნენ ტკივილები,
არ წუწუნებდი,
მეგობრებისთვის არ გეწადა ტანჯვის გამხელა.
იმ საშინელ დროს არაერთი გახლდათ მსურველი,
დანიან მკლავს რომ სთავაზობდა
ჯანმრთელ ბრმანაწლავს.

შენ ცნობამიხდილს,
სასიკვდილო სნებით დასერილს,
სიმულანტობას გაბრალებდნენ ველის მკურნალნი.
და ბოლოს, უკვე სასიკვდილო ჟამის მოსვლისას,
როცა დღეები საავადო ჩირქივით დიან,

დანა მიუსჯის ყასაბ-ექიმს მკვლელის ხელობას.
შენ ამ ჯოჯოხეთს ცრემლდაცლილი უცქერდი, ბალღო,
ვენის სამხედრო ჰოსპიტალში სიხლდამდინარეს
სხვათა სიკვდილის თვალდევნება გერგო სასჯელად.
კეთილ მომვლელ ქალს შენ აჩუქე ანდერსენის ზღაპრების წიგნი,
ხოლო ერცპრინცებს შენს ასაკში თავში უქრით და
მაგიდის ჩოგბურთს ეძლევიან ყოველცისმარე.
ომი? ომი ხომ ბრწყინვალეა! ფეოდალთა ბუტაფორია!
შენი წილი კი ინექცია და ფუტკარაა,
ქაფური, დოზა კოფეინის, სუფრის მარილი.

საშინელ ტკივილს ახლავს ურჩი სიცხის მატება
და მონატრება მშობლიურ სახლის.
შეიღო უკვე ის ჭიშკარიც უკანასკნელი.
ო, რა ამაოდ გადაწყვიტე გესვა ბევრი რძე,
და წაგერთმია ეგ სიცოცხლე სიკდილისათვის...
არადა, თურმე,
იმ დახოცილ ჯოგთა შორის
ეგულვოდათ შენი ალაგი.

,,ნუთუ, არა გსურს რძისფერ ნისლის შესმა, უფალო?!
- მე, შეშლილთა მწე, ჩურჩულს ვანდობ ღმერთს, შემძლეს ყოვლის.
- შეხედე, ცაზე მრავალია რიცხვი ვარსკვლავის,
საწყალობლად რომ ღაღადებენ ქვეყნის საჩივრებს.
ბოლოს და ბოლოს, დაამშვიდე შენი შვილები,
შესაქმისეულ ახირებებს შეეშვი ახლა
და შეუდექი უკანასკნელ შემოვლას, ღმერთო.

მზის ღამედ მქცევო,
მასპინძელო ციურ ტატნობის,
კაცო, მთვარეში მოვლენილო, გადათელე ვარსკვლავნი ფეხით!

გამოაცალე უდრტვინველი ჟამი დიდების,
ომის ვაება და სიკვდილი წაჰგვარე მალე.
ჩემს ძმას ხომ მხოლოდ ზღაპრის წიგნი ჰქონდა, უფალო,
და – ჯარისკაცთა სასიკვდილო ცოტა სახვევი.
ყმაწვილს ჯერაც ხომ არაფერი ენახა ქვეყნად,
შორს ჩანდა ფრონტი,
შენ იყავი ძალიან ახლოს!”

didi qalaqi

საითკენ უნდა აღვიმართო?
როგორ გავექცე ამ ქალაქის უშქარ შენობას,
ჩვენ ვცოცხლობთ მხოლოდ და ცხოვრებას ვეძახით ამას,
ჩვენ არ დავდივართ, ჩვენ, უბრალოდ, ასე ვბერდებით...

კივის ქალაქი, იტოტება უამრავ ქუჩად,
ყრუს დაანარცხებს პლაკატების ავი გინება,
შუქრეკლამები იქცევიან საპნის ბუშტებად
და სადღაც, შორი ვარსკვლავისკენ, მიიჩქარიან...

ემშვიდობება ბერიკაცი განავალს ნაზად,
ვით უკანასკნელ პირმშოს თავისას.
ახალშობილი კი სხვა თვალით უცქერს სამყაროს,
სხვა სიმკაცრეა მის მზერაში
და მის სალამში.
„შე ქაქო!" –
ამას შესძახებს და უმალვე კვდება.

მელანქოლია

უკაცურია ჩემი ქუჩები,
ვერ უსალბუნებს მათგან ერთიც ჩემს მტანჯველ სევდას...
ჩემი სიმღერა ბინდისფრად ითქმის,
ხრწნას შეუპყრია ჩემი გული მიტოვებული.

აღარ მიველტვი სოფლებსა და ქალაქებს უკვე,
არც – სიველურე სამხრეთის ტევრთა,
აღარ მინდება ზღვისპირ წასვლა და ხეტიალი,
არც – მთა, მთვლემარე მწუხრის ნაცნობ
ვარსკვლავთა ჩრდილქვეშ.

მე უკვე მოვკვდი მრავალი წლის წინ,
გვამი კი მძიმე, ცარიელი, ეს ჩემი გვამი, ჯერ ცოცხალია.

გამოთხოვება

ეს ჰაერია, ყოფის სუნთქვად რომელიც მყოფნის,
ცეცხლი, რომელიც გამომახმობს და ფერფლად მაქცევს,
წყალი, რომლითაც მე ვრწყულდები,
მიწა, რომელიც დარწყულდება ოდესმე ჩემით,
ის ცხოველები, მომელტვოდნენ რომლებიც ადრე,
კაცნი, რომელთაც მიმატოვეს, დამამარტოვეს...
მოღუღუნე ქალთა სიცილი
ანდა კივილი შეძრწუნებულ მშობიარეთა...
სისხლი, რომელიც ბორგავს ჩემში,
სული, რომელიც ჩემში ქვითინებს,
და ქარიშხალი, ჩემს გარშემო რომელიც ბორგავს,
მწუხრი, სიჩუმედ ჩამოდგება ჩემში რომელიც,
გონი,
რომელიც აგემოვნებს ყოველგვარ ენას,
დადუმება ყველა ენისა,
მზე, წითელი გზის შემოვლისას,
მთვარიანში ვარსკვლავთა კრთომა,
ბალახების მწვანე სიცოცხლე;
ეს თქვენ მგვრით ცრემელებს –
კეთილ სავალს გისურვებთ ყველას,
თუმცა, მე არვინ შემეწევა ჩემს ობოლ გზაზე,
არც შინ ვბრუნდები, იქ ბრბოს ავი მომელის ღელვა,
საწყისის მიზეზს ვერ დავარქმევ ზვიად სინათლეს
და ის არც ბოლო დაბინდების მიზეზი არის,
ეს სიზმარია, ჩაეძინა რომელსაც უკვე,
ჩრდილი უჩუმრად დაფარფატებს უსიერ ტევრში
და დღე ხვალისა დღევანდელ დღის სამარედ სუნთქავს,
კვდება იმედი, დამღუპველი არის ცხოვრება!
ცოცხლობს სიკვდილი არსთა მარად მოსაკვდინებლად.

მეკობრეთა სიმღერა

ერნსტ როვოლტს

შეხე, ვარდება ის იუნგა ანძიდან წყალში.
გემი კი მიდის, გემი ისევ ისე მშვიდია,
და კაპიტანი – ეს ბებერი სელაპი ზღვათა –
მიაპობს ტალღებს უშფოთველი მოხუცის სახით.

დიდი სახელი გაგვვარდნია ამ წყეულ ზღვებზე,
მაგრამ მეგობრებს ამ ცარიელ სახელზე მეტად რომი გვიტაცებს.
სიმთვრალე და გემის რყევა ერთნაირად გვემხურვალება.
ვინც ვერ აიტანს, ვერ დაითმენს ცხოვრებას ამგვარს,
შუა ზღვაში პირის საქმეაა იმათი წესი.

თუ მტრის ხომალდის ზარბაზანი ჩვენს ქვემეხს მეტობს,
დღეს უსათუოდ დაგვახლიან ცეცხლოვან ტყვიას.

საროსკიპოში გამოგვრიყავს
ხვალ ავი ტალღა,
ნისლში ვიცურებთ
და – დუქნების თამბაქოს ბოლში.
თუ ჩვენი დანა გაიხსნება –
დამშვიდდება ზღვასავით ზოგი.

და ჩვენი სისხლი დულილს იწყებს სანაპიროსთან,
სადაც მეძავებს არ ეძებენ ღამეში სანთლით.
ჩვენს განძს ღრმად სძინავს საიმედო მიწის საბნის ქვეშ,
რადგან ბევრია ბენტერა და ძილისმოყვარე

უძირო ზღვისპირ მიმოფენილ ნავსადგომებში.

რაში გვარგია ოქრო-ვერცხლი,
მარგალიტები?
ვსვამთ არაყს,
არაყს გამოხდილს და გამოუხდელსაც,
ვთამაშობთ მერე, ვჩხუბობთ მერე,
და გიჟ-მაჟად საღამოვდება
თვალგაუწვდენელ, მშფოთვარე და ვერცხლისფერ ზღვაში.

თუ ამის მერე, წყალმცენარეთა ნაცნობ ეშმაკს ჩვენი დასჯა მოესურვება –
შუაღამისას, უძილო ზღვაში,
საკუთარი ჯოჯოხეთის ნატიფ სალონში
გაკუპრავენ და გაპუტავენ
იმ ეშმაკის საყვარელ ბებოს.
ჩვენ არ გვექნება, როგორც ვირთხებს, საფლავები სანაპიროზე,
ჩვენ ქარიშხალში მიგვაბამენ გაშლილ აფრებზე
და „ჰოპლა" მერე, მეგობრებო, კურთხეულ ზღვაში,
თუკი ზვიგენი არ გამოტყვრა და არ შეგვსანსლა,
მე მტკიცედ მჯერა, იქაც ასე ვიცოცხლებთ მკვდრები.

საწყისი

ჩვენი სიცოცხლის წინაშე სცოდა
ვეება მზემ – ამ უგნურმა საწყისმა ნულმა.
უკეთურების ნიშანი იყო
მისი შორი და წითელი გრგვინვა,
ყაყაჩოების მბზინვარე ტალღა,
კაშკაშა ფრთები
და სინათლის სასიკვდილო სამართებლები.
ო, წინ გვისწრებენ საათები იმის მერე,
რაც ბედისწერის ბრმა გუშაგს გახრწნამ
გამოსძალა ჩვენი „სიცოცხლე".
მას მერე, რაც რომ ფულის გუშაგმა
გამოიგონა ჯადოქარი – სახელად შრომა.

ფელიქს ბრაუნი

მკითხველი

ერთი მითხარი: არ გაკვირვებს, რომ შენ, რატომღაც,
წუთისოფლიდან უცნობების წასვლა გაკვნესებს
და, მარტოსული, რომ ოცნებობ ისეთ საგნებზე,
რომელთა ყოფნა რახანია იქცა არყოფნად?

საიდუმლოა და არ იცი ავანჩავანი –
რატომ დაჰყურებ სიტყვებს, როგორც რაღაც სურათებს
და გამწვავებულ სიჩუმეში რად აყურადებ,
თუ რას განიცდის, ანდა რაზე ფიქრობს მავანი.

კითხულობ, ფრაზის უკან მხოლოდ ფრაზა გეგულვის
და, სავარძელში ღრმად ჩამჯდარი, კითხვის უწყვეტად,
მკლავებს ტირილით ჩამოაყრდნობ სახელურზე და
მომდევნო ფურცელს შლი ბავშვივით აღტაცებული.

და ბოლთის ცემა, მწუხრის მზეზე თვალის შევლებით,
და სტრიქონების ჩამღერება ზარის რეკვისას;
მიხვედრა, მათით რომ ირკვევა ძრო ცხოვრებისა,
თუმც ქარში მაინც იპნევიან – გაურკვევლები.

მარადისობა

ეძღვნება ემილ ლუკას

ვარ დაქანცული ათასწლოვან სახით და გეშით,
უხსოვარ დროის დასაბამი მავლია ალყად.
ჩემი ბედია: ზღვაზე ვიყო ყოველი ტალღა.
ჩემი ბედია: ვიყო ყველა ფოთოლი ტყეში.

მე გაჩენიდან გაჩენამდე შემომაქვს მზე შინ
და სხვის სუნთქვაში ვემალები არყოფნის ბალღამს,
სიკვდილს კი გზების არევაში ბადალი არ ჰყავს
და ყველაფერი აჰასფერობს მიწიურ წრეში.

ამ ცხოვრებაში ფესვგადგმული, ვილტვი ახლისკენ,
აღსავსე ბნელი წინათგრძნობით და შუქს მაღვრის მზე –
ვარსებობ ასე მოლივლივე: არც აქ და არც იქ.

მაინც შევიგრძნობ სულს და სხეულს და ვამბობ: მე ვარ.
ვთრთი, რადგან თავი დამიკარგავს მრავალჯერ, მძლევარს,
მაგრამ ყოველთვის მიპოვნია ის თავის არსით.

შინაგანი ცხოვრება

ვინც დიდხანს დაჰყო ქვეყნად სულის შუშისებრ სახლში,
მას აქვს უფლება, ახლებურად ყოველი ჭვრიტოს,
ის შეუმოსავს ფერად ლანდთა სიცოცხლის ქიტონს,
მისი სხეული ათინათობს სიბნელის დახშვით.

მზერას უშიშრად მიმოავლებს ქვასა თუ ნახშირს,
როგორც ფუტკარი — ნამის ფიფქის მკოცნელი ხვითო,
როს, მოსაძღვნელად თაფლიანი თასისა, თვითონ
მინდვრის ველური სურნელების იზიდავს ნაყში.

ყუჩდება, როგორც მორჩენილი სნეული ყუჩობს.
იკვლევს ბაღს, ხეებს, შეიმეცნოს უნდა ყოველი —
შემგრძნობელს არა სიცოცხლისა, არამედ ხატის.

თავის თავს მწუხრის ვარსკვლავად რომ ხედავდეს — უჯობს:
ასე იზარდა. ასე მყოფობს მიუწვდომელი,
თუმც მშვენიერი მისი სხივი ღმერთამდე ადის.

ᲔᲔ

“მე“, ამბობს სული, მაგრამ სახეს შეხედე მანამ.
ასევე, საწყალ ქალს შეხედე, რომელმაც გშობა.
იქ ჩაიძირე, სადაც სუფევს მშობლების ტკბობა,
მამრის ტკივილი, მდედრის ჟინი შენშივე წვანან...

საკუთარ სქესში ჩაიძირე, ასევე შენსავ
შეჯვარებაში, რომლის სისხლის ყოველი წვეთი
მიწაში ყუჩობს — ან ცხოველის ძარღვებში შედის
ან სულაც მოჩქეფს ღმერთებიდან და ბზარებს კემსავს.

— უკან! რა სავსე ხდები ღამით! შუქს მთვარე გახვევს.
მძიმედ ირხევა თავი შენი და შენსავ სახეს
ათასმაგს ხედავ იქ, ბალახში, ქარაფში, ხეში.

შენ კი გსურს იყო ერთადერთი და შიში გმუსრავს:
ებღაუჭები საკუთარ ლეშს, საკუთარ სულსაც, —
კვლავ შენთან არის სიზმრად შენი სული და ლეში.

იმედი

როგორც კი ნახავს ამოყვინთულს, იმედი მყისვე
მას მიაშურებს და ჰგავს ვარსკვლავს, წრიულად მოძრავს,
და – დაჩოქილი – ჩაღუნულ თავს უწევს და მოძღვრავს,
რომ ფლობა სუნთქვის ხელოვნების ჭირდება ისევ.

ასევე უხსნის იმასაც, რომ ნებივრად, ცისფერ
შუქში, ადრიან დაეწაფა ცხოვრების ძროს და
დატკბა იქ, მაგრამ ძალზე გვიან იგრძნო, რომ დროსთან
წარმავალია ცხოვრება და შეერწყმის ნისლებს.

იმედმა რაც არ უნდა უთხრას, წმინდაა მისთვის:
“გაზაფხულდაო, მოწყვიტეო ყვავილი მალე!” –
ის ხელს გაიწვდის, იქ კი ფუყე ადგილი იცდის.

იმედი ამბობს: “სთველი არი და ნაყოფს მისწვდი!”
და ძირს ვარდება, ზეციურ გზას წამიერ გალევს
და, ბალახებში ჩავარდნილი, მილულავს თვალებს.

wminda eqo

სიყვარულის ბნელო ქნარო,
სული ტკბილი ხმებით მოსე,

ის ყმაწვილი არსად არი –
ვინ გაჟღერებს საღამოზე?!

იქნებ – ბერი, ლანდის დარი!
იქნებ – ქარი, რამდი-დარი!
იქნებ – მთავარანგელოზი!

იქნებ – ღმერთი, ტკბილო ქნარო,
შემოქმედი სამყაროსი!

ასტროლოგია

იქნებ ძლიერმა სიყვარულმა გაუძლოს ტკივილს
და გადალახოს ვარსკვლავეთი შუქით ფარულით,
რაც ბედისწერას ქმნის თავისი პირველი სხივით.
— ეჰ, რომელს ძალუძს განადიდოს მზე სიყვარულის!

ვერა, ის ლომის სიამაყეს ვერაფრით მოხრის,
ლომისას, რასაც შესიციცინებს თავად ვენერა.
ასეთი სული მარტოოდენ მოთქმის და ოხვრის
მახლობლად ანუ ტანჯულთ შორის მოისვენებდა.

მაგრამ როგორღა შეძლოს გულმა ამოძრავება,
ირიბი მზერით სატურნი რომ ნაზად გარინდავს?!
ვეჭვობ, გავლენა განიცადონ ამ ვარსკვლავებმა
ჩვენი, ვისზედაც ბატონობენ დასაბამიდან.

რომ აღდგომოდა წინ განგების ძალას, იესო
უფალს უხმობდა ზეთისხილის მთაზე ვარამით,
რათა დაეხსნა მტრის ხელიდან ყოვლადძლიერს და
ცისკრის ვარსკვლავით გასხივოსნდა ირგვლივ წკვარამი.

მაგრამ შენ მაინც გაგებედა გსურდა, ბრიყვულად,
მეტოქეობა უძლეველი ვარსკვლავებისთვის,
შენ, ვისი რწმენა ეჭვითაც კი შორს გარიყულა.
შენ, ვისაც ქარი სუნთქვასაც და გზასაც შეგიცვლის.

გსურს, ღრიანკალმა არ გიკბინოს ყოფნის ბინადარს,
ვერძს კი გაექცე და იმედით ფრთებსაც ისხამდე,
ისინი მშვიდნი კი არიან, მაგრამ ვინა თქვა

ლომის სიმშვიდე, რაც უღმერთოდ არის მრისხანე!

სულების შემძვრელ ენერგიას ვერ იგრძნობ სამყოფს –
მათ ბედისწერას უცვლელობა აქვსო მოსჯილი.
თუმც ავდრებით და წყვდიადებით უფალი ამხობს
იმ სულს, რომელსაც აღარ უნდა იყოს მორჩილი.

ვარსკვლავი მართავს ჩვენს სულსა და მისივე ბუნაგს
და უძლეველი მზეც გვმბრძანებლობს კუბოს კარამდის,
რაც ზოდიაქოს ბორბლის მიწყივ მოქცევით ბრუნავს
მარადიული ჯვრის გარშემო აწ და მარადის.

ლოცვა

თუკი შენი ვარ, მაღალო ღმერთო:
სული – შენს სულში, არსი – შენს არსში,
დღემდე რად აღარ განმკურნე, მაშინ,
მე, სნეული და უძლური ერთობ,
ანდა ძლიერი რატომღა არ მშვი?!

ვიცი თუ არა გზა ხსნისა კარგად,
აღარ მწყურია, რაც არის ამო –
მადლის მოხვეჭა არაფრის გამო,
ოღონდ რაც შენკენ სწრაფვისთვის ვარგა,
იმით სირცხვილი არასდროს ვჭამო!

შენ მონადირეს იმდენი ძალა
მიეც, რომ შველი არასდროს მოკლას
და ნუკრი არსად დატოვოს ობლად.
ვის როგორ სწამხარ, იმგვარად ძალუძს
თავის თავისთვის სიამის მოგვრა.

მუზის დამშვიდობება

ნუ ძრწი: ეს ნაძვი ხედ დარჩება და მოხვალ მასთან.
ამ მიხაკს ზრდიდა, თესლთან ერთად, ფესვები თვისი,
როგორც ესტუმრა დროს სიცოცხლე შენი თუ სხვისი
და ჰაერითღა ხდება სივრცის გავსება, გაზრდა.

ვერ ძლებ უსიზმროდ? – ის ხომ ძილში გეძლევათ კაცთა?!
ამ დედამიწას, არა ღამით, არამედ დღისით,
ხან – კაცის, ხანაც ქალის თვალით იხილავ მიწყვივ,
ბავშვის თვალით კი, არასოდეს – კავშირი გაწყდა.

ვისაც ვშორდები, იმას, დღემდე, ყოველი ნივთი
უცრუებს იმედს. გულებს ვსტაცებ დარდსა და სწრაფვას,
ენას კი – სიტყვებს, როგორც ჭაღი, იტაცებს ძაბვას,

სიტყვას აქვს შუქი, როგორც პეპლის – ჰაერში – ტივტივს.
და შეეცადე, როცა სიტყვის ყვავილებს პენტავ,
სიღარიბემაც იგალობოს შენში ან შენთან!

ზალცბურგული სონეტები

I

შობა რომ მოდის, ბავშვებს ჟინი მოუვლით უცებ,
ეს მაშინ, როცა გარეთ თოვლის ეშვება ფარდა,
შინ კი ღუღუნებს ღუმელი და ოთახის კართან
ლამპა სიმშვიდეს ჰფენს და თანაც სინათლეს უწევს

(მეც ვიყავ ბავშვი, მაგრამ მოვწყდი იმ დროის ფუძეს
და მერე აღარ მსიზმრებია იერი ვარდთა,
ძვირფას საგანთა და საყვარელ ცხოველთა – მართალ
ადამიანთა სახეებად... და ამას ვუძლებ).

და როგორც ბავშვი ზამთრის ასეთ საღამოს წყნარად
ჯდება თავისთვის და წერს ღმერთთან გასაგზავნ წერილს,
რომ ჩამოწეროს საშობაო სურვილთა სია,

მეც, იმ ბავშვივით, სიყვარულო, ვერაფრით ვფარავ
სურვილს და მინდა გამოვეყო ტოლებს და მზერით
გელოდო, ვიდრე საშობაო დღეები ვლიან.

II

მე ამ ქალაქში, ობოლივით, მარტოკა დავალ.
ო, უდარდელო ყრმობავ, ნუთუ, შენც უცხო გახდი?!
ბეჭდით დაწყევლილ თვალს ვატარებ, რომელიც ნაღდი
ჯადოა, რათა ვერ ვეღირსო სიხარულს კვლავაც.

ტკივილი ყუჩობს – ეს უძლური მშვიდობა თავად
გერტყმება შუბლზე რკინის ქამრად და ყველა ნაკვთი
გეცვლება და ვინ უნდა მოგხსნას ტკივილის ლახტი,
ტანთ ვინ გაგხადოს, დაღლილს, მიტკლის პერანგის ლავა?!

ვიღაცა ღმერთს რომ განარისხებს და ამით ხანგრძლივ
უბედურებას დაიტეხავს და ისე დაძრწის
მანამდე, ვიდრე შეიყვარებს ნეტარი ვიღაც –

ისე ვარ. მაგრამ სიყვარულის როგორი მაცნეც
არ მსტუმრებოდა, ვიბურავდი მე თავს და გამქცევს
ვგავდი, რადგანაც ვერ ვუძლებდი მას, როგორც ნიღაბს.

III

ამდენს რად ვამბობთ სიყვარულზე, ანდა ტკივილზე?!
შეხეთ სამყაროს, გამრავლებულ ტანჯვა-ვნებიანს...
ნუთუ, უფალი არა გვწყალობს?! რა დღეებია?!
ალბათ, ვარსკვლავნი გვმართავენ და არც მზე გვივიწყებს...

და ზარალ-ნაკლით საით მივალთ დაშლილ ტივისებრ,
როცა, როგორც კი გვშობენ ცისქვეშ, შუქ-ჩრდილებიან
მცნებებით უცხო ღმერთები მყის დაგვაცხრებიან,
თითქოსდა ტროას ასაღებად მათ წინ მივიწევთ.

სიავეს, რაც კი მარსს და მერკურს, სატურნს, ურანოსს
დაუთესიათ ჩვენთვის ქვეყნად, საძილ-ბურანოდ,
მხოლოდ ღვთის გვიან მოვლენილ ძის მადლით გავუძლებთ.

მაგრამ ვენერამ ვისაც ღამით სასიყვარულო

ამბორით სისხლი აუდუღა, იმას ფარულად
უხმობს კი დილა იმ აღდგომის დღესასწაულზე?!

IV

როგორი არი, როცა ფარდა, ორივე მხრიდან,
მოიწევს სცენის დასახურად, ნაკეცთა გაშლით,
და ჯერ ხედავ და აჯილდოებ, გულწრფელი ტაშის
დაკვრით, სახის და კენარ ტანის მშვენებით, დიდად

მომხიბვლელ ქალწულს, ვისაც ეტრფი და ჟრჟოლა გიტანს
იმაზეც, რომ ის, ოვაციის მქუხარე ხმაში,
თავს მაყურებლის წინაშე ხრის, რადგანაც მაშინ
ნაღვლიანია და ციმციმებს თვალების ცვრითა!

მაგრამ დარბაზი მხიარულობს და ლხენით სახე
შენც გინათდება მათებრ, ვინაც სავსეა რწმენით,
რომ ფარდის გახსნა გაუხარებს გულს, თვალის გარდა.

მეც მის ლოდინში გული ნატვრით ამაოდ ვაღე:
ვერ ვნახავ მის ხიბლს, აუწერელს კალმით და ენით –
ჩაქრა შუქი და ჩემ წინ რკინის დაეშვა ფარდა.

V

უზომოდ უყვარს ღრმა სიყვარულს ზეცაში ფრენა,
ძლიერ სიყვარულს ნატვრა ართობს ასმაგ და ასწილ.
ამღვრეულ სიზმრებს სიყვარული ვერ იტანს მკაცრი,
ხოლო ჯანმრთელი სიყვარული ესწრაფვის ლხენას.

სიყვარულს თბობა მზის სხივებში უყვარს და წვენად
იღვრება მისი ხის ნაყოფი დღეების გასწვრივ.
ქაფად ედება ღვინის ჭიქებს და ზოგთა ხმაწვრილ
ყელით კი არა, დაფდაფებით მოუხმობს ზენას.

ვინც ვერ ერკვევა სიყვარულში და ხოტბას ასხამს,
გონზე რომ მოვა, მყისვე გული სტკივდება საწყალს,
როცა შესცქერენ ავსულები უცოდველ სახით.

სქესი და ჟინი სულ მოგძახის ტკბილად და სათნოდ,
ბავშვურად მღიმარ ბაგეთაგან: ყოყმანობ? რატომ? –
აკი სიყვარულს სიყვარული სწყურია ლაღი.

VI

ვით ახალგაზრდა ევროპელი, ღამით სასტუმროს
გაექცევა და მალაიურს ხედავს სახეებს,
თავთავიანთს რომ დაეძებენ, თითქოს, ნახევრებს
და მზერითა და გაღიმებით ყველა მაცდურობს.

ხოლო იქ, მროკავ ზანგ ქალისკენ ლტოლვის დასტურად
ვნებააღძრული, ჭვრეტს ქალაქის იმ მოსახვევებს,
ფილაქნებით რომ მოკირწყლულან, და ის აღელვებს,
რომ ეკრძალება შესვლა იქ და – ლტოლვა დასრულდა.

და ბიჭს ჰგავს, ლექსის წერით გართულს, ვინაც მაგიდას
გაშორდა, როცა ტროპიკულმა მთვარემ ნათურებს
მიმოაფინა თავის ბრწყინვის ყალბი ბლონდები.

მეც, სწორედ ისე ნაღვლიანი, გავცქერ აქედან,

ველტვი სხვა ტკბობებს, სხვა ცეკვისთვის ხელს ვაფათურებ,
მაგრამ როგორც კი იქ დაგლანდავ, მყის შევყოვნდები.

VII

ეს შენ ხარ, ბარის ცივ შუქში რომ სრულიად ახალ
ილეთს ბეჯითად ეუფლები ახალი ცეკვის,
შენს მჭვრეტელს გული გამვსებია გრძნობათა რეკვით –
ბავშვობის მერე არ ვყოფილვარ მე ასე ლაღად.

შეგიკრეჭია თმა პაჟივით და თითქოს ჭაღად
გაბრწყინებული გიფრიალებს და ჰაერს ეკვრი,
ფეხთა თამაშით, ლერწამივით ხარ წელში მდრეკი,
გამოგყავს ჩრდილთა ფიგურები, იმგვარად დახვალ.

მიქადი ბებრის ყვავილობას მზერით, და ობოლს
ვგავარ, რომელიც საფლავთან მდგარ არყის ხეს უმზერს
და ხედავს, რომ ის დახუნძლული არის ციცრებით.

მეც ასე გხედავ, გაზაფხულზე ფარფატით მყოფო!
ნეტავი, ყრმა თუ ვგრძნობდი სიტკბოს ამგვარად უწყვეტს?!
თითქოს დაკარგულს ვიბრუნებ და ახლად ვიწყები.

VIII

საყვარელ ქალის მიტოვება მოგიხდა ვისაც,
იგრძნობდი, მთელი საქალეთი დატოვე თითქოს,
რადგან ჩაქრობა იმ ცეცხლისა, სულს რაზეც ვითბობთ,
ტოლფასი არის სამოთხეზე უარის თქმისა.

ბევრ ქალს ვუმღერე, მაგრამ ტრფობა ყველასი – მტრისას!
ო, გულო ჩემო, განძარცულო და სთველის მკვიდრო,
კვლავ დაისხამდი ვარდის კოკრებს, ოღონდაც მჭიდროდ
ედება ბილიკს ფოთოლცვენა და ვეღარ გიცავ.

ვაი, პირველი სიყვარულის იდუმალ გრძნობას,
ერთ არსებაში რომ მოაქცევს ყველა ქალს, რაიც
გაგტეხავს, ანდა, როგორც კაენს, გადაგრევს ისე.

მიწიერ ტკბობის ძიებიდან არცარა მოგაქვს,
კვლავ ეძებ, მაგრამ უიმედოდ დარჩები მაინც
და ჟამიც, ხვედრად, სევდასა და კაეშანს გისევს.

IX

შე უშვილძიროვ, ნუთუ ჯერ არ უღლიხარ უღელს
და უმძიმეს და საშინელ ტვირთს მამათა ჩვენთა?!
ვინ მოსთვლის, რამდენ დედას უთქვამს უარი ნექტარ
დროისთვის, რაც ჩვენ გვერგებოდა და ჩვენვე ვხუხეთ!

მაგრამ დემონთა სამეფოსკენ უცებ რომ უხვევს,
იმ გაუვალ გზის გავლით მიჰყავთ შთენილი კენტად
ანუ – იქითკენ მიჰყავთ, სადაც ობლობით მპენტავ
გულს არ უხმობენ არშობილი სულები უკვე.

ოჰ, მცენარეთა მაინც გწამდეს! – ისწავლე რამე
თუნდაც ღვიისგან, რაც პატარა ყვავილებს ისხამს
და ორი წელი ცისფერ შუქად ანთებაც ელის.

დროა, დაეშვა ქარაფიდან – მოიწევს ღამე,
უნდა დაბრუნდე ქოხში, სადაც სითბოა ღვთისგან

და სადაც სარკმელს მოწყდომია თვალები წრფელი.

X

მდინარე ზალცბახს თუ სწვევიხარ როდესმე მარტში,
როცა მთის ძირას თოვლის მკრთალი და თხელი ფენა
ჩამავალი მზის ბოლო სხივთა ცრემლივით დენას
იასამნისფრად ირეკლავს და დღე თავის კვალს შლის!

ჰოჰენშტაუფენთ კოშკს კი ძალუძს, ნაცრისფერ ფარჩით
გამოაჩინოს თოვლი ცაზე პატრონთა ლხენად.
ამ კუნძულს ნაღდად ამშვენებდნენ ღმერთები ზენა –
ანათებს თოვლის ამეთვისტო მარცხნივ და მარჯვნივ.

მოდის! მოდის და გზას მოიკვლევს ზეკარი კვერთხით,
მოანგრევს სივრცეს, კბოდეებს და ფლატეებს აჩენს
და ცას ალპების გალავანში აქვს შესვლის ნება.

ხოლო გაიზბერგს ყველაფერი იისფრად ერთვის.
რა დრო გავფლანგე! ვდგავარ, გავცქერ ქედების ჩაჩებს,
არამიწიერ არსთან ყველა ნაღველი ქრება.

XI

სათნო სულები შემოგვცქერენ მოწყალედ, როცა
ვეძლევით ტანჯვას, რაკი ტანჯვით სუფთანი ვხდებით
და უჩინარნი მცენარენი გვიძღვნიან შვების
მოსაგვრელ წამალს და ყოველი მათგანი გვლოცავს.

ჩაგვჩურჩულებენ: “რაო, სულო, მწუხარე ფრთოსანს

რად ჰგავხარ? ნუთუ, შენც ურჩი ხარ გამჩენის ნების?!
იცოდე, ვიდრე ორთაბრძოლა მორჩება, მტრები
დაგიუფლებენ, აგირევენ თავსაც და დროსაც” –

და გვაფრთხილებენ, მაგრამ მაინც შეგვიპყრობს დიდი
მოუთმენლობა იმ ქალწულებრ, რომლებმაც წმინდა
ზეთი უდროოდ დააქციეს, ვით ტვირთი მძიმე.

ვიმოკლებთ დასჯის დროს და სუნი არყოფნის გვიდის
და მასწავლებლის საიდუმლო ხელწერას ვბინდავთ,
ისიც ჩერდება, არაფერს ქმნის და კარგავს იმედს.

XII

ბიჭი იმედით სავსე მზერით ასხივებს ნდომას.
ბიჭო და გოგო, რა გინდათ რომ ხელახლა სცადოთ?!
მე ვფიქრობ: ნუთუ დამადარებს კვლავ დილის მნათობს
ლექსი, ვარდები, საღამონი, ქალებით ტკბობა!

ძმებო, მიწისკენ დახრა უკვე დარდებით გვთოფავს
და მას მეტყველებს, თუ როგორი ოცნება გვათოვს.
სისხლივით გაშრა თივის ხელში ყაყაჩო – რატომ?
აწი ვინ დაწნავს მისგან გვირგვინს საყვარლის მკობად?!

ბიჭი ბაგეებს კვლავ ცეცხლოვან კოცნისთვის აპობს.
ბიჭო და გოგო, მოგჭდობიათ ხელები ჯვრისებრ.
თვალს აგარიდებთ და ერთმანეთს მაშინვე კოცნით.

შეყვარებულნო, ნუ მოუსმენთ ერთურთის ნაბოდვს!
დააცხრით ერთურთს ტალღებივით, ისევ და ისევ! –
ერთიმეორე ჩვენც გვისვია აქ დიდი დოზით!

ვაჟიშვილი

დედიკო მოკვდა გათენებისას.
არ ესიზმრება ის მამას უკვე.
სიკვდილის ხსოვნა დაგვრჩა დედისგან
და ერთმანეთის გვესმოდა უკეთ.

პარმაღში გაველ წყალისთვის ერთხელ
და კართან ვნახე უცნობი ქალი,
მას გრძელი კაბა ეცვა და, ღმერთო,
კარგა ხანს აღარ მომწყურდა წყალი.

ბოლო რომ იყო დედისთვის, ვიცი,
ცისფერი კაბა, მრავალი ზოლით,
იმ წლებში კაბებს იცვამდნენ ისეთს —
ქალები ჩემი დედიკოს ტოლი.

თვალს მიეფარა იგი, და მზერა,
გაოცებისგან, დამირჩა სახტად.
ღამეს შეერწყა ცრემლების ჩქერად
და უხილავიც ამიტომ გახდა.

დედიკო მოკვდა დილაზე ადრე.
ამაოდ ვცდილობ, სიზმარში შემხვდეს.
ვიღაც ქალებზე ვფიქრობ და ვდარდობ,
ხოლო დედაზე — ათასში ერთხელ.

დასვრილ ხელზე კი მესხმება წყალი,
ვიდრე მას პირთან მივიტან ჭიქით.
ამგვარად ფხიზლობს სულეთში ქალი

შვილზე, რომელსაც არ ახსოვს იგი.

მე ხომ მუხლებზე დავეცი მაშინ
და ხომ ჩავუდე კალთაშიც თავი!
კვლავაც მოვიდეს უდედო ბავშვთან
და წაიყვანოს თავისი კრავი!

სირიელი ქალი

ღამით გამოველ უღრანიდან (ყვებოდა მგზავრი).
მოხუცი ქალი მომეახლა, გათელილს ჯავრით,
მარჯვენა ხელით ჩირაღდანი ეჭირა მაღლა,
მარცხენით — სურა, და ემჩნია უზომო დაღლა.

"დედილო", ვკითხე და შევაკრთე ფოთლები მრეში:
"რას ნიშნავს შენი გამოჩენა უსიერ ტყეში?!
მარცხენით სურა რომ გიჭირავს, არა ჰგავს ნობათს,
უშველებელი მუგუზალი მარჯვენით მოგაქვს".

ლურჯი თვალები მოანათა ჩემს კითხვას ირიბს
და ყმაწვილქალის პირს უგავდა, ღიმილით, პირი:
"ჯოჯოხეთს, ცეცხლზე წყლის გადასხმით, დავასვი დაღი,
ხოლო ჩირაღდნით მთლად გადავწვი სამოთხის ბაღი,

რადგან სასჯელის შიში აქვთ და ელიან ჯილდოს! —
მადლს არვინ შვრება, ქვის გულს ყველა სიავით ილტობს,
ხოლო დღეიდან მადლისათვის ქმნან უნდა მადლი,
გახსოვდეს ესო", თქვა და ტყეში შევიდა ცხადლივ.

ომი და უცნობი ქალაქში

თოკების დარი, უხვი
სხივები ფარნის შუქის –
აცხელებს მწუხრის ქალაქს.
მის ღერბს კი, თითქოს, უკვირს
ცულის ნაჭდევი მუქი,
სიამაყეს რომ მალავს.

კარ-სარკმელების ირგვლივ,
სამფეროვანი ფიქრით,
ქარში ზეიმობს დროშა
და სმენის მიღმა მიქრის
შრიალი, რომლის იქით
დროშის ნახევი მოჩანს.

სცემს მწუხარება ზღვისა
პორტის გალავანს ქვისას,
რაც უძლებს მღელვარ ზვირთებს.
შუქურა წესრიგს იცავს.
ზეცა იფარავს მიწას,
თითქოს რაღაცა სჭირდეს.

ჩვენ კი ვართ ყველა ცალკე,
ერთურთს არ ვყავართ სარკედ,
გვაქვს სიყვარული სუსტი,
მაგრამ ის მაინც გვარგებს,
როგორც ქალაქის პარკებს –
ვარსკვლავი, მზეს რომ უცდის.

წმინდა აგატას ფეხი

წმინდა აგატა როცა ცხენზე ამხედრდა, ერთი
ქვა ისე ძლიერ ააღელვა სინორჩემ მისმა,
რომ ქვამ ფორმა და შინაარსი დაკარგა მყის და
დალბა წმინდანის ფეხის ტერფის უცნაურ შერთვით.

წმინდანის ტერფო, ერთო ციდავ, გიდგავარ გვერდით,
ჩვილის ტერფივით უნაზესო, შეგყურებ მზის დარს.
შენს სახილველად ზარმა, რომლის ხმა ცასაც მისწვდა,
მიხმო, სად ესე სასწაული დამკვიდრდა ჩვენთვის.

სიამოვნებით დაგიხსნიდი, აგატავ, ოდეს
შენს ცხენს მიჰყავდი საწამებლად, ვითარცა კრავი.
რად არ გადმოხტი და მტირალმა ორივე მკლავი
რად არ მომხვიე შიშისაგან – ამაზე ვგოდებ.

ვმკრეხელობ, მაგრამ ქვას თუ ამკობ მადლობის ძღვენით,
ცოდვილმა ჩემში ამოვტვიფრე სახელი შენი.

ᲦᲘᲜᲐᲡᲦᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ

იქნებ, მაცხოვრის გულიც დაქანცოს
ვარსკვლავთა ძველი ნების მეტობამ!..
სამხრეთი უკვე, როგორც საგანძურს,
ჭვრეტს ცით მოვლენილ მეფე-დედოფალს.

იქნებ, ჰიმნისთვის ყელიც გიძგერდეს,
არც კვერთხის წვდომა იყოს გვიანი!
გახსოვდეს, როგორ შვენის ცის კედელს
ავსტრიის თავზე დროშა ჯვრიანი...

ჰა, ღვინის მეფე! – დგას და სრულიად
სხვა თასში ღვინოც სხვა უსხია და
ეტყობა, ეგეც, წმინდა სულივით,
აღსდგა და ქეიფს მონებს ნიადაგ.

დაქეიფობს და, მთვრალი, გაუთლელ
ნაძირალებთან ცეკვავს მეტწილად.
შენ რაღას იზამ, საით გაუტევ,
გულში სიყვარულს თუ მიეძინა?!

ჯვარზე მეორედ გაკვრისას თუკი
შეგაშინებენ უცხო ღმერთები,
ნუთუ, ღვაწლს მათაც სიმღერით უქებ –
ყელით შიშს როგორ შეუერთდები?!

მომღერალს გლეჯენ, ქარში დაღალულს,
ხელები, ქნარის დაკვრით დაღლილი,
ორფევს არს ქრისტე და შენ ახალი

ბერძნული ერა გთუთქავს დაღივით.

მარტო სხვა ღმერთებს არ თვლი მევალედ,
ყელყელაობენ ჰიდრას თავებიც...
რას დავიტირებთ, საკურთხეველი
პირველ სურნელს რომ გვიძღვნის ღვთაებრივ!

გადაქცეულა მზე მზეჭაბუკად,
ჰელიოსი კი – მარად მაცხოვრად.
ჯერ ჩრდილოეთში ტრფობის ქარბუქი
ქრის, მაგრამ მზეს არ ძალუძს გაძღოლა.

ციურ ნიშნებსაც ყოფნა მობეზრდათ
და იცვლებიან სახლის ერდოთიც.
ცა მიატოვეს ანგელოზებმა –
ხდება ის, რასაც ასე ველტვოდით.

ვარსკვლავთა ნებამ იქნებ დაშრიტოს
მაცხოვრის გულიც და მის საძვალეს
ნულარ დავუწყებთ ძებნას ბავშვივით –
ღამის ზეობა დიდხანს გვაწვალებს.

სტუმარი

გესტუმრე შენ და თან მოვიყოლე
წვიმიანი დღე ჩემი ბავშვობის,
დედის სიკვდილიც, მკვდარი სტრიქონიც
და ყველაფერი, რასაც დავშორდი.

დაგიჯექ წინ და რიდით განახებ
ჩემს ავტოპორტრეტს, წყალში არეკლილს,
ჩემს ხელნაწერებს, ყვითლად დანაღმულს,
ამბორს, დაჩხვლეტილს ბედის ნარ-ეკლით.

და სადაც ტოვებ ბავშვობის ერას,
მომყვება შენგან ის მწველი მზერა
და დედაშენის თითების ეშხი
კლავიშებზე და კიდევ – სიმღერა,
დიდედაშენის ნამღერი რთველში.

შეღამება

როგორც მშობელი დედა გოგოს, არასრულწლოვანს,
მზე დედამიწას ისე მწარედ ემშვიდობება,
სევდით გავცქერი ჩავლილ დროთა მწუხრს და ქუჩებში
ელნათურები და ფარნები ყვითლად ჰყვავიან.

მერე თავისი დახლებიდან, მაგიდებიდან
დაღლილი ღამე მძიმედ დგება, ხელებზე ბინდით,
და ვიღაც მგზავრის მონაცრისფრო პალტოს ეხება,
ჯერ კარიბჭეში ვერ ხედავენ სახეშებურვილს.

ადამიანებს უყვართ სულ სხვა სინათლეები,
თვალისმომჭრელი, ანთებული საგულდაგულოდ...
ზოგჯერ, სარკმელთან მიყრდნობილნი, თვალს ადევნებენ
ცაზე ვერცხლისფრად მოდარაჯე მწუხრის ანგელოზს...

მეც მას შევჩივლო? ჩივის იგი, ვისაც ვერაფერს
რგებს სიყვარული, უმისოდ კი მზეს ემგვანება,
ოღონდ — ჩამავალს: მზე ხომ მარტო ჩადის ყოველთვის,
თუმც ვარსკვლავები ციმციმებენ მისდა ნუგეშად.

ერთი მისტიკური შეგონების მიხედვით

მარტინ ბუბერისთვის

“შენში ვერვისი იბუდებს ბედი,
როგორც ბულბული და როგორც მტრედი“.
ეს შეგონება, რაც ირგვლივ ყოველს
აბუნდოვანებს, ძველ წიგნში ვპოვე.
“შენში ვერვისი იბუდებს ბედი,
როგორც ბულბული და როგორც მტრედი“.

მტრედი რა არის? მტრედს რას ვუწოდებთ?
ის, ალბათ, ნიშნავს რწმენას უცოდველს.
მაგრამ ბულბული რაა? რას ნიშნავს?
ის, ალბათ, გული არის ბავშვისა,
გაჭირვებულთა მწედ რომ აღზარდეს,
შთაგონებით და მადლით აღსავსე:
ყველაზე მაღლა, ყველაფრის ბოლოს,
ღმერთის მწვერვალის გვირგვინზე მხოლოდ,
მშვენიერების მფეთქავ ტბორებად,
მტრედსა და ბულბულს ძალუძთ ცხოვრება.

დრო იწურება მწირი სუნთქვების.
და – ტყვენი მტანჯველ, მძიმე ბორკილთა –
აქ მოტყუებას უქმად ვუნდებით
მზის დროთა. ვკვნესით სულის ბორგვითა,
ვკვნესით, რაკიღა ვეღარ ვმკვიდრდებით
იქ, სადაც ქარნი ქრიან მდიდრები
და ვერც – ცეცხლოვან ზეცის დარბაზში,

ვერც ზეთისხილის ხეში, ბოგირთან,
ვერც მტრედ-ბულბულში... ხოლო ალქაჯი
ჩნდება შურის და ზიზღის დორბლიდან,
რამეთუ ტრფობა მავან ქალ-ვაჟის
ჩვენთვის მტვრის როდი იყო პარპაში,
რითაც სავსეა ყველა მორგი და
ყველა ფიქრის და დროის ორბიტა.

“შენში ვერვისი იბუდებს ბედი,
როგორც ბულბული და როგორც მტრედი“.
აი, შევკონე სიტყვის კონებად
და ასე ავხსენ ეს შეგონება.
“შენში ვერვისი იბუდებს ბედი,
როგორც ბულბული და როგორც მტრედი“.

გამოეთხოვე

“გამოეთხოვე მზესა და მთვარეს,
გამოეთხოვე მკრთომარ ვარსკვლავებს,
გამოეთხოვე ქარებს და ღრუბლებს,
გამოეთხოვე თოვლსა და ელვას.

ბოლოს კი მიწას გამოეთხოვე,
ხოლო მიწაზე – მთებსა და ტყეებს,
მდინარეებს და შვლებსა და ვარდებს
და უძვირფასეს ადამიანებს“.

კი, ანგელოზო, გამოვეთხოვე
მე არსებობას, ჩემთვის ბოძებულს,
გამოვეთხოვე სიყვარულსა და
სინათლეს, სევდას და გაგიჟებას.

“შენ, შენს მკლავებში ვინც მანანავებ
მე ცათა შინა, ნეტარო სულო,
რისი ნახვა გსურს დედამიწაზე,
მას ერთხელ კიდევ როცა იხილავ?“

ოჰ, ანგელოზო, ვისურვებ მხოლოდ:
გლეხკაცის ძველი სახლის სარკმლიდან,
ქოთნის წითელი ყვავილის მიღმა,
საღამოსპირის წვიმის დანახვას,
მე კი, იმ სახლში, ხასხასა მწვანე
ვაზით დაბურულ გრილ ვერანდაზე
მიმოვდიოდე მოუთმენელი.

უხილავი ძელსკამი

შენს ცხოვრებაში არი
ძელსკამი უჩინარი, -
შენი სახლის წინ დგას და
არავინ მოდის მასთან...

ის აქ სამყაროს ოსტატს
დაუდგამს მოსვლის დროს და
ჯერ მასზე, იმ დღის შემდეგ,
არ ჩამომსხდარან დღემდე...

შენ დღეს სახლიდან გახველ,
ავლენ დაღლას და ნაღველს
და იგრძენ, რომ ის სკამი
გიხმობს დღისით და ღამით.

ამ ძელსკამიდან, მკვდრის მზევ,
ქვეყანას შეხე ისევ
და მერე, სიზმარ-ცხადით,
დასაძინებლად წადი!

სიცარიელე

მე არ ვიქნები როცა,
რაა ის, რაც მე შემცვლის?
წვიმა, რომელმაც მლოცა,
სად წავა გმინვა-კვნესით?

ჰაერი, რასაც ვჭრიდი,
ვის შეუმოსავს ნიღაბს,
ან, ვინც მიცქერდით რიდით,
ჩემს თავს შეგიცვლით ვიღა?

სადაც ხელს ახლა ვიქნევ –
სიცარიელე მოვა.
ან მე დავბრუნდე, იქნებ,
თოვად?

შესაძლებელი არის –
იქ უვარგისიც ვარგა
და ისე ულხინს მთვარეს,
რომ ყველა ხდება კარგად.

როცა გეწვევით სტუმრად,
ვერც კი გაიგებთ ამას.
ხელს თუ შემახებთ, უმალ
გავქრები სიოს ჩქამად.

და ვერ მიხვდება ვერვინ,
რომ გვერდით ვედექ, თურმე, –
გადააბრალებს ელვის

კრთომას ან — ანწლის სურნელს.

ჩემებრ ვინ გიძღვნით ფიქრებს,
როცა დავტოვებ ყოველს?
სული უსაზღვროდ იფრენს —
ყვავილის ნათელს
ჰპოვებს.

შენ კი, კვირტს, მუხის მხარზე
გაგშლის ქარი და თქეში,
როცა დაყრიან, მკვდარ მზედ
ველური ყურძნის მარცვლებს
ტყეში.

სული

ეძღვნება ჰანს კაროსას

სული არ არის უსხეულო. იგი წვენივით
ფესვსა და ყლორტში მოედინება.
სულია ისიც, ხოჭოს ზურგზე, პეპელას ფრთებზე
წერტილებად და რგოლისებრად რომ აფენია.
ის არის სხივი, კაცს და ცხოველს თვალში რომ უდგას.
თუმც შუბლებს მიღმა და ჩვენს ენებზე
ზოგჯერ ცრუ სულსაც გადუქროლია.
მან წინ გაუსწრო ღმერთის სუნთქვას ისე საოცრად,
როგორც ნიავმა, მოდენილმა უფლის ბაგედან,
ოდესღაც ჩვენში ჩასახლებულმა.
წყლის სიღრმიდანაც იმას ხაპავს ნათლისმცემელი,
მოციქულებსაც თავზე ცეცხლად ის ეფრქვეოდა.
ჩვენ კი კვლავ მიწა გვეძვირფასება.
პოეტის მზერა ყველაფერს სწვდება:
სამების სხივის კვალის ძებნაში
ყველა სულდგმულის ბნელ სიღრმეში ის იხედება.
იგი დაეძებს სამების სხივს და არა იმას,
რაც ყველა სულდგმულს ატყუებს და აშორიშორებს.
დაეძებს იმას, სტიქიის გულში მათ რომ შეკრავს და გაამთლიანებს,
რამაც ყოველი ყოველივედ უნდა გარდაქმნას.
მაშ, შენც აღენთე სიყვარულის მსხვერპლის კოცნისას,
კოცნას სიცოცხლე სიცოცხლითვე უმაგიერებს.
დიახ: "სიცოცხლე სიცოცხლით ხარობს და ზეიმობა გულით სწადია".
ტკბილად შეგერგოს ღვინო და პური.
ქორწილი არის დასაბამიც, სიყვარულიც, სიკვდილ-სიცოცხლეც.

ოდა წყლისპირას

ხალისიანად მოცეკვავე ახალგაზრდობის
ხმაურიანი ზეიმიდან გამოვიპარე.
ტირიფების ქვეშ, წყლის ნაპირას
ჩამოვჯექი
გაშლილ პალტოზე
კბოდესთან ახლოს, ჯერაც ფხიზელ ბალახებს შორის.

ტბის წიაღიდან, ერთი შეხე, როგორ გადმოდის
და მოდგაფუნებს ღამის ტრაუნი.
როგორ ლაპლაპებს შუაწელზე,
ვარსკვლავთა შუქით ოდნავ, ოდნავ განათებული; მაგრამ
ტალღები ტბაში ბრუნდება, ლაჩარი ტალღა, კიდეებზე ჩამუქებული.

კენწეროებში ქარი აღარ დანავარდობდა, მხოლოდ ბალახი
ირხეოდა ქარის ქროლაზე,
შუქის არილი სადაც ჯერაც არ ჩამქრალიყო, თრთოდა ნიავი.
ხოლო იქ, სადაც ჩალის ღერო ჩემი ხელით
ცვარს ისრუტავდა, ღამის სიო საითკენღაც გარბოდა ჩუმად.

უსახელოა, ო, მეგობრებო, მამის სიცოცხლე
მისგანვე ქმნილში. სახელარმქონე
არის ვარსკვლავი, სახელარმქონე არის ყვავილი.
უსახელოა მთა და წყალი და - შუქში ზემოთ
რომ შეფრთხიალდა, ის მოფარფატე, გრძნობაგრძელი, ჰაერში მფრენიც.

უსახელოა ადამიანიც. მე აქ, ღამის ბრწყინვალებაში
ვსუნთქავ და ვხედავ, ხშირად მამისგან უკუგდებულს
მკერდში ტირილი მიქვავდება მე, ანუ იმ კაცს, აღარაფერზე რომ
არ ტირის დიდიხანია.

ჰოდა, ნუგეშად რაღა უნდა დამრჩენოდა,
თუ არა მხოლოდ ძმადნაფიცობა იმ უსახელო
ვარსკვლავქართან და ტალღების ჩქამთან?

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲝᲓᲐ

ჩიტის კვერცხივით წითელ-ყვითელი
ჭინჭრებქვეშ ყრია ბალახში მსხალი.
ჩაცუცქებულან ბავშვები ხის ქვეშ,
იტკბარუნებენ პირს მწიფე მსხლებით.
მათ თითებშუა მოწვეთავს წვენი,
რომელიც უკან, მიწაშივე ჩაედინება,
როგორც სურვილი უკვე დამცხრალი.

მოტეხილ ბალბას,
ზაფხულიდან
შემორჩენილს, ჯოხზე ვამაგრებ,
რათა ლაფანმა უფრო დიდხანს გააძლებინოს,
თუნდაც დილამდე აცოცხლოს იგი
დამსხვრეული ცხოვრების წიაღ.

ღიმილით მიმზერს
ვინმე მოხუცი, უცხო მებაღე,
ცელს აღარ იქნევს, რადგან ფეხებთან
შეუნიშნავს მქრქალი ყვავილი,
იმ ყვავილიდან სიმღერ-სიმღერით
პეპელას სახემიღებული ჩემი სული
მეტად აღარ ამოფრენილა,
უნაყოფობის სამყაროში თითქოს
ძილი მონდომებოდეს.

ᲒᲕᲓᲝᲛᲐ

ისწავლე ცნობა საიდუმლო წერილისა,
იმ ათას ამბავს რომ მოგვითხრობს,
რაც თავს ოდესმე გადაგვხდენია.
უფალი ღმერთი სიტყვებით ხომ არ ლაპარაკობს,
ის ქმნილებებში ცხადდება მხოლოდ
მარადიული, წინარეგონი, სულ მცირედიც რომ არ ავიწყდება.

ნეტავი იმას, ვისაც კითხვა შეძლებია
არკადიაში!
ჩვენ კი ჭენება გვახარებდა ბედაურების,
ქვემოთ, ჭალასთან, ბობოქარი მდინარის პირას
ფართოდ გადაშლილ იალაღებზე,
სადაც ღარიბი გოგონები ღონიერი თეთრი ხელებით
ან ავლებდნენ ან მზის გულზე გასათეთრებლად აფენდნენ სარეცხს.
ან მღეროდნენ მწუხრის სიმღერას,
მათი მთელი დღის ნაჯაფარი ფორნებში რომ იტვირთებოდა
ანდა ეკიდა ხეებს შორის დუნედ გაბმულ გრძელ-გრძელ თოკებზე.

აქ დაგვეძგერა ნაპერწკალი, ნასროლი თვალით,
აქ მოგვჭრა თვალი მკლავების და
კეფის კანის თეთრად კიაფმა.
ტკბილ-მწყაზარი ხმით ეს თავისკენ მოხმობას ნიშნავს.
მეც ხომ ყოველდღე
ვუთვალთვალებ საქმის დროს
გახსნილ გულისპირიდან გამომკრთალი მკერდის სითეთრეს,
აქედან მერგო ეს ბედისწერა, რომელსაც დღემდე
მოვათრევ და მოვეზიდები.

ბრძენი რომ ვიყო, მაშინ ხომ არ გამომრჩებოდა
დაღი, ნიშანი უტყუარი ძუნწი ტუჩ-პირის,
რადგანაც ნდომას ამ ცისქვეშეთში
საფრთხეზე ტკბილი არაფერი მოუგონია.
სიყვარულიც ხომ
სიკვდილია, ოღონდ სხვაგვარი,
არა ისეთი,
სამუდამოდ თან რომ წაგვიყვანს.

ბევრი რამ იყო საცდუნებელი, შენ კი ხუმრობას არ იშლიდი,
მასხრად იგდებდი ვითომ ცრურწმენას,
გული კი შიშით გეწურებოდა
და შენსას მაინც არ იშლიდი, ბრმა სიჯიუტით
უკეთურებას შენ სჩადიოდი. ამაო იყო ღმერთების გარჯა -
უკეთურებას განრიდებოდი.

მაგრამ რას იზამ, ალბათ ესეც ღვთის ნება იყო,
თორემ გული უფრო ნამცეცა,
უფრო ზვიადი გაგიხდებოდა,
გულზვიადობა, რაც პოეტებს მუდამ თანა სდევს,
გარდაქმნის ძალას გიდამბლავებდა.
გწამდეს მარადის, ყველაფერ ამას
ღვთიური ძალა სიკეთით სჩადის,
თუნდაც იმით, რომ ხშირად გვაფრთხობს,
თავისსავე ქმნილს სუდარას რომ გადაგაფარებს.

ო, მე რომ კითხვა შემძლებოდა
გვიან, როდესაც ღამის ჰაერი
ჩაშავებულ წყლის ზედაპირზე დალივლივებდა,
როცა ლერწამში უცხო ხმების დუდუნი ისმის,
იქ, შიგნით ნეტავ რა მოძრაობს, რა იმალება,

აჩრდილებია თუ ჩიტები, ვინ რას გაიგებს?

ეს ყველაფერი კარგად უწყის ერთმა მოხუცმა,
რომელიც მტკიცე ნაბიჯებით ორჩხომელისკენ მიემართება,
პალოდან ჯაჭვს ხსნის გაუჭირვებლად,
უნიჩბო ნავში გულმშვიდად ჯდება.
ნავს არც საჭე აქვს, მაგრამ მოხუცმა
ის ღია ზღვაში უკვე ზვირთებზე გადაატარა.

დაიკო

სიკვდილი შთანთქა გამარჯვებამ. გამარჯვება ხომ
სიყვარულია! მაშ, შეიძლება,
სიყვარულიც შთანთქას სიკვდილმა!
ამიტომ მყისვე უნდა მოკლათ ის ბასრი რკინით,
ის შხამზე უფრო მალე კლავს და – კიდევ უფრო მალე, ვიდრე
სიკვდილი კლავს მიწის სიყვარულს.
შეყვარებული ქალი ხარბად სვამს შენს სიცოცხლეს
და შენ სვამ იმის შინაგან სუნთქვას,
ხოლო მშობლების გულისცემას ჭამენ ბავშვები
და მშობლები შვილთა გულებს უკან ითხოვენ
და სიბერის აჩონჩხილი თითები ირგვლივ
მჭიდროდ ეკვრიან აკვირტებულ ტოტებს, რომლებიც
ილეწებიან დაცემისას და ჩვენს წინაპრებს
ვწყურდებით ჩვენ და მოგვიხმობენ საიქიოდან
და ჩამომსხდარან სასთუმლებთან, თითოეულთან.

და სიყვარული, რაც სიცოცხლეს
კი არ ანიჭებს,
არამედ მისი ხმამაღლაა გამნათებელი. ჰგავს
მზის დაიკო მთვარის სინათლეს, გაუთხოვრისას,
ვინც ძმას საფლავი გაუჭრა და გლოვით დაკრძალა
მონაზონი მწუხრის ხელებით...
და წითელი გორაკის თავზე
დიდხანს ეკიდა აწეწილი ლეგა ღრუბელი,
თუმცა ტურები ჩიჩქნიდნენ მიწას:
მზეს მშვიდად სძინავს თავის ლოგინში,
დაიკო მთვარემ რომ გაუშალა...

და მთვარის შუქის სიყვარული მიიწევს მაღლა,
იქ, სადაც მისი უცხო ძახილი
აპობს სხივს, რაზეც ის მძინარი დაეხეტება
და მკლავები მზად აქვს ყოველთვის, თბილი, უმწიკვლო,
რათა ძმა გულში ჩაიხუტოს, მაგრამ მკლავები, ეს მკლავები
გზას უჩვენებენ სულ სხვა სიყვარულს,
სიყვარულს არა სამშვინველისას,
არცა — ჭრაქისას, არამედ — მზისას.
და შენ მე ასე მაკავებდი, როდესაც ფეხზე ვერ ვდგებოდი და ვეცემოდი,
წამოდგომას თუმც ვახერხებდი... და მაღვიძებდა
სუნთქვა მთვარისა და ზემოთკენ მივისწრაფოდი,
ასე მივადექ სახლს, რომლის ნივნივს
გარს ეხვეოდნენ ვარსკვლავები ფარვანებივით.

მაგრამ იქ, მაღლა, ვარსკვლავეთში, ვინ გაჩერდება, როცა დატოვებს
მზე სარეცელს, გაღვიძებული, დასვენებული, ჯანიანი, ახალთახალი,
რაც ამოსვლისას ძლევამოსილ თავის სიცოცხლეს
კონუსისებურ და დაბინდულ სიწითლით გვამცნობს.
ასეთი ფერის წითელ ღვინოს ვერსად იხილავ,
იმნაირ ფერთან მეწამულიც ვერ მივა ახლოს,
სისხლსაც არ ძალუძს წარმოსახვა ისეთი ფერის.
და ჰა, იღვრება ფერი იგი, გადმოინთხევა
და ფეთქდება და გიზგიზდება ღრუბელთ სიშავე,
და იმ ღვარიდან ლალის ბურთი ალივლივდება,
რაც ჯერ ოქროსი არაა და მაღლდება უკვე!

ოჰ, ვერცხლისფერი სივრცის ნახვა უმალვე გვაქცევს
ჩვენ მოუთმენელ მოლოდინად იმ სინაზისა,
რაც არ გიზგიზებს, თუმც სიბნელეს გარდაგვისახავს,
რაც ღვთისმშობელი ქალწული დედისმოიმედე ოცნებებია.
ამიტომ გვიყვარს ჩვენ — პოეტებს — ისინი,

ვიცით: მუზები ჩვენი საჭრფოები კი არა, ჩვენი დები არიან,
რამეთუ, როგორც ციებიანნი,
ვწევართ ვარვარა, ცხელ ბალიშებზე
და ვიღა გვიგრძნობს ჩვენ ცვალებად ამ სამყაროში,
თუ არა – ხელი ჩვენს შუბლებზე, მაცოცხლებელი,
თუ არა – ჩვენივ ბაგეებთან, მკურნალ ნექტარით, მოტანილი
მხურვალე ხელი?!

გულისძგერა

ეჟენ ანტუანი † 1947 წლის 15 ოქტომბერს

ნეტავ ვიცოდე, მიცვალებულებს
ახსოვთ თუ არა
ტყის ნაკადულის ჩუმი რაკრაკი? ან - ვარდისფერი
ღრუბლების წყება მწუხრის ეთერში?
ან - მარწყვის სიტკბო, პირში რომ დნება?
მათ უსასრულო არარაში გაქცევიათ თავისი ყოფა.
სამაგიეროდ ის არარა ხომ სავსეა იმ პირველქმნილი სიყვარულით,
მის წინაშე მოკვდავთ შიშით რომ აცახცახებს.

ჭექა-ქუხილი –
ოდესღაც რომ წამიკითხავს ჰუმბოლტის წიგნში –
ჩვენს ანტიპოდებს ფეხქვეშ გრუხუნით ემუქრებოდა.
ოღონდ რომელი ღრუბლებიდან გამოსხლტება
უეცრად ელვა? არა ოქროსფრად, არამედ შავად
რომ დაგელავს კენწეროებში.
ალის ენები არ ავარდება, იგი ისე დაეძგერება
ჩახლართულ ფესვებს.

ეჰ, ჩვენი ფესვი, რომ არ ვიცით, საით მიილტვის?
ხეს აქვს ძარღვები, შიგ უდგას წვენი. ჯიუტთხიერად
რომ მოწანწკარებს, ის კი სისხლია, ოღონდ თუ ვიცით,
იგი მტკიცედ რას ეჭიდება?
ფესვები არის ჩვენი გული. ვაი რომ ფესვებს
მუხანათურად ეპარება ვეება გველი,
ხის ძირს ყვითელი ღრუბელივით, ვითომ მთვლემარე რომ ახვევია.

შენ კურთხეული სახლის კარი გამოიხურე,
გულს გიხარებდა მადლიერი დამშვიდობება.
მრუმე ღამეში, ფარნების შუქზე
ქუჩა ზუსტად იქ გადაკვეთე,
სად ბოძკინტებზე ეკიდა ფარი და თეთრ-წითელ
ტრამვაის ვაგონს გაჩერებას აიძულებდა.
გაჩერებაზე რამდენიმე თუ იდგა მგზავრი. გიჟმაჟმა ქარმა
კვლავ ლოყაზე მოგიალერსა. ცაზე გაბნეულ ვარსკვლავთაგან
ერთი ვარსკვლავი ნაღვლიანად ჩამოგცქეროდა.
ყრუდ ჩაგესმოდა შორეული ფორნის რახრახი.
შენი ნატიფი, თლილი თითებით პირიდან ფერფლით დამძიმებულ
სიგარეტს იღებ, ფერთხავ ჰაერში, რაც დღეს უკვე
შენ თვითონა ხარ.
ბუნდოვან ფიქრებს ვერ გაექეცი,
ზაფხულის დამდეგს იალაღებს ნათლად ხედავდი
დაწაფებულთ ალპური ტბის დატალღულ წყალზე.
თუ მიმოდიან კვლავ გოგონები ჟინით აღსავსე
გაშტერებულ თვალთა წინაშე?
ალბათ მოგიკრავს ჩემთვის თვალი, როცა წყლის პირას
მარტოდმარტო დავეხეტები, მანამ, სანამ ჩემს ხატებაში
რაღაც უცხო და ცოცხალი არ გამოკრთება. შენ ფიქრობდი:
ბოლოსდაბოლოს ხვალ მივწერ წერილს. ანდა გრძნობდი:
რომ დღეს ძილის წინ შევშინდებოდი და ვერაფრით
ავხსნიდი მიზეზს.
ტკივილი ჩემი შენ ხომ თვალით ვერ დაინახე.
ვინ არის, ნეტავ, ის ბებრული, მომცრო ფიგურა,
უხმოდ, უჩინრად თავის თავში რომ ჩაძირულა?
რუხ ფილაქანზე დაეცა იგი. შენ კი მაშინვე
შეშინებულთა რკალმა დაგფარა. მათგან ერთ-ერთი
ახლა უკვე შენსკენ დახრილა. ახ, იმ უცნობმა უკვე იცოდა,
უხილავ ელვას მეძებარივით რომ ეპოვა ერთი ბილიკი,

შენს გულისგულში რომ მიდიოდა.
ის გული იყო, იმედით სავსე მოდარაჯე ყურს
ასე ბრიყვულად რომ გაუჩუმდა.
და ახლა თვალი
მან სხვებს მიაპყრო. მხრებმა მაშინვე
ჩიტებივით შეიფრთხიალეს.
რადგან შენ უკვე გაფრენილიყავ,
ხოლო ახლა წევხარ ქვაზე,
ვით უსახლკარო, ვით მათხოვარი
და ღრმა ძილით, ქვასავით გძინავს.

ო, მეგობრებო! ვის ძალუძს, ნეტავ, რომ გაზომოს
სამყაროს წამი უზარმაზარი, რომელშიც ჟამი მარადისობას
კვლავ უბრუნდება? რომელსაც მხოლოდ ჩვენი სხეული
ემორჩილება? (რადგან ჩვენს სხეულს გამართულად მხოლოდ
სული გვატარებინებს). ო, წამო, წამო,
მოუსავლეთში შენ გადაგვტყორცნი!
რაც თავი მახსოვს, თოვლის სიოზე არის იგი უფრო მსუბუქი.
ისე მსუბუქი, რომ ვინც ჯერაც ისევ ამტკიცებს,
თითქოს კვლავ ცოცხლობს, ანდა სადმე არსებობს აწმყო,
რომელსაც იგი დაჰკანკალებს, გრძნობებს ახარჯავს,
ცრუობს! რადგანაც აღარაფერი აღარ არსებობს.
მაშ ჩამივარდით, მეგობრებო, გაშლილ მკლავებში,
მკლავი ღამისკენ მაქვს გაშვერილი!
ჩაახშეთ სიტყვა იმ პირიდან გადმონთხეული,
მეტისმეტად ხმამაღლა რომ მოთქვამს და გოდებს!
თუკი სისხლის წვეთს, გზააბნეულს შეუძლია
მზის დაბნელება, თუკი ჩერდება ჩვენი გული სიცოცხლის მჩენი,
თუკი შესაქმეს შეჩერება ვარსკვლავედთა დაღუპვას ნიშნავს,
მაშინ ჩვენ რაღა დაგვრჩენია,
უნდა განვიხვნეთ და, ვით ორფევსი, ოღონდ

სიმების აუჟღერებლად, ხელის ცეცებით შთავიდეთ მღვიმეს.
მარტოდენ ეს თუ აგვაშორებს
ცოცხლადყოფნის დამთრგუნველ სირცხვილს.
მაშინ ხომ აღარ განვერიდებით
ჩვენს საკუთარ საბრალო გულებს,
რომლებიც ძგერას განაგრძობენ,
მაშინ როცა წინარე გულში ბევრი ძვირფასი
რამ განისვენებს, რასაც ამრეზით ყურს ვუგდებთ ხოლმე?

მეგობარი

ის, რაც მე შენთვის გამინდვია, ვინ იცის ახლა?
ის, რაც შენს მეტმა არვინ უწყოდა, ვინ უჩურჩულებს
ერთ-ერთ აჩრდილს და თან ანიშნებს,
რომ არაფერი გამიგონია? ო, საყვარელო, ყოველთვის, მუდამ
სასურველო! როგორ შესძელი ხუმრობითა და მანჭვა-გრეხით ისე შენიღბვა,
რომ არაფერი შემიმჩნევია – თურმე სარკის წინ
შეძრწუნებულს სული გითრთოდა. მისი შიშველი
საიდუმლო, იქ არეკლილი, ყოველღამე გაოგნებას იწვევდა შენში?
ო, ღმერთო ჩემო, ჩვენ მეგობრებსაც
ვუმალავთ იმას, რაც ზურგს გვაქცევს,
და შენც ის გრძნობა, რასაც სულაც არ გაურბოდი,
მაშინვე მხოლოდ იმ ერთადერთს მიანიშნე,
ვინც განგვერიდა. ოღონდ, ვაი, რომ ნავსაყუდლად
შენ ჩემი გული არ აირჩიე.

დღეს შემოდგომის პირველი დღეა. შენ აღარ გახსოვს,
ზღვის სველ სიოს როგორ მოაქვს ჩვენსკენ სიცივე,
როგორ იკვალავს გზას დუნე ნისლში,
შუადღემდე რომ მოიზლაზნება.
შენ დაგავიწყდა, რომ მქრქალ მინდვრებზე
აფენია ხმელი აგვიტი,
აჩრდილებივით ამოდიან ლილისფერი სათოვლიები
და ვერცხლისფერი თავები გვიმრის
მთვარის გარშემო მიმობნეულ ვარსკვლავებს ჰგვანან.
ზემოთ, უმზეო ქარაფებზე მოციმციმე ნაზი სითეთრე
ახალი თოვლი გეგონება.
ხოლო ქვემოთ, გლეხურ ბაღებში, ყვითლად ღუიან
სადაფნი და ქრიზანთემები. მაშ, ჩაგვატარე

ნაშუადღევს ტბის ნაპირებზე, ოღონდ
გოსლამდე ნუ მიგვიყვან, იგი შორსაა,
შენ ხომ არ გიყვარს სიარული,
სამაგიეროდ გიყვარს სოფლის
პატარ-პატარა სასტუმროები.
იქ გემოს ატან უბრალო კერძებს,
მარდი გოგონა ხალისით რომ მოგვართმევს ხოლმე.
რაკი თუთუნი გაახვიე აუჩქარებლად,
რაღა გვაკლია გულითადი საუბრისათვის?
ამ დროს უეცრად ტბის ტალღები უფრო ღონივრად
მოასკდება ქვით ნაგებ შვერილს, რაზეც ვერანდა
არის მკვიდრად დაშენებული.
ადრეულ დაისს ზოგჯერ ქარის სუსხი ერევა,
შენ ხელს მიაწვდენ ალპურ მოსასხამს,
უხერხულად მოიგდებ მხრებზე
და კვლავ სიგარეტს მიუბრუნდები,
თუმც მოკიდებას ამაოდ ლამობ,
თითქოს ნიავი ჭინკასავით გეთამაშება
და ალს გტაცებს ანცად და მარდად.
შემდეგ ესპანელ მწერლებს ახსენებ,
კალდერონსა და ლოპე დე ვეგას,
და არც სმეტანას „გაყიდული პატარძალი" არ გავიწყდება,
უცრემლოდ რომ არასოდეს მოგისმენია.
მერე იხსენებ ჩვენს პოეტებს,
გრილპარცერს, ნესტროს,
არც მეგობრები არ გავიწყდება.
ოღონდ ყველაფერს გირჩევნია
მხოლოდ ქალებზე ლაპარაკობდე,
რადგანაც შენთვის დედამიწას მათი რონინი ალამაზებდა.
მაინც არცერთი ქალთაგანი შინ არ წამოგყვა,
რადგან ბევრისკენ გაგირბოდა ყოველთვის თვალი.

თვალს არ აშორებ ახლაც ცბიერ ქალს, რომ გვეკითხება
აქ გარეთ ძალზე ხომ არ ცივაო (რადგანაც ჩვენი
მოშორება უნდა თავიდან). შენ მძიმედ დგები –
აქ ხომ ჯდომა გსიამოვნებდა. მე გული დიდხანს
მაინც არსად არ მიდგებოდა,
რაიც ყოველთვის გულისწყრომას იწვევდა შენში,
წინ დიდი გზა გვაქვს და საუბარიც მრუმე ღამეში
უკეთესია. ბევრი რამ მინდა ახლა გიამბო.
ნეტავ, ვისა აქვს შენებრ დიდი მოსმენის ნიჭი
და მოთმინება. ფრთხილად იყავი!
ხედავ, ჭადარი როგორ ჩრდილავს საკუთარ ფესვებს?
სახლში საყვარლად ინთება შუქი.
ვახშამზე უკვე დავაგვიანეთ.
ტბაზე მიცურავს ეული ნავი და ნიჩბებს, ალბათ, მიჯდომია
შვედი ასული, შენ საალერსო სახელი რომ შეგირქმევია.
ახ, ამბობ ახლაც და ხელს აიქნევ, ალბათ ვიღაც
თავქარიანი მას უეჭველად უზისო ნავში.
ჩვენ ვლაპარაკობთ შვედ ასულზე, სხვა გოგონებზეც,
საჩვენო სულაც რომ არ არიან, თითქოს უფლება
გვქონდეს იმედის. და აი აქ დგას შენი სახლი.
ღამემ ისევე გადაჩრდილა ჩვენი საღამო,
როგორც ჭადარმა თავის ფესვები.

რა დროა ახლა? შენი სახლის წინ დავყუდებულვარ,
შენ იქ შეხვედი, ოღონდ ჯერაც არ გამოსულხარ.
თითქოსდა ყველა ფანჯარაში ჩამქრალა შუქი.
ყველა სტუმარი, ალბათ, ვახშმობს, შენ კი რასა იქმ,
ჭიშკრიდან რომ არ გამოდიხარ?
სახლს ირგვლივ ისევ ახვევია
მრუმე სიბნელე, ვერც კედლებს ვარჩევ, ველარც სახურავს.
მაშ, რა მღლის ასე? ყველაფერს სჯობდა,

შენს ოთახში რომ მომენახე.
ნეტავ ჭიშკარი რატომ იყო გამოკეტილი?
ვინ გადასწია შიდა ურდული?
ახლა ვერავინ, გვიან მოსული,
სახლში თავისით ვეღარ შეაღწევს.
უეცრად მივხვდი, რომ ყველას სძინავს, შენც გძინავს ალბათ
და მეც ძილი უცებ მერევა. ნეტავ სადამდე გაგრძელდება
ჩემი ლოდინი ღამეულ ქარში? იქნებ შენ კიბით
ჩამოდიხარ, ურდულსაც გასწევ. მაშინ ჭიშკარი
გაიღება და შემომიშვებს თავის წიაღში.

მევიოლინე ქალის სიკვდილი

სულ ოთხმოცდარვა
გაფრენა ჰქონდა
დიდ ფრანგ პილოტს
ჟან დე ლა ნუის
თავის ორლიდან ნიუ-იორკამდე –
ნიუ-იორკიდან უკან, ორლიმდე
ბედნიერად დასრულებული.
ატლანტიკური ღრუბლების თავზე,
ცაზე, რომელიც უხსოვარ დროში
მონტესუმას და კორტესს უხილავთ,
ზვირთების თავზე, სადაც სიღრმეში
წყალმცენარეებს ზვიგენები შეჰფარებიან,
სადაც გემები არ დაცურავენ,
სადაც დელფინი არ დასრიალებს,
მფრინავი თევზიც წყლის სიღრმეში არ გამოკრთება.
უდაბნოეთში, რომლის ხსენებაც
ბავშვობიდანვე ჟრუანტელს გვგვრიდა,
რუხყვითელი ტალღების თავზე
თეთრ შხეფებშეყრილ ქულა ღრუბლებში
ჟან დე ლა ნუის თავის შტურვალი
გმირის ხელებით ეჭირა მტკიცედ.
ოთხმოცდარვაჯერ
დაეშვა იგი
იქ, სადაც კოლუმბს კარაველა "სანტა მარიას"
კიჩოდან შორით უცხო ნაპირი არ დაუზვერავს.

პილოტთან ერთად
იმ ხომალდში მსახურობდა

სულ შვიდი კაცი და ორი ქალი.
ოცდათვრამეტ მგზავრს,
სავარძლებში მსხდომს,
მათთვის საფრენად მიენდო თავი.
ამერიკელებს, ფრანგებსა და მრავალთა სხვათა,
სულსწრაფ ხალხს, ვისაც
გემი ნელი ეჩვენებოდა.
დღემოკლეთ სურდათ დროის მოგება,
ფულის მოგება - მიწათმორწმუნეთ,
პატივმოყვარეთ დიდება სურდათ,
ძალის დიდება სურდა მოკრივეს,
ვინც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის
სუნთქავდა მხოლოდ, იმას სწყუროდა ჩემპიონობა.
სურდა მსოფლიო ჩემპიონად აღიარება
(ოღონდ ვიცით კი ჩემპიონად ვინ იწოდება?)
ჰოდა, ისიც ხომ დიდებაა,
ზეცის ლაჟვარდში
ერთადერთი ვიოლინო რომ დანანაობს?
მევიოლინეს დახრილ თავზე ჰანგებს დააღვრის,
ქალს, ვისაც ძველი ვიოლინო უძვირფასესი
ნიკაპითა და მხრით უჭირავს ნაზად, სათუთად.
ვიოლინო - ო, ვიოლინო! -
ძველთუძველესი
ოსტატს შენთვის არ შეუქმნია.
იგი ხომ თვითონ არ უკრავდა,
მას მხოლოდ ყურთან მიჰქონდა იგი,
ხით და ჰაერით და სიმებით
ის ბგერებს გრძნობდა.
ო, ვიოლინო ხემის გარეშეც ნეტარებით
მას უმღეროდა.

ოთხმოცდამეცხრედ დღეს
მოვფრინავ დასავლეთისკენ,
ფიქრობდა გულში დე ლა ნუი და, აი, მის ქვეშ
მწვანედ ხასხასებს პაწაწინა კუნძულთა წყება.
სამხრეთული მთები ნაზია,
კლდოვან კუნძულებს მწვერვალები არ აქვთ მაღალი.
იქნებ, გავბედო და ახლოდან ვიხილო იგი?
თუ უნახავს ვინმეს ციდან ეს სილამაზე?
ნეტავ, რა ჰქვიათ? რუკა სად არის?
სადღაც მივაგდე? არა, აქ არის! სანკტ მიხაელის
კუნძულები ყოფილა თურმე.
რა ლამაზია ეს სახელი. მეც ხომ მაქვს ფრთები,
როგორც მიხაელს,
ვინც სატანას მარცხი აგემა.
ახლა ნელ-ნელა ქვემოთ ვეშვები.
როგორ მიყვარხარ, მარტოსულო კუნძულო ჩემო,
როგორც კაცთაგან ყველა სიშორე. –
ო, მეგობრებო! არცერთ თქვენგანს
არ უხილავს შავბნელი ხელი,
იქვე, ახლოს ვერაგულად რომ დაფათურობს,
ფარისევლურად გიალერსებს თითებზე ისე,
რომ საფრთხეს სულ არ ელოდები და მცირე ადგილს
უთმობ შტურვალთან, ზუსტად იმდენს,
რამდენიც კმარა
გადახვევა ვეღარ მოასწრო,
ალვერიას კლდე შენს წინ როცა აღიმართება!

ახ! ვინ უმღეროს შეჯახებას ან თუნდაც ვარდნას,
ძველი, ჩამქრალი ვულკანიდან ამოფრქვეულ ცეცხლს,
ან ვინ უმღეროს მოტორის მსხვრევას,
როცა ხელიდან გაუსხლტება მავანს ხომალდი?

უვიოლინოდ
ვინ უმღეროს ამას ყველაფერს,
თუკი ვერც მის ფერფლს,
ველარც თავის ცხვრებს
ვერ იპოვიან
ფარის მწყემსები?

მევიოლინე ქალის
ფერფლს ხომ ვერ იპოვიან
ვერც პაწაწინა ნორჩი ბატკნები. – ჟინეტ!
ო, ჟინეტ ნევო! ანდრომედასებრ
ვარსკვლავების ქვეშ რომ ხარ ჩასმული,
რომლებიც ცაზე ჩანგისებურად განლაგებულან.
ოღონდაც, ჟინეტ, იქ მარტო ხარ, უვიოლინოდ
და თქვენს სიკვდილს
ვერ დაუკრავ საბრალო სულებს,
შენთან ერთად უსახელოდ ზეცაში ასულს.
თუმცა ისინი სხვაგან მაინც იციმციმებენ.
ჩანგში კი მხოლოდ შენი ძმა და შენ იციმციმებთ,
ვისაც ოდესღაც ბავშვურ შიშებს უზიარებდი,
კვლავ და-ძმურად გადაჯაჭვულხართ
თქვენს სიცოცხლეში უკანასკნელ შიშის წინაშე.
მილივლივებდით და ყვიროდით,
რომ ანგელოზს ცეცხლის ალისგან
მხოლოდ თქვენთვის
იქნებ როგორმე გადაერჩინა ვიოლინო
სტრადივარიუსის.

შენ ხომ გიპოვეს და შენთან ერთად ვიოლინოც,
გაშეშებული ხუთი თითით რომ ჩაფრენოდი,
ახ, როცა უწინ ნაზად გეჭირა იგი!

გეჭირა და დემონს არაფრით არ ანებებდი.
განა მან მწვერვალს შენი ხომალდი
ამ ნადავლისთვის არ მიანარცხა?
შენც, ვიოლინოს, მძინარეებს მოგაგნეს მერე,
ხელი დაგავლეს და ორივე შინ წაგიყვანეს
კუპერინის, ცეზარ ფრანკის და რაველის
დიდ სამყაროში,
იქ განისვენებთ სამარადისოდ.
მაგრამ თქვენ მაინც დაგტირიან ადამის ძენი,
ოღონდ ტირილი ჩემი არ იყოს,
ვისაც მართლა არ ეხერხება,
მათ სურთ იმ კუნძულს დაადგან ფეხი
და საღამოხანს
ალვერიას პიკზე ავიდნენ.
როცა ღრუბლები შეფერადდება,
ისინი მეჩხერ ბალახებში წამოწვებიან
ან ჩაცუცქულნი მშვიდ გარემოს აყურადებენ,
მაგრამ ბალახში ხავერდოვანი მწვანე ფერის
მხოლოდ ხვლიკი დაშარიშურობს
და სადღაც ნაზად იგალობებს ეული ჩიტი.
ან სიოს მოაქვს თევზისა და მარილის სუნი,
წყალმცენარეთა სუნთან შერწყმული.
ცა იღრუბლება,
თუმცა დიდხანს მოქუფრულ ღრუბლებს
მეწამული არშიები გარს ახვევია.
გვაცალე კიდევ ცოტახანს წოლა,
გვაცალე ყური მივუგდოთ მანამ,
სანამდე, ჟინეტ,
ვიოლინო არ ამღერდება.
ო, ჟინეტ, ხომ არ დაგვიწყებია -
უვნებელ ხელში უვნებელი გიჭირავს იგი.

მაშ, რაღას უცდი, აახმიანე,
იგი ოქროსებრ ბგერებს ჩამოღვრის.
ხემი არა გაქვს? დაგეწვა ხემი?
შენ ვიოლინო გაფითრებულ ლოყასთან მიგაქვს
და იცდი, ვინმე ნეტარი სული
ანგელოზის ხემს როდის მოგაწვდის.
იქნებ იქ, გაღმა,
სხვანაირი იციან დაკვრა?
უვიოლინოდ, უხემოდაც კარგად უკრავენ?
იქნებ სულები უხმოდ მღერიან?
სიღატაკესაც არაფერი უჭირავს ხელში,
მაგრამ ვინ მღერის მასავით ამოდ?

ოდა სიკვდილისადმი

შენს წინაშე შიშს ყველა უნდა გადავეჩვიოთ.
ჩვენთან ერთად სადაც უნდა მიშრიალებდე,
ეთერის ჩრდილთა სფეროებით სად მიგვიყვან,
თუ არა ოდენ ნეტარების აღსავლის კართან?
ჯერ იყო შიში. იფეთქა სისხლმა
შეძრწუნებულმა, ჩვენი გულის პარკუჭებიდან,
უეცარი დარტყმის პასუხად.
მაგრამ მე უკვე დავფარფატებ,
დამატარებენ დასვენებულს,
ჩაკიდულ თავით, რომელსაც ჯერაც მიწაზე
სურს დაბრუნება. სატრფოს მკლავებში უნდა ჩავარდნა, მაგრამ იმ მკლავებს
შეუძლიათ მხოლოდ მოტანა, იქ სიყვარულის გულზე ოდენ უნდა ილოცონ,
რომლის არილი არის მზე და სხვა არაფერი.

ო, მაცნევ, მაცნევ! რაც დავიღალე,
მხოლოდ მას შემდეგ დავინახე შენი ნიშნები,
რომელთა კითხვას მისხალ-მისხალ,
თანდათან ვსწავლობ, -
მაგრამ, ძვირფასო,
ეს ნამდვილად მალე იქნება?
სიამოვნებით მინდა
დღესვე რომ განგადიდო,
ისევე, როგორც მეგობარი საღამოხანს
უკვე ოთახს რთავს საყვარლისათვის,
რომელსაც ელის.
ის, მომლოდინე, მართალია ყოყმანით, მაგრამ ბაღიდან მაინც
უკანასკნელ ვარდს და კოკორს ულამაზესს
მოეზიდება, რომლებიც უყვარს და ამიტომაც

დიდხანს უყურებს, სანამ ნანატრი მიჯნურისთვის
მოსაწყვეტად გაიმეტებდეს,
მოახლეები უკვე სადილს რომ უმზადებენ,
ხოლო მსახურნი გრილი მარნიდან
ისეთ ღვინოს ამოუტანენ,
მამა-პაპანი ქორწილისთვის რომ ინახავდნენ.
დიახ, აქატის ფიალიდან ღვინოს მხოლოდ შენ შეგასმევენ,
მაგრამ ფიალა შენ ხელიდან გაგივარდება.

ეს - იმიტომ, რომ, ანგელოზო, მხოლოდ შენს თვალში
ირეკლება წინასამყარო, რომელშიც ფრთები
ჩვენ გარეშე შენ ვერ შეგიყვანს,
იქ მხოლოდ ჩვენთან ერთად ძალგიძს იმყოფებოდე,
თვალდავსებულო, შენ იქიდან გამოგაძევეს
და თეთრ თვალებში აწ ჩრდილების ჯვარი წერია.
ჯვრის შუაგულში უღრმეს სიღრმიდან
ნაპერწკლები ცვივა ოქროსფრად.
ჩვენ ძარცვასა და გამოტყორცნას წინ აღვუდგებით და თავს ვუშველით,
როგორც - ბავშვობის ავ სიზმარში, რომელიც მხოლოდ
სიცხით გათანგულთ გვიბრუნდება, სადაც ჭაობში
სნეული შუქი კვლავ ჯიუტად აირეკლება და გულს გვიფლეთავს.

რაო, რაო, ნაზი ჩურჩულით ვითომ არ თქმულა,
ზემიწიერნი ღიმილით რომ საუბრობენ
კაცთა გეგმებზე?
არა, სულებო, მე ხომ კარგად მომეხსენება,
იქ ყველაფერი სხვაგვარადაა და არა ისე,
ჩვენ რომ გვგონია.
მაგრამ ის ვიცი, უღრმესია ერთი ადგილი,
თავად სიცოცხლეს გარდაქმნის გზით
რომ გადაადნობს ისევ სიცოცხლედ.

ეს საიდუმლო უსახელოა, წმინდათაწმინდა,
მას კურთხეული ბაგეც ვერ ახსნის,
თუმც იგი მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

თუკი მან, ღმერთმა, შექმნა სამყარო,
რომელიც, ვიცით, არის თვითონვე,
მას გაახარებს ყოვლადქცევა, სანამ ყოველი სახიფათო თამაშ-თამაშით
ყოველივეზე ჯერ არ გაცვლილა.
რადგან მკვლელობაც და სიყვარულიც მის სისხლს ხარბად დაეწაფება.
მის სუნთქვის კანონს ლაღად ბაძავს ზღვა უსასრულო,
უფრო ნაზად კი - ხის ფოთლები მისი ყოფნის დიად მსვლელობას,
ხოლო პეპელა ფრთაშესხმული ისე ფარფატებს,
ჩვენ რომ ვფარფატებთ დასასრულში ჩასაკარგავად.
და მიგვითითებს საკმაოდ მკაცრად,
რომ მოკვდავნი გარდასახვის სამ საფეხურს სრულად გავივლით:
სიჩლუნგის ხანას, ჩაღრმავებას, ბოლოს აღდგომას.

ეს სიგიჟეა, რასაც ახლა მართლა გავბედავ
და თქვენ გეტყვით, ყოვლისმცოდნენო:
იმ ადამიანს, განგის წყალი რომ არ შეუსვამს
და ნილოსისგან არ ყოფილა გამოკვებილი,
ვერა ძალა ვერ გაურღვევს იმ ვიწრო მიჯნას
უზარმაზარ ჰორიზონტების, მის თვალის კაკალს
ცასაც კი მცირედ რომ მოაჩვენებს.
მაგრამ ღონივრად ზევით აფრენით
შენ ლურჯ შუშისებრ კედელს გაარღვევ,
ღია ცის მიღმა აღმოჩნდები და ჩვენც აგვიყვან
იქ, სადაც სხივთა ნაპირებიდან ნეტარებით გამოიჭვრიტავს
პირველი სხივი სულთა სადგომის.

იქ წამიყვანე! აღარ დაუშვა - დედამიწაზე

კვლავ დავიბადო ადამიანად!
არც ვაჟიშვილი მინდა ვიყო, აღარც ძმა,
აღარც - მეგობარი და აღარც – ოი, რომ იცოდეთ,
რა მართალი ვარ,
როცა სიყვარულს აღარ მოვითხოვ.
რა ტკივილითაც ჩვენ ვარგუნებთ ქალებს სიყვარულს,
იმ ტკივილითვე მას ვღებულობთ ცხოვრებისაგან.
სიყვარულით სავსე ხელებში, მკლავებს შორის,
მკერდებს შორის და ამ ქალთა სათუთ გულებზე.
ვნების გამო რომ არად ვაგდებთ
ჭკვიანურ აზრებს,
უბიწოებას, ღვთიურობას თავს რომ ვარიდებთ,
მაშინ რატომღა უნდა გვეგონოს, რომ ისინი
თავიანთი ხარბი ტუჩებით სიყვარულით, გულით გვკოცნიან?
და სადაც მათში ვიძირებით, იქ არ არის ოქროს უფსკრული,
თუნდაც იქ ჯვარი გამოსჩანდეს გამოსახული.
საით მისხლტება ახლა ფიქრები, ნუთუ მაცდუნებს
კვლავ მოგონება დედამიწისა? ნუთუ იქამდე
არ ვარ მისული, რომ ლოდინში გარინდებული და სანახევროდ
თვალდახუჭული ვიჯდე ჩანგრეულ ცივ კერიასთან,
სად ცეცხლი ალბათ ჩამქრალია უხსოვარ დროში?
რაკიღა თითით შემიძლია ცივ ნაცარში ლექსები ვწერო?
აი, ეს ლექსიც რუხ ნაცარში დამიწერია.

ო, მოდი, მოდი! რა დუნედაც უნდა გეძახდე,
ეჭვებით თავი მიმძიმდება
და თავს დაბლა ვხრი: ნუთუ, შენა ხარ,
პირველად რწმენით ანბანის წიგნში რომ შემოგხედეთ?
ნუთუ, ღმერთია ეს საშინელი, მკაცრი მოხუცი,
მისი წვერის დანახვაზე რომ გვაჟრიალებს?
მამაკაცების ტუჩ-პირს მომდგარ თეთრ და ხშირ წვერში,

თუ განგირისხდა, თეთრი კბილები
მხოლოდ მაშინ თუ გამოკრთება? არა, ღმერთი სხვანაირია:
არ არის მამა, არ უყვარს, არ სჯის
და შენც მისი ანგელოზი არა ხარ, არა:
არც დიდი ძალის გამოვლენისას,
არც დაცემისას და არც მერე, წამოდგომისას.
ვიცი, უხეშად როგორ გამჭიმავ,
შეუბრალებლად დამაშორებ დღის შუქს, ყვავილებს სამარადისოდ,
მწვანე მინდვრების ალიონის შუქით შემოსილს.
მე დამრჩენია მხოლოდ ტკივილი!
იგი თავზე მზეს ჩამომამხობს
და სამყაროსაც ზედ მიაყოლებს და მერე მათგან
ქაოსს, ჩრდილებს, უკუნეთს შექმნის.

საიდუმლო

ყველაფრის ცოდნა
აკრძალულია, მაგრამ რასაც
გუმანით ხვდები,
იმ ღამის თვალი მოიძიე,
ვინც ეს აგიხსნა.

ო, საიდუმლოვ მამა-ღმერთის, ძე-ღმერთის და სულიწმინდისა!
ო, საიდუმლოვ დრო-ჟამისა! საიდან იღებს სათავეს იგი?
ღმერთის თავიდან?
მაგრამ ის თავი, ვიცით, არის
მარადიული,
მარადისობა უსასრულო დრო კი არ არის,
იგი ჟამია უდასაბამო,
ანუ აწმყო, იმ წრის მსგავსი, რომელსაც, ვიცით,
არც დასაწყისი და არც ბოლო არ გააჩნია
და საკუთარ თავს უბრუნდება დაუსრულებლად.
და შიგ ხაზები თუნდაც ჩვენი ხელით გავავლოთ,
მხოლოდ იმ ვარსკვლავს გამოსახავენ,
რომელიც ჩვენში ღვთაებიდან გამობრწყინდება.
ვიცით, დრო-ჟამში მარადისობის სიო რა არის,
ისიც არ აღწევს და მაინც მისგან შვა გონმა იგი,
რადგან ის ქმნიდა, ასე გახდა დროებითი
თვითონვე გონი და გადაიქცა ზეციურ მამად.
მიხვდი, ვინ შეძლო ამის ჩადენა: მარადიულმა
დროებითი გამოაძევა და საკუთარი თავიც შესწირა მსხვერპლად,
მაგრამ რომელ სიყვარულს? მარადიული
საკუთარ თავს რად გამოეყო და ქმნას თვითონვე რად მიჰყო ხელი,
თუ დაამსხვრია წრე წმინდა და ძველთუძველესი,

რომელიც მყისვე იქცა არსებად, ოღონდ უძლურად
და უძლური უძლურსავე შობს? მაშ, მიხვდი,
გული ყვირილისგან ვის არ უსკდება!
ო, გონის ბრალი შესაქმეში! და მაინც გონის სიყვარული შესაქმისადმი!
ო, მამა-ღმერთის სიყვარული, მარადიულს რომ შეელია,
ეს ძის ტანჯვაზე გაცილებით დიდი მსხვერპლია!
ო, შიშისზარო უზარმაზარ საიდუმლოსი, რომელიც თითქოს მოკვდავი იყოს,
გაყმაწვილებულ საიდუმლოში შობას განაგრძობს?

პირველად იყო გონი. მაშ, მამა მხოლოდ გონის ძე ყოფილა?
და ძე მამისა განა კვლავაც გონს არ წარმოშობს?
ამაღლებული ეს წრებრუნვა, დაუსაბამო და უსასრულო,
ჩვენ გაგვანათლებს ძირფესვიანად, და, აი, მაშინ
წმინდა სამების ყოველი წევრი
თვით იქნებოდა მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და თან სულიწმინდა.
მაშინ გამოდის, იმათ ჩვენ ვყოფთ პიროვნებებად და გადავაქცევთ დროებითებად,
თუმცა ისინი არსებობენ უკუნითი უკუნისამდე.
მაშინ რაღაა იგი ძალა, მარადისობის საუფლოდან
მათ მიწისკენ რომ ეზიდება?
რომ იტრიალონ დედამიწაზე, ისე, როგორც ზეციურ ტივზე,
წელიწადის დედის გარშემო, მზის გარშემო,
რომელიც ისე წყნარად სულ არ ზის ზეციურ ტახტზე,
ჩვენ რომ გვგონია, მისგან და მისი ვარსკვლავებიდან
გამობრძანდება დრო-ჟამის ღმერთი. ოღონდ იმ გულში,
სადაც დიდი სიყვარულია, დასადგურებას მოერიდება.

მაგრამ როგორ! მას უყვარს, ვინც ქმნის?
მხოლოდ მას უყვარს, ვინც თავს გასწირავს.
მსხვერპლი არის ღვთაების სუნთქვა, და ხშირად,
რაც კი რამ გვიქმნია, ჩვენი მსხვერპლი
სწორედ იმას გაანადგურებს. ცოდვის ფესვები

მაღლა, ზევით მიისწრაფვიან და თან მიაქვთ
მსოფლიო ხის კენწეროები.
ნუ მოითმენ, მე რომ მის ქერქს ხელით ვეხები!
მოთქმა-ვაებას გამომარიდე! რადგანაც იყო განუზომელი
მამა-ღმერთის მონანიება, ეს იყო მისი მისაგებელი.
თვით ამ სიტყვაში თუ იგრძენი ძე-ღმერთის სუნთქვა?
და შენი სული ღრმა უფსკრულში ისე ბზრიალებს,
როგორც - ფოთოლი ზეთისხილის, მტრედს ოდესღაც რომ დაეკარგა,
მაგრამ მტრედის თვალს შეუძლია ზემოდან ზვერვა
მხოლოდ იმიტომ, ღვთის საიდუმლოს ამოცნობა
ბავშვმაც რომ შეძლოს. მაშ, შენ ამბობ:
მამა-ღმერთი და სულიწმინდა, დროის ეთერში ჩაყვინთულები,
უფრო იოლად ჩასწვდებოდნენ ქალწულის სხეულს,
რათა შემდგომ ღმერთის სახით, კაცით სახით კვლავ შობილიყვნენ,
მერე მცენარედ, მერე ცხოველად, ადამიანზე აღმატებულებს
ღვთაებრივში დაბრუნება რომ შეძლებოდათ აღდგომის შემდეგ,
და, ყველაფრის მიუხედავად, გამოთიშულთ ღვთაებრივის მთლიანობიდან?
ნუთუ დრო-ჟამი ამ დაცილებით ზეცამდე არ ამაღლებულა?
მანამდე, სანამ სიყვარული ძალას მხოლოდ
ხელმარჯვნივ უზის, მანამ იქნება განშორება მუდამ თავღია,
და სამებასაც, დამსხვრეულსაც, თვალი ისევ გაუშტერდება,
თუმც იგი უკვე დაფარფატებს მარად წმინდა და განდგომილი.
შეიძლება კი სიყვარულიც ასე განგვიდგეს?
ო, სულიწმინდის უკანასკნელო გაბრძოლებავ ჩვენს დასახსნელად!
შეხედე, თვითონ სამსახოვნება თავს როგორ სწირავს სიყვარულისთვის,
თითოეული სულისათვის?
თუმც ერთი სამად გახლეჩილია
და აწვდენს დრო-ჟამს თავის წმინდა მარადისობას,
იქ ქმნის, იქ უყვარს და იქ ზეიმობს.

ზიარება

მოძღვარი თესავს
თეთრ თესლს პირთა
ღია ხნულებში.

მონანიეთ, მუხლმოდრეკილს
ყველას არგუნებს.
უეცრად ხე რომ ამოიზარდოს!

ისე დგებიან საკურთხევლიდან,
ტყესავით რომ დგას
ყველას სულებში.

ნუთუ, ლოცვებში შრიალებს იგი? ნუთუ, ტყე ჰქვია
ტანშიშველ და განტოტვილ ხეებს,
მწვანე ვარჯი სხეულივით ზედ რომ ჰკიდიათ!

ო! ის სხეული ჩემშია, ჩემში!
ო! როცა წითლად ამოხეთქავს
ის ხუთ ყვავილად!

ხის წმინდა ბდვილი, წყლად და სისხლად
როცა მოწვეთავს! ო, სისხლო, ჩემს სისხლს შემოერიე!
სისხლის ნაყოფი, ნეტავ, ოდესმე ვით დამწიფდება?

ქრისტე ჯვარზე ჩემში ჰკიდია! შენს ჯვარზე! შენში! ჩვენში, ყველაში!
ხელით შეეხოს, ვინც კი მისწვდება! სამყოფ მიწას
ვინ არგუნებს, ნეტავ, თეთრ ფესვებს?

ვინ შეინახავს იმდენ წყალს, რომ იგი მოირწყას?
ნეტავ, ეთერი კერწეროებს ვის უგუგუნებს? და ვის უნათებს საკმარისად

შინაგანი მზე?

ქრისტე! არა, იესო ჩვენში! ო, ხელები ანგელოზების!
ის თქვენ ფრჩხილებს ამოგიბრუნებთ,
ვისი თითებიც უხვად არის ეკლებით სავსე.

სად მარხავთ იმას? ასეთი გული საკმაოდ ღრმაა
გარდაცვლილისთვის? საკმაოდ ღრმაა
ცოცხლად მყოფი ანგელოზისთვის?

ღრმაა მორწმუნე ქალთა თვალთათვის,
მას რომ აღარ უთვალთვალებენ? მაგრამ იქ მიდის
ის, უკვე როგორც მათი მებაღე. –

„Ite. Missa est". ყურს ვინ უგდებდა ორღანის ხმას,
როცა გარშემო ტყე შრიალებდა,
მოძაგძაგე ტყე ტანგაძარცულ დიდი ხეების?

ფეხარეულნი როგორ შედიან ღია კარში ტაძრის ორღანის!
ყოველი კაცი თავისიანს სახლში აბრუნებს,
ის, ვინც მისი ძარღვების ხეში სამარადისოდ ჩაიკარგება.

იქ სულიერად თავის საქმეს აგრძელებს იგი,
მაგრამ დიდხანს გრძელდება მხოლოდ
გარდაუქმნელი არსი თვისი თეთრი თესლისა.

იგი ხედ არ გადაქცეულა. ის კვლავ ღმერთის და
სულიწმიდის საკუთრებაა, რომელიც ჩვენზე
გადმოდის, მაგრამ ჩვენ მათით ტკბობა არ გვიწერია.

და დედა ჩვენი, სათნო დედა
კერას დარაჯობს და ინარჩუნებს
თავისი თეთრი სიყვარულით.

სიტყვა

პირველად იყო სიტყვა.

მაგრამ იმ სიტყვებს,
წარმოთქმა რომ არ შემიძლია, განა არა აქვთ
ნაზი გრძნობა დედების მიმართ?
ანდა ნაზ გრძნობას დედისადმი
სიყვარული არ გააჩნია?
დედა არა ჰყავს სიყვარულს, რადგან იგი მთლიანად უფალს ეკუთვნის
და ამიტომაც მხოლოდ ანგელოზს შეუძლია მას მიესალმოს;
ჩვენ კი არა გვაქვს ამის უფლება. სიტყვები ჩვენი, ეხ, ნეტავი რაებს შეთხზავენ?!
გლოვას კი - არა.
ისინი კი სიყვარულთან არიან ახლოს და ამიტომაც
უსიტყვოდ ვდგავართ საფლავის პირას.

უცრემლოდ ვდგავართ. რაო? გრძნობები მალე კვდებიან?
კვდება უკვდავი სიყვარული მოყვასთ გულებში,
იქ დააბოტებს შენიღბული მოთქმა-ვაება, როგორც
მოხუცი, დანაშაულს მრავალს რომ მალავს;
მაგრამ სიკვდილთან როცა წარსდგება, აღიარებას ვერსად წაუვა.
და ასე დაძრწის ცრემლგამშრალი მიწაწყრილ ბორცვის გარშემო,
ზედ გვირგვინების ყვავილები რომ აჭკნებიან. ქვემოთ კი ის წევს,
ჩაძინებული ჩვენი სატრფო, სული უეცრად
გაშეშებულ ღია პირიდან საითკენღაც რომ გაფრენია.
საით, რომელი ვარსკვლავისაკენ, ოქროსლელიან სანაპიროზე
იისფერი ცის შუქის ზვირთი რომ ენარცხება?
ვითომ დგანან კი იქ სახლები, სადაც ისინი იცხოვრებენ
შორს გაფრენილნი? იყურებიან ვითომ სარკმლიდან
გათეთრებული მათი თვალები?

და დედამიწა
მათთვის ახლა არის ვარსკვლავი?
ვითომ იქიდან გვითვალთვალებენ,
ჩვენ კი ისინი იშვიათად თუ გვაგონდება?
არც შეღონება ჩვენი გულის და არც სისუსტე ჩვენი ნებისა,
სიყვარულისთვის ძალის არქონა
ჩვენი შერცხვენის და შეცბუნების არის მიზეზი.
თავს იმიტომაც იბურავდა ბერძენთ ხელმწიფე, რომ ასული,
შეწირული ღმერთების მსხვერპლად,
მან ცხარე ცრემლით ვერ დაიტირა.
ღრმად დაფლული, დაბეჭდული ცისტერნებიდან
სიხარულს უფრო ეიოლება ამოხაპოს ცრემლი მრავალი,
ვიდრე - ტკივილს, ღონე მალე რომ ეშრიტება.
და, აი, ასე ვდგავართ საფლავთან,
უძვირფასესი ნეშტი ნელა ქვევით ეშვება
და ჩვენც მივაყრით კუბოს მაგარ, გამხმარ გოროხებს,
იმ გოროხებს, ჩვენ თვითონ რომ ვართ.
და დამალული ჩვენი დაიკო
საკუთარი სულია ჩვენი,
მან მიგვატოვა და იქვე დგას, როგორც უცხო, გადამთიელი,
ჩვენსკენ გულგრილად ზურგშექცეული.
გაოცებული სახით ჩვენსკენ თუ მოტრიალდა,
მას აღენთება თვალში შუქი მკაცრი ვარსკვლავის.

ნეტავი ვინ ვართ,
ვინც ჯერაც ვსუნთქავთ? ანდა ისინი ვინ არიან,
ვინც აღარ სუნთქავს? ვარსკვლავთსიმრავლე
საცხოვრისად ვისთვის მომზადდა? მოკვდავნი
სულთა საუფლოში მარტოდმარტო,
მძიმედ შედიან. სასაფლაოზე დარჩენილი მგლოვიარენი
ხრიოკ კუნძულზე გადმოსხმულთ ჰგვანან.

მათ ეშინიათ, რადგან უწყიან - მალე თვითონაც გაშშებულთ და თვალდახუჭულთ
პირზე ხროტინი შეაცივდებათ და პირი მათაც დარჩებათ ღია.
ამბორს ისინი ვეღარ იგრძნობენ,
გამოსათხოვრად გაყვითლებულ შუბლზე აღბეჭდილს.
ხელებსაც, უკვე გალურჯებულს, გულზე დაკრეფილს
ვერა ამბორი ვეღარ შეაკრთობს.
აღარაფერი იმათ ხელებს აღარ უჭირავთ.

ნეტავ ხელებში ჩვენ რა გვიჭირავს? სიყვარულს
არ სურს რამე ეჭიროს. მას ხომ ამქვეყნად
ყველაფერი აქვს. სიღატაკეს კი
ხელი ფართოდ გაუშვერია, მაგრამ ამაოდ.
გულში ვერც სულებს, ვერც სხეულებს ის ვერ ჩაიკრავს.
მხოლოდ და მხოლოდ ნაყოფიერს მოსდის ცრემლები
და სიტყვა იგი ეფურჩქნება ძალის სისავსით.
როგორც პირველად, ისე ბოლოს იქნება სიტყვა
და მას შესაქმე კვლავ ღვთის გულში მიუჩენს ბინას.

დანართი

ანტონ ვილდგანსი

შემოქმედებითი აღმაფრენისა და ხელოვანის შრომის შესახებ

სიტყვა, წარმოთქმული ვენის მეცნიერებათა აკადემიაში 1929 წლის 21 მარტს, წიგნის დღეს

ვისაც კი, ერთხელ მაინც, საკუთარ თავზე გამოუცდია ის გზნება, რომლისგანაც უეცრად ამოიმართება ხოლმე ახალი პოეტური ნაწარმოების კონტურები, ისევე, როგორც შეიარაღებული ათენა პალადა ამოიზარდა ზევსის თავისგან, და ვინც თვინიერად ემორჩილება იმ მიუწვდომელს, რომელმაც სწორედ ის ამოირჩია თავის იარაღად, დაფიქრებულა ალბათ იმაზე, რომ ადამიანები მხოლოდ წამიერად შეიგრძნობენ, მიილტვიან თუ საუბრობენ ერთმანეთთან, ცალი ყურით უსმენენ ერთმანეთს და მათმა უმრავლესობამ არც კი იცის საერთოდ, თუ რა ხდება იმ ადამიანის გულში, რომელთანაც ისინი, ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე, იყოფენ ოთახს, ლოგინს და ყველანაირ საზრუნავს. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ცოდნაზე, რაც მათ გააჩნიათ იმათ შესახებ, ვინც საერთოდ არ ხვდება მათი მხედველობის არეში. მაგრამ მათ შორის იმყოფება ერთი ***ვინმე***, ვინც ისმენს მათი სიტყვების მიღმა, იყურება მათი გამომეტყველების იქით, რომელსაც შუძლია ახსნას შუა ლაპარაკის დროს ჩამოვარდნილი შეჩქვიფებული სიჩუმე და ერთმანეთისთვის ნატყორცნი წუთიერი მზერა და რომლისთვისაც ერთი რომელიმე დედაკაცის ბაგეზე გამოსახული მიმქრალი თუ იქედნური ღიმილისა თუ ერთი რომელიმე მამაკაცის ჩამწყდარი ხმისგან იქმნება ისეთი ტრაგედია, რომელიც მარტო ამ ორ პიროვნებას კი არ მოიცავს, არამედ ბევრ სხვასაც, და, შეიძლება ითქვას, - ყველას.

და კიდევ ერთი: მთელი თაობები ცხოვრობენ ერთსა და იმავე დროში. ნიშანი და სასწაული ხდება ყველას თვალწინ, მაგრამ ეს მილიონები ვერ ამჩნევენ ვერც ნიშანს და ვერც სასწაულს. და ***რომც*** შეამჩნიონ, მაინც ვერ მიხვდებიან, თუ საიდან მოვიდა და რას მოასწავებს იგი. მაგრამ მათ შორის არის ხოლმე ***ვინმე***, ვისთვისაც ყველა ეს უჩვეულო კავშირი ხილული და ცხადია. კავშირი, რომელიც მან ხელოვნების იმ ხერხით უნდა შეინარჩუნოს, რომელიც ისევე აუხსნელი სახით მიეცემა მას, როგორც სმენის, ხედვის, ან შეგრძნების უნარები; და ეს იმ დროს, როდესაც სხვა დანარჩენი არის ყრუ, ბრმა და მუნჯი. სა-

---

Anton Wildgans. ***Gesang vom Menschen.*** Stiasny Verlag, Graz 1959, S. 68-71.

მყაროს აღსასრული, ახალი ერა, ისტორიის რომელიმე დიადი ეპოქა მას უეცრად წარმოუდგება ხოლმე ამღერებული ან – ეპიკური ნაწარმოების თავებად გარდაქმნილი და აზრობრივად მოწესრიგებული.

და კიდევ, მესამეც: დედამიწის არსებობის მანძილზე, ყველა საუკუნეში, უთვალავ ადამიანს უნახავს დილა-საღამოს მზის ამოსვლა და ჩასვლა, განუცდია სიყვარული, მიღწეულით სიამაყე, უარყოფით გამოწვეული ტანჯვა და მონატრების სიტკბო თუ სიმწარე. მრავალ მათგანს უგრძვნია, მრავალნი კი დღესაც გრძნობენ რაღაც მოუხელთებელს, იდუმალს, მარადიულს, რომელიც ცოცხლობს ამ სინამდვილისა და წარმავალის მიღმა. ენა დამძიმებული აქვთ იმით, რასაც შეიგრძნობენ, მაგრამ ვერ გამოუთქვამთ. მაგრამ მათ შორის ყოველთვის არის ხოლმე ***ვინმე***, ვისაც საიდანღაც, ალბათ მაინც სისხლისმიერი სიღრმეებიდან, ებოძება ხოლმე უეცრად ის სიტყვები, რომლებიც უმტკივნეულოდ და კანონზომიერად, პირველადვე და გამონაკლისის გარეშე, ემორჩილებიან მას და – ახალ რითმებად და თანახმიანობად აჟღერებულნი – იკვრებიან სიტყვათა მელოდიად, ლექსებად!

ის, ***რომ*** ეს ასეა და ***რომ*** ასეთი რამ ემართება მარტო ამ ადამიანს, და ეს მაშინ, როცა ათასობით სხვა მოკლებულია ამას, ისეთივე სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს, როგორიც არის დაუზიანებელი ღივებადობა პირამიდული ხორბლის სათესლე მარცვლისა, ან – ინდივიდუალურ მონაცემთა მემკვიდრეობითობა ფოტოპლაზმის მეშვეობით, ან – დედამიწის არსებობა თუ ვარსკვლავთა სახეცვლილებანი. ხოლო იმის პასუხი და მადლიერება, ვისაც ასეთმა სასწაულმა მუშაობის წყურვილი გაუღვიძა, უნდა გამოიხატებოდეს შრომაში!

რა ხდება ხოლმე, როდესაც, ამასთან დაკავშირებით, ლაპარაკი იწყება შრომაზე, რა იგულისხმება ამ, ერთი შეხედვით, კეთილგონიერი და დამრიგებლური სიტყვის მიღმა? პასუხი, რომელიც მხოლოდ ხატოვანი და ქარაგმული შეიძლება იყოს, ჟღერს შემდეგნაირად: სახეზეა მოვლენა, რა მნიშვნელობა აქვს, მსოფლიოს აღსასრულს შეეხება საქმე თუ ბალახის ღეროზე გარინდებულ ნამის წვეთს, და ამ დროს დიდი შფოთი ისადგურებს ამ მოვლენის გმირის სულში, ხმათა და სხეულთა, ადამიანურ სახეთა და სიტყვათა შფოთი. და მერე დგება წამი, რომელსაც ისე ვერ ეღირსები, თუ არ გააღვიძე და ხვეწნა-მუდარით კალთები არ დააგლიჯე; და, აი, უამრავი მუხრუჭითა და ნაკლოვანებით შემოსაზღვრულ სიმაგრეს გადმოხეთქავს გათავისუფლებული ნიაღვარი და ფურცელ-ფურცელ დაიფარება დაბანგულივით ფეხმოცელილი თუ რის ვაი-ვაგლახით დაურჩებული ასოებით, თითქოს გაუჩერებლად ბადიას ეზიდებოდეს ვინმე დაუშრეტელი ჭიდან, ან კარნახი ისმოდეს გარედან, ზემოდან. ეს არის აღმაფრენა. ამის შედეგია მხატვრული ნაწარმოების მონახაზი, ან სულაც ჩანაწერი. მაგრამ არის კი ეს უკვე ნაწარმოები? არსებობენ მწერლები, რომლებიც ამით იკვეხნიან, მაგრამ რეალური შედეგები სულ სხვა რამეზე მეტყველებს. სინამდვილეში, თუკი საქმე არ შეეხება მცირე ზომის ლირიკულ ლექსს ან სასიყვარულო სცენას რომანსა თუ პიესაში, სიმართლე უფრო ის არის, რომ იმ პირველმა ნიაღვარმა მოშალა და ამ გიჟური სრბოლისას თან წამოიყოლა უამრავი დანალექი დაუსრულებლობისა, ტალახი სრული ხელმოცარულობისა, უამრავი ფესვებიანად მოთხრილი ხე მეორეხარისხოვნებისა, სა-

ეჭვო საგუბარი შემთხვევითობისა. შეიძლება, ზოგიერთ ადგილას ეს დინება ისე დაიწმინდოს, რომ ფსკერზე კენჭის დათვლაც კი შეიძლებოდეს; ხანდახან შეიძლება ისე დაეუფლოს თავს და გაიყურსოს, რომ შინაგანად ნაგრძნობის თითქმის სრულყოფილად გადმოცემაც კი შეძლოს. მაგრამ ***სხვა*** ადგილას მაინც აიმღვრევა, დაიშლება და განტოტდება, ნაპირიდან გადავა, მიილევა და ხანდახან სრულად გაიჟონება ხოლმე ნიადაგში გარკვეული პერიოდის მანძილზე. ამ დროს ხდება იგი სწორედ იმაზე დამოკიდებული, ვისგანაც გაითავისუფლა თავი, სწორედ მან უნდა გაულრმავოს სადინარი და დააგუბოს, მან უნდა აუშენოს დამხმარე ნაგებობა და თავი სწორად მიუქციოს, უწინარეს ყოვლისა კი, იმაზე იზრუნოს, რომ შეუფერხებლად და აუმღვრევლად დაუბრუნდეს იმას, საიდანაც გადმოედინა: ღმერთს!

ეს არის სწორედ ხელოვანის შრომა. მისი მიზანია დაუნდობელი თვითკრიტიკის, მხატვრული აღქმის უნარისა თუ პროფესიული ოსტატობის დახმარებით მის მიერ სიტყვადქმნილი ნაწარმოები სრულად დაამსგავსოს იმ ხილვას, რომელიც თავიდან მოევლინა და წარმოადგენდა განგების საჩუქარს. მუზების მიერ შთაგონებული შემოქმედებითი აქტის ***ეს*** ფუნქცია კი შეიძლება მართო, მაგრამ შთაგონებას ვერ უბრძანებ. მაგრამ ხომ ურევია რაღაც ადამიანური იმაში, რაც ყველა სხვა შემთხვევაში მხოლოდ წმინდა ღვთიური იქნებოდა! და სწორედ ამ ადამიანურს ვუმადლით ჩვენ იფიგენიას სალექსო ფორმას, ან – იმას, რომ თავდაპირველი ოსტატისგან შეიქმნა "ვილჰელმ მაისტერის სწავლების წლები" და თავდაპირველი ტრაგიკული ფაუსტისგან - ტრაგედიის პირველი და მეორე ნაწილები.

შეიძლება თუ არა ამ გზით – ამ კითხვის დასმა ხომ მაინც შეიძლება – შემოქმედებითი აღმაფრენა შეიცვალოს ხელოვანის შრომით? ვაცხადებ გადაჭრით და ერთმნიშვნელოვნად: არასოდეს! არ არსებობს იმაზე მცდარი გამონათქვამი, რომელიც ამტკიცებს, რომ გენია არის სიბეჯითე. რადგან უნიჭოსა და ზოგიერთ შემთხვევაში გრაფომანის სიბეჯითის შედეგი მუდამ არის მკვდრადშობილი ქმნილება. ამავე დროს, ხელოვანის შრომას, გარდა იმისა, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას თვითკრიტიკის, მხატვრული აღქმის უნარისა თუ პროფესიული ოსტატობის დახმარებით, გააჩნია სხვა ეფექტიც:

ის, რაც ყოველთვის იწვის და იდაგება ნაწარმოების სამსახურში; ის, რაც მუდამ და მუდამ მოითხოვს ყველაფერ იმის მტანჯველ უარყოფას, რასაც ადამიანური ბედნიერება ჰქვია; ის, რომლის პროცესშიც შესაფერისი ეპითეტის პოვნა შეიძლება იქცეს დღის მთავარ მოვლენად, უმნიშვნელო შეფერხება კი - უამრავ ჯოჯოხეთურ ღამედ: ეს ყველაფერი არის ხელოვანის შრომა. მართალია, ის ვერასდროს გაუთანაბრდება შემოქმედებით აღმაფრენას, მაგრამ მას შეუძლია გაუმზადოს ამ აღმაფრენას გზანი სავალნი. ბოლოს და ბოლოს, განა მხოლოდ მას არ ძალუძს იმ კურთხეული მდგომარეობის გამოწვევა, რომლის გარეშეც სულ იოლად გამოგვეპარებოდა ის წამი, როცა ზეციური სასიძო მოდის ჩვენთან სტუმრად?

ალბერტ ერენშტაინი

ჭეშმარიტი ხელოვნებისა და უცხო ენების შესახებ

ინგლისელებს, ფრანგებს, ბელგიელებს, რუსებს, ან ბალკანელ წერა-კითხვის უცოდინართ, ანუ ყველა იმ ხალხს, რომელმაც ბრძოლის ველზე ვერაფერს მიაღწია, სურს კი, რომ საკუთარ თეატრებში მაინც, და შეძლებისდაგვარად იაფად, დაიკმაყოფილოს შელახული თავმოყვარეობა? წარმატებულ ხალხს არ სჭირდება მსგავსი თამაში ეროვნულ გრძნობებზე. არაფერს ვიტყოდი, თუკი თავიანთი შოვინიზმის გასაღრმავებლად ფრანგები ყველა ქალაქში შილერის „ორლეანელ ქალწულს“ წარმოადგენდნენ. გერმანელებს კი ეს არ სჭირდებათ. პატრიოტიზმი ისეთი რამაა, რაც თავისთავადია, წმინდაა და არ არის საჭირო მისი იმ დოზით მოწოდება, გაუთლელი და გარეგნულ ეფექტს გამოდევნებული სცენის ხელოსნები რომ მიიჩნევენ საჭიროდ. სამწუხაროდ, ბევრ ქალაქში ახლა ჩვევად იქცა „პატრიოტული“, ანუ ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული პიესების თამაში, რომელთა მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს მამულიშვილური გრძნობების გაღვივება. ნამდვილად პატრიოტული კი მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნება შეიძლება იყოს; კლაისტის ნებისმიერი სიტყვა ბევრად უფრო პატრიოტულია, ვიდრე ლაუფის ან ბლოემის მთელი შემოქმედება, რომ აღარაფერი ვთქვათ სისხლში ხელგასვრილ სხვა მედროვე პოეტთა უხეირო ნამუშევრებზე. ყველანაირ მტკიცებულებაზე მეტად ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ კლაისტის კომედია „გატეხილი დოქი“ გამოუთქმელად უფრო მეომრული, შემტევი, მამაკაცური და მშობლიურია, ვიდრე პოპულარულ თუ საგანგებოდ პატრიოტული მიზნებისთვის შექმნილ დეკორაციათა ყველა რევიუ თუ ჯარისკაცული პიესა. ჩვენს კლასიკოსთა მიერ შექმნილი დრამები ქმნიან ხელოვნებას, თანაც გერმანულენოვანს, რასაც, უდიდესი სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერ იტყვი ნამუსგარეცხილ მედროვეთა, ვითომდაც პატრიოტულ, სკანდალურ და ხმაურიან პიესებზე. მოკლედ და კონკრეტულად: გამოქექილ საქმოსანთა მიერ დადგმული ყველა ეს მასობრივი წარმოდგენა სხვა არაფერია, თუ არა „პატრიოტული“ ბაქი-ბუქი და ისეთი სისუსტის მანიშნებელი, რომელსაც კონკრეტული საფუძველი არ გააჩნია. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ჭეშმარიტად პატრიოტული და ხალხის უჭკნობი ყვავილობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები.

Albert Ehrenstein. ***Werke.*** Band 5. Herausgegeben von Hanni Mittelmann. Wallstein Verlag, Göttingen 2004, S. 73-77.

ჩვენ ვცხოვრობთ ერთი საგანგებო გამოცემიდან მეორემდე. კოშმარულ სიზმრებში კი საკუთარი ახლობლების დაჭრასა და მკვლელობას ვხედავთ. მაშასადამე, ვერც ძილში ვისვენებთ. ჩვენ გვჭირდება მოდუნება. კვირაში ერთხელ რომ თეატრში მივალთ, იქ მაინც არ უნდა გვიხსენონ ომი: ორ საათში იქიდან გამოსულებს ხომ მაინც ზღურბლთან დაგვიხვდება და გაზეთის გამყიდველთა გამყინავი შეძახილებით შეგვახსენებს თავს. გარემომცველი სამყაროს დროდადრო დავიწყების ამ სურვილში სულაც არ გამოსჭვივის მეტისმეტი მგრძნობიარობა ან სისუსტე. ზოგიერთ, პოეტური მადლით გამორჩეულ, სცენაზე წარმოთქმულ სიტყვას მართლაც შესწევს იმის უნარი, რომ აგვამაღლოს ყოველდღიურობაზე, ადამიანურ სისუსტეებსა თუ სხვა ამქვეყნიურ პრობლემებზე და გვაზიაროს ერთადერთს, ღვთიურს, მარადიულს. განა ამ თქვენს დიდ მსახიობებს, მართლაც რომ ნამდვილ პატრიოტებს, სიამოვნებთ კი, რომ იძულებულნი არიან ამ სასაცილო პიესების პატრიოტული გრიმი იკეთონ?! ისეთი პათეტიზმია, ვეღარ გაიგებ, თეატრის ომია თუ ომის თეატრი! ამ ვაშაპიესებში ატეხილი უგვანი ბათქა-ბუთქი კრიტიკოსს მხოლოდ იმას თუ მოაგონებს, რომ მშვიდობიან დროში იგი ქვას ქვაზე არ დატოვებდა ამ პიესისგან. მაგრამ ახლა თავს ერევა ხოლმე, მადლიერებას აღავლენს იმ გაბედულთა მიმართ, რომლებიც უძლებენ არა მარტო სიტყვების, არამედ ტყვიების წვიმასაც, თანაც ისე, რომ თვალსაც კი არ ახამხამებენ. რამდენიმე თვის წინ მწერალს და მსახიობს ხუთი აქტის განმავლობაში ასე აშკარად რომ გამოემჟღავნებინა ასეთი, უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი, გულგრილობა, ეს კრიტიკოსი ისე გავარდებოდა მახლობელ კაფეში, რომ პროლოგის გასვლასაც კი არ დაელოდებოდა. ახლა კი გმირულად უძლებს ამ აგრესიულ სისულელეს, ძრწოლვით მოელის ახალგაზრდული გემოვნების სრულ დაცემას და გულმხურვალედ შესთხოვს აპოლონს და მასთან ერთად ყველა მუზას მხოლოდ კლასიკური, მხატვრული სპექტაკლების მოვლინებას; ანუ ჭეშმარიტად გერმანული და ამდენად, მხატვრული თვალსაზრისითაც, პატრიოტული ნაწარმოებების.

მაგრამ ეს უნაყოფო სულიერი მოძრაობა, რომელიც მოითხოვს მხოლოდ ტენდენციურ და პლატონურ აზროვნებას და არ ენაღვლება, თუკი ამას შეეწირება გერმანული ან სხვა ხელოვნება, მარტო თეატრში როდია გამეფებული. ქუჩა გადაჭედილია ისეთი ხალხით, რომელიც პატრიოტიზმის ამ თავისთავად ნაგულისხმებ, ბუნებრივად თანდაყოლილ გრძნობას ასე უხამსი ფორმით ააშკარავებს. სამწუხაროდ, ავსტრიაში არ იგრძნობა ისეთ ადამიანთა ნაკლებობა, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად ირგებენ ამ შავ-ყვითელ სამოსელს, არც აბსოლუტურად მშვიდობიანად განწყობილი ისეთი ინდივიდებია ძნელი მოსაძებნი, რომლებსაც სჯერათ, რომ ამ შავ-ყვითელი ხერხით მოახერხებენ იმის დამტკიცებას, რომ ისინიც საჭირონი არიან და მათ არსებობასაც აქვს აზრი; მგავს მტკიცებულებას ხომ მათი ეგოისტური ბუნება და ჯიბე ამაოდ ელოდა უამრავი საქველმოქმედო დაწესებულებისგან. ეს პატენტპატრიოტები იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ მხოლოდ იმას აქვს უფლება, ქვეყნის ეროვნული დროშის ფერებით შეიმოსოს, ვინც მზად არის, ნებისმიერ დროს გასწიროს თავი. ასეთები კი მხოლოდ მეომრები და სანიტრები არიან. ჭეშმარიტ მამულიშვილად და ადამიანად ხომ მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, ვინც რაიმე ფორმით გამოხატა საკუთარი თავგანწირვა.

შეიძლება, საკუთარ თავში ამ საყოველთაო ჩაღრმავებამ და უკან დაბრუნებამ მართლაც გამოიწვიოს გარდატეხა სამშობლოს სიყვარულთან მიმართებაში. ამან კი მომავალში უნდა დაიცვას ჩვენი ახალგაზრდობა ყოვლად მოუხმარი უცხო ენებით ზედმეტი გადატვირთვისგან. აქ მე უნდა დავაყენო სასკოლო და აღმზრდელობითი პროგრამებიდან რომანტიკული ელემენტის, კერძოდ, ლათინური და ფრანგული ენების ამოღების საკითხი.

ყოველმა მეტ-ნაკლებად რიგიანმა გიმნაზიელმა იცის, რომ რომაელები იყვნენ ლიტერატურულ ორიგინალობას სრულიად მოკლებული ეპიგონები. შესაბამისად, ათასობით და ათიათასობით მოწაფე თუ სტუდენტი არსებობს, რომელიც თავისუფლად გადათარგმნის მათ – და არა ჩვენს – ჰორაციუსს თუ ყოვლად მდარე ლიბიუსს, მაგრამ, სამაგიეროდ, არ ესმით ჩვენი მისტიკოსების საშუალოზემოგერმანული, არადა ისინი ხომ ლათინებზე უფრო საჭირონი არიან ყველა გაგებით, იქნება ეს რელიგიური, ეთიკური თუ ფილოსოფიური. უსამართლოდ სულ უფრო და უფრო შევიწროებული ბერძნული კი, პირიქით, შემოქმედებითი და პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, ავტოქტონური კულტურის მქონე ხალხის ენაა. თავდაჯერებულ ელინებს ხომ აზრადაც არასოდეს მოუვიდოდათ, რომ მათ მიერ აოხრებული რომელიმე კულტურული ხალხის ისეთი ენა შეესწავლათ, როგორიცაა ბაბილონური, სპარსული ან ეგვიპტური; არც დიდ ჰიპოკრატეს უფიქრია იმაზე, როგორ გავამდიდრო ჩემი საუბარი ქალდეური გამონათქვამებითო. ამ დროს კი ჩვენში მიღებულია, რომ ექიმმა აუცილებლად უცხოური ტერმინოლოგია უნდა გამოიყენოს; გაუგებარია, რატომ არ უნდა შევებრძოლოთ ძველისძველი ენებით მოსწავლე-ახალგაზრდობის გადატვირთვის კულტს და რატომ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ყველაზე აუცილებლის სწავლებით. ჩვენთვის უაღრესად დასანანი იყო და ბევრი დროც შეიწირა იმან, რომ ალექსანდრემ დაწვრილებით გამოიკვლია სპარსეთის სამეფოს ყველა ის სისუსტე, ჯერ კიდევ მისმა (იდეურმა) წინამორბედმა ქსენოფონემ რომ დაადასტურა ათი ათასი ბერძენის დახმარებით, ნაცვლად იმისა, რომ მთელი თავისი ენერგია მიემართა დასავლეთისკენ და ამით ჩვენთვისაც აეცილებინა ამ ღარიბული ლათინური ენის შესწავლის აუცილებლობა... მაგრამ ალექსანდრე თუ შეცდა და ასე არ მოიქცა, ჩვენ მაინც შევეშვათ ამ ფუჭ საქმეს და ნუღარ გავფლანგავთ ტყუილად დროს: თუკი არ გვინდა, რომ დავადასტუროთ ჩვენი ენისა თუ სამართალმცოდნეობის სიმწირე, მაშინ მშობლიური ენა უნდა გავათავისუფლოთ იმ ცნებებისა და გამონათქვამებისგან, ასე რომ ეძვირფასება მკვდარი კულტურის მოყვარულ ზოგიერთ იურისტსა თუ მქადაგებელს. ვინც მომავალზე ფიქრობს, ის უნდა შეელიოს ვადაგასულ ხარახურას! უპირველეს ყოვლისა კი, წესად უნდა დამკვიდრდეს ის, რომ ავსტრია-უნგრეთის არაგერმანულ სკოლებში ყოველგვარ ძველ თუ ახალმოდურ უცხოურ ენებზე მაღლა ყოველთვის იდგეს გერმანული ენა!

რა თქმა უნდა, დღესდღეისობით ჩვენთვის ფრანგული ენა ბევრად უფრო საჭიროა, ვიდრე ლათინური. და არა იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანები საუბრობენ ამ ენაზე. თუმცა, ახალგაზრდობის გათავისუფლება მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ აღარ ვაიძულებთ იმ ხალხთა ენების შესწავლას, რომელთაც,

რომაელების მსგავსად, ***ფასდაუდებელი*** როლი ითამაშეს კაცობრიობის ისტორიაში; არამედ აღარც დაღმავლობის გზაზე მდგარი, 40 მილიონიანი ხალხის ენა უნდა მოვახვიოთ მათ თავზე. შერჩევითობის კანონი გვაიძულებს და უნდა გვაიძულოს კიდეც, რომ მასობრივად ხმარებულ უამრავ კულტურულ ენას შორის მხოლოდ იმას მივანიჭოთ უპირატესობა, რომელიც მარტოოდენ სასწავლო მასალად კი არ გამოგვადგება, არამედ ყველანაირად დაგვეხმარება თვითდამკვიდრებაში. თუკი კაცობრიობის მომავალი კეთილდღეობის პერსპექტივიდან ამოვალთ, მკვდარ ენათა შორის მხოლოდ ბერძნული თუ იმსახურებს კვლავაც მოფრთხილებას. ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკაზე გაბატონების სურვილი დედამიწის მოსახლეთაგან შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ანგლოამერიკელებს და აზიელებს. შექსპირის ენას აუცილებლად ექნება უპირატესობა ბოდლერისა და ვერლენის იდიომებთან შედარებით. შეიძლება, ამ მდგომარეობაში ჩაყენებული მოსახლეობისთვის ძნელი გასაგები აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ მომავალში ფრანგული ენა მხოლოდ დიპლომატების ურთიერთობის საშუალებად, თანაც კომპრომეტირებულად, იქცეს. რაც შეეხება მოგზაურებსა და ვაჭრებს, მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, თუკი შეისწავლიდნენ ესოდენ გავრცელებულ აზიურ დიალექტებს და მოითხოვდნენ დასავლური აზიური ენების, კერძოდ რუსულის, ან სულაც ჩინურის სწავლების შემოღებას.

მაგრამ ამ ომს და მისშემდგომ პერიოდს, ამ სასტიკ და დაუნდობელ დროს არ უნდა შეეწიროს შემოქმედება. შემოქმედებაში არ ვგულისხმობ თეოდორ კორნერის სადარ იმ სტრიქონებს, რომელთაც ზოგიერთი თავზეხელაღებული პოეტი, ენთუზიასტი პატრიოტი თუ ყოჩაღი დილეტანტიც კი დღესაც აწერს ხელს. მაგრამ თუკი თეატრი დაემორჩილება ამ ყოვლად უსარგებლო და ბარბაროსულ განწყობას, ათასობით ულუკმაპუროდ დარჩენილი მხატვარი, არქიტექტორი თუ მწერლი ჩათვლის, რომ ისინი ფუფუნების საგნების გამო გაიწირნენ და არსებობის ყველანაირი უფლება მოესპოთ. დღეს, ამ წიგნთმოძულე ხანაში ხომ მხოლოდ თეატრი წარმოადგენს იმის ერთადერთ მტკიცებულებას, რომ კვლავაც არსებობს შემოქმედებითი მისწრაფება. მისი დამსახურება იქნება სწორედ ის პატივი, უნივერსალურ ევროაზიურ განათლებას რომ მიეგება მომავალში; მისი დამსახურება იქნება სწორედ, რომ არავინ დაივიწყებს გარდასულ დროთა გერმანულ მისტიკოსებსა თუ პოეტებს.

ფელიქს ბრაუნი

სიტყვა ახალგაზრდა ხელოვანებისადმი

კაცობრიობის გამქრალ ან გაქრობის პირას მისულ არცთუ მცირე ავლადიდებას, რომელსაც თავის დასასრულს მეცხრამეტე საუკუნე სათანადოდ ველარ პატრონობდა, თუმცა ეს ავლადიდება ჯერ კიდევ შემორჩენოდა, მიეკუთვნება ესთეტიკაც, მოძღვრება მშვენიერების შესახებ. მართალია, ამ საგანზე დაწერილი წიგნების უმრავლესობა დღეს აღარ გამოდგება, მათ შორის ლამის – გოეთეს თხზულებანიც კი ხელოვნების შესახებ, მაგრამ კანტმა, ლესინგმა, განსაკუთრებით კი შილერმა თავის დროზე მაინც დაადგინეს ჭეშმარიტებანი, რომლებსაც დღეს, ფაქტობრივად, აღარავინ იყენებს. მშვენიერება საერთოდ სათუო რამ არის და სწორედ ეს სათუოობაა, რაც ევროპული ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობას განაპირობებს.

რომელიღაც ორიენტალურ ჟურნალში ერთი აზიელი მწერლის ნარკვევს წავაწყდი, რომელსაც სათაურად ჰქონდა "როდიდანაა ავად ევროპული მწერლობა?" ახლა ზუსტად ველარ ვიხსენებ, ეს დიდად ნაკითხი ავტორი რა თარიღს გვთავაზობდა, მაგრამ რაკი ბოდლერს, რემბოს, ფლობერს, ნიცშესა და დოსტოევსკის ახსენებს, ალბათ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი იგულისხმებოდა, როცა რაღაც ავადმყოფური ან ავადმყოფობით დაღდასმული რამ შემოიჭრა ხელოვნებაში. იმ წამს, როცა კლასიკურობას ახალი ელემენტი დაუპირისპირდა, რომანტიზმი იქნებოდა ეს თუ ნატურალიზმი, შეიცვალა საზომი, რასაც ხელოვნებისთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, ფორმის, პროპორციისა და კომპოზიციის საზომი, და ეს ცვლილება აუცილებელია, რადგან იგი – პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული ვიდრე ჩვენს დრომდე – ყველა კულტურაში მჟღავნდება, როგორც განმეორებადი მოვლენა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ სტილთა თანმიმდევრობა კანონზომიერია. მშვენიერება, როგორც ჰარმონიის გამოვლინება, ხანმოკლეა, ამ სახით იგი ერთ რომელიღაც მომენტში იჩენს თავსო, მითხრა ერთხელ ჰანს კაროსამ, როცა პალერმოში, ღამით ზღვისპირას გასულები, მეხუთე საუკუნის საბერძნეთზე ვსაუბრობდით. ხელოვნების ყოველი ასეთი დიდი ეპოქა მხოლოდ მცირე ხნით ასაზრდოებდა კაცობრიობას. გამონაკლისია ვენეციური მხატვრობის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც ზემოხსენებულ კანონს ემორჩილება, რაკი იგი ტიციანის ჰარმონიის შემდეგ ტინტორეტოს,ვერონეზესა და ტიპოლის შემოქმედებაში ფერთა უფრო ლაღ მუსიკას აძლევს გასაქანს.

Felix Braun. ***Anrufe des Geistes.*** Verlag Styria, Graz, Wien, Köln 1965, S. 9-24.

თუკი მშვენიერებას ჰარმონია ქმნის, როგორც ეს ბერძნულ ხელოვნებაში, იტალიურ რენესანსში და მეცხრამეტე საუკუნის ცალკეულ ქმნილებებში დასტურდება, მაშინ იგი ისეთ უაღრესად ანალიზურ ეპოქაში, როგორიც ჩვენია, შენარჩუნებული ვერ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ არსებობს მონუმენტალიზმის ხელქმნილი მშვენიერებაც, როგორიცაა ეგვიპტური ქანდაკებები და, აი, მეოცე საუკუნის სურვილები სწორედ მას უახლოვდება. მესამე ტიპის მშვენიერება სულის მშვენიერებაა, რასაც მოწმობს რომანული და გოტიკური საუკუნეების ხელოვნება. ბიზანტიური ხელოვნება ჯერ კიდევ კლასიკურად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც, სხვათა შორის, გონი ჯაბნის ფორმას, ხოლო ბაროკო მოძრაობის სასარგებლოდ მსხვერპლად წირავს მუსიკალური თუ რიტმული მშვენიერების აზრსა და ფორმას. აქედან გამომდინარე, ვინც ბაროკოს ხელოვნებაში, ხოლო მოგვიანებით რომანტიკულ პოეზიასა და მხატვრობაში იმ "სნეულს" დაინახავს, მას აღარც კი გაემტყუნება. და მაინც, სანამ ხელოვნება საკუთარ, გამორჩეულ ინსტანციად რჩება, სანამ რელიგიისა და სხვა სულიერი სფეროების გარდა მას სხვა უცხო არაფერი ეკარება, მანამ ღირებულებების რღვევის სიმპტომი მას არ გამოაჩნდება.

არისტოფანეს სასტიკი თავდასხმები ევრიპიდეზე, საბერძნეთის მესამე და უკანასკნელ ტრაგიკოსზე, დღეს უფრო გასაგებია, რადგან იქაც ესთეტიკაში მომხდარ ისეთივე ცვლილებებს ეხებოდა საქმე, როგორსაც დღეს ვხედავთ. ევრიპიდეს დრამებში ბედისწერის ძალა ახსნილია და ამდენად – შესუსტებულიც, მაშინ, როცა ესქილეს და ჯერ კიდევ სოფოკლეს ტრაგედიებში იგი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. იქ, სადაც რელიგია ეჭვმიუტანლად ბატონობს ადამიანებზე, ხელოვნება გაუბზარავია და მთლიანი, როგორიც იყო ეგვიპტური, ბერძნული, ბიზანტიური, შუა საუკუნეების, ჯერ კიდევ რენესანსის, მეჩვიდმეტე საუკუნის ჰოლანდიური, ნაწილობრივ ბაროკოს ეპოქისა და ცალკეული გვიანდელი მხატვრების შემოქმედება. პირველივე დაეჭვება ამღვრევს კონცენტრაციას. მისგან მომდინარეობს სურვილი, მოაწესრიგონ ადამიანის ქმედებანი, განიხილონ, ახსნან ისინი და რა ზომითაც ვითარდება სულისმცოდნეობა, იმ ზომით კარგავს აღწერის ძალა თავისთავადობასა და უეჭველობას. ესთეტიკურში იჭრება უცხო ელემენტი, პოეზიაში ჩნდება ფსიქოლოგიურობა და ტენდენციურობა, მუსიკაში – პროგრამა, სახვით ხელოვნებაში დეკორატიულობა ან ილუსტრაციულობა, განზრახულობა, ბოლოს კი აბსტრაქტულობა და, ყოველივე ამის გამო, სამივე სფეროში ჩნდება საფრთხე, სათანადოდ ვეღარ მოიწადინონ თავდაპირველი ამოცანის ამოხსნა. საბოლოოდ ამოცანა ამოუხსნელი რჩება, უფრო მეტიც, ამოხსნა თვითონვე ამოცანად გადაიქცევა.

მაინც რა გაჩნდა ზეცის იმ ადგილას, სადაც ოდესღაც მშვენიერების ვარსკვლავი ნათობდა? რა და, მრავალმნიშვნელოვანი საავდრო ღრუბელი. ჩვენ ჭექა-ქუხილის ეპოქაში ვცხოვრობთ. თუნდაც დადუმდეს გარეგანი ჭექა-ქუხილი, შინაგანი ელვა მაინც ფლეთს ზეცას და დედამიწას ბუგავს. მაშინ დინამიკურობა საფრთხედ ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა. განა მიქელანჯელო და შექსპირი საფრთხეს წარმოადგენდნენ? დინამიკურობა არ არის ის ძალა, რომელიც ისე შეიძლება ჩაენაცვლოს მშვენიერებას, როგორც თავის დროზე მიქელანჯელო ჩაენაცვლა რაფაელს. რასაც დღეს ხელოვნებისთვის უცხო პრინციპების ინვაზია სჩადის,

იმას შეიძლება სხვადასხვა სახელი დავარქვათ. ეს არის დაუნდობელი ანალიზურობა, რომელიც გასაქანს აღარ აძლევს სულის პასუხისმგებლობას, ესაა დაუნდობელი ტენდენციურობა, რომელიც არავითარ თავისუფლებას აღარ ცნობს. ეს არის სენსაციურობა, საინტერესო რამ, რომელიც ნერვებს ეხება და არა სულს, მას ეფემერული ზემოქმედება სწადია, ისეთი, როგორიც კინოს ან რადიოს ახასიათებს. ეს გახლავთ დროისმიერი მოვლენა, რომელსაც არამცთუ არაფერი წარმავალი აღარ ადარდებს, არამედ თვითონვე ჩაივლის ისე, რომ თავის სვლაში ჩაკეტილი, იმ ერთადერთ სამყაროსაც კი ვერ აღმოაჩენს, ხელოვანს ქმნადობისაკენ რომ მოუწოდებს.

ამიტომაც ჭარბობს ხელოვნების დღევანდელ სახეობებში ცდები, ეჭვქვეშ დააყენონ ისინი: მუსიკაში ჭარბობს დისონანსი, პოეზიაში – ანალიზი, სახვით ხელოვნებაში – უსაგნობა. გარეგანი ფანტაზია, გამომგონებლობა დაშრეტილია შინაგანის სასარგებლოდ, რომელიც თავის მხრივ აღარც შინაგანია და აღარც გამომგონებლური. არქიტექტორი, როგორც თავის ყურადსაღებ წიგნში აღნიშნავს ჰანს ზელდმაირი, ინჟინრის სასარგებლოდ ბევრ დათმობაზე მიდის. მრავალი ნიშანი მოწმობს, რომ ხელოვნებაში მეცნიერებას ეპატიჟებიან და სადაც კი ეს არ დასტურდება, იქ მაინც წამყვანი რჩება მეცნიერული ელემენტი, რომელიც კონკრეტულ სახეს აბსტრაქციას, შვიდ ტონს თორმეტ ტონს, ლექსს პროზას ამჯობინებს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი ნათელი აბსტრაქტული ქმნილებანიც არსებობს, როგორიცაა კანდინსკისა და კლეეს სურათები, ჰოლდერლინის ლექსებზე ჰაუერის მიერ შექმნილ სიმღერებს საკრალური ჟღერადობა აქვს და კიდევ, არსებობს არცთუ ცოტა ახალი ლექსი, სახელდობრ, ახალგაზრდა ავსტრიელებისა, რომლებიც დროს გაუძლებენ.

ეს, ცხადია, გამონაკლისი ან ერთეული შემთხვევებია. ამერიკულ, ინგლისურ, ფრანგულ, შვედურ ლირიკაზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა იმის დასანახად, რომ ეს ლექსი კი არა, ლექსს მიმსგავსებული სტრიქონების წყებაა, რომელიც მხოლოდ აზრს გვთავაზობს. აქ შეგნებულადაა ნათქვამი უარი იგავურ გარდასახვაზე, სიტყვის მუსიკაზე, უპირველეს ყოვლისა კი – გრძნობაზე. იგი არაფრისკენ არ მიისწრაფის, ტრანსცენდენტურობას არაფერს არ ანიჭებს, ბეტონის თანხმოვნებითა და ფოლადის ხმოვნებით შექმნილი ცივი პროზა პოეზიის კურთხეული სივრცის უზურპაციას ახდენს. ეს თანაბრად ეხება ხელოვნების სხვა სახეობებსაც, თუმცა შიგადაშიგ მაინც იქმნება ისეთი დიდებული ნაწარმოებები, როგორიცაა გუნდური სიმღერები ელიოტის ნაწარმოებში "მკვლელობა ტაძარში" ან ლორკას ლექსები და დრამები, როგორიცაა თუნდაც ალბან ბერგის "ვოცეკი" ან ორფის "აგნეს ბერნაუერელი" და "Catulli Carmina", როგორიცაა პიკასოს ნატურმორტები და ჰენრი მურის ქანდაკებები.

თუკი ამას ვაღიარებ, თქვენ მკითხავთ, მაშინ რაღას მოგვიწოდებთო? განა ისტორიიდან არ უნდა მესწავლა, რომ მასში აღნუსხული არ არის ადრეული უკან მოსაბრუნებელი გზები? განა მე, ხანდაზმულ ადამიანს, არ უნდა შემეძინა სათანადო გამჭრიახობა, რომ ყველაფერს, რაც კი ოდესმე შესაძლებელი გახდება, უფლება აქვს იარსებოს და აღიარებულ იქნას? და თუკი ის სწორია,

რაც შპენგლერმა წინასწარ განჭვრიტა, მაშინ რა უფლება მქონდა იმედი გამ-ჩენოდა, რომ ჩემი ერთი სიტყვა შეაჩერებდა იმას, რაც მას დაღუპვისაკენ მია-ქანებს? მაშინ დიდი ხელოვნების მაგალითები, რომლებიც დავასახელე, ტრაგედიის იმ მომენტისთვის შეიძლებოდა შეგვედარებინა, რომელსაც სურს ერთხელ კიდევ დააღწიოს თავი კატასტროფას და შეაჩეროს იგი. მაინც რა მსურს მე? რისთვის დავმდგარვარ აქ და რისთვის მოგმართავთ? რა ნაყოფიერი აზრი ან მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა ჩემს ვედრებას თქვენდამი? ანდა რა მიზანი ექნებოდა ასეთ საჭოჭმანო მოწოდებას? სულ ცოტა, ერთი რამ მაინც: თქვენთვის შემეხსენებინა, რომ ხელოვნება თავისი არსით ისეთივე უდროჟამოა, როგორც მევენახეობა ან საქსოვ დაზგაზე მუშაობა; გამეფრთხილებინეთ, რომ რევოლუციები ხელოვნებაში მხოლოდ ხანმოკლე საწყისებს წარმოადგენდნენ, რომლებიც განადგურებას კი არა, უფრო გზების გაკვალვას ესწრაფვოდნენ და რომ არც ერთ დიდ ხელოვანს არ შეიძლება სურდეს მრავალწლიანი რევოლუცია, რადგან მისთვის ქმნადობა ყველაფერია. დიდი ხელოვანი სინთეზისტია და არა ანალიტიკოსი, მას სურს ჩაეჭიდოს სიცოცხლეს, რათა სიკვდილს გამოსტაცოს იგი. მისი ექსპერიმენტი ესკიზია, იგი იდეის ხორცშესხმისას ექსპერიმენტს არ ატარებს. მას სძულს ეჭვი, ამბიციურობა, ნეგაცია, და ძალიან დიდი რომ არის, იმიტომაც ძალუძს შეჰბედოს ფსიქოლოგიას ან იმპრესიონიზმს, როგორც ეს შეძლეს დოსტოევსკიმ და ვან გოგმა.

ერთხელ, საუბარში ჰუგო ფონ ჰოფმანსთალმა მითხრა: "გერმანელებს ლიტერატურა არ გააჩნიათ: მათ ჰყავთ გოეთე და აქვთ საწყისები". ეს აზრი გამაოგნებლად სწორია და გერმანულ ლიტერატურას ყველა ლიტერატურისაგან გამოარჩევს, რომლებიც ვითომ ზედმიწევნით რადიკალური და რევოლუციური ჩანდნენ, მაგრამ მაინც დიდ ტრადიციებთან იყვნენ მტკიცედ დაკავშირებულნი. ჩვენთან ტრადიცია ყბადაღებულია. ესა თუ ის ხელოვანი თავის მომდევნოებს ჩირაღდანს რომ გადასცემს, როგორც ბელინიმ გადასცა თავისი ჩირაღდანი ჯორ-ჯონეს, ჯორჯონემ – ტიციანს, ტიციანმა – ტინტორეტოს, ტინტორეტომ ვერონეზეს, განა ეს ბუნებრივი თანმიმდევრობა ყველგან არ უნდა ყოფილიყო დაცული? ჰენდელმა თავისი მემკვიდრეობა გლუკს გადასცა, გლუკმა იგი დაუტოვა ჰაიდნს, რომელმაც იგი მოცარტს უწილადა და ასე შეგვიძლია მრავალი სულიერი გენეალოგიური ხე მოვხაზოთ. კოკოშკას პეიზაჟებში ჩანს ბაროკოს შტრიხები და განა არ ვიცით, ჰოფმანსთალი გრილპარცერთან რა მჭიდროდაა დაკავშირებული? ეს მიბაძვა არ გახლავთ, მიბაძვა პატარ-პატარა ტალანტების საქმეა. და მაინც შეიძლება მოხდეს ისე, რომ ასეთი გარდამავალი ხაზი გაწყდეს და ხანგრძლივი აღმოჩნდეს იმ წყვეტილობის ან სიცარიელის ხანა, რომელმაც მხოლოდ ახალი ცხოვრების სტიმული შეიძლება გააღვიძოს და მეტი არაფერი.

კარგახანია, - ცხადია, დროგამოშვებით, - იტალიურად ვკითხულობ ტორკვატო ტასოს მნიშვნელოვან ნაწარმოებს "გათავისუფლებული იერუსალიმი" და ვიცი, რომ თვით იტალიაშიც არცთუ ბევრი მცოდნე მოიძებნება ამ დიდი პოეზიისა, რადგან ეპოსი, როგორც პოეზიის ჟანრი, შპიტელერის "ოლიმპიური გაზაფხულის" შემდეგ აღარ არსებობს და ამაოა მისი განახლების გერჰარტ

ჰაუპტმანისეული პატივმოყვარე ცდები. იგივე ითქმის ანტონ ვილდგანსის "კირბიშზეც". მაგრამ არის კი ხელოვნების ამ ფორმის ჩაკვდომის ფაქტი აღიარებული, ისევე, როგორც ისტორიული სურათისა ან იქნებ გულისტკივილით ისიც უნდა ვაღიაროთ, სიმღერის ფორმაც რომ აღარ არსებობს და ამიტომაც ჯერ კიდევ ცოცხალ ხელოვანთ შეზღუდული აქვთ შემოქმედებითი თავისუფლება? განა ბალადაც გამქრალი არ არის? განა ლექსად დაწერილი დრამა კი ძლებს სცენაზე, მაქს მელის პოეტურ თამაშობებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში და ელიოტისა და ფრის მონდომებას, დრამატულ ლექსს რომ არ ღალატობენ? სხვათა შორის, დიდებულების წარმავლობაზე საწუწუნოდ არ მიხსენებია "გათავისუფლებული იერუსალიმი", ამას ორი მიზეზი აქვს, რომელთა დაწვრილებით განხილვასაც აქვე ვაპირებ.

ვისაც ამ პოემის თუნდაც ერთი სტროფი მაინც წაუკითხავს, არ შეიძლება აღტაცება არ დაუფლებოდა ლექსის ფილიგრანული დამუშავების გამო. სადავო არ არის, რომ რომანული ლექსი უფრო მეტ სიმკაცრეს მოითხოვს, ვიდრე შედარებით თავისუფალი გერმანული და სლავური ლექსი. ცხადია, ჩვენ უცხო წესებს ვერ ჩავებღაუჭებით, რომლებიც დღეს საფრანგეთსა და იტალიაშიც შერყეულია, მაგრამ ხელოვნებას სრულყოფილება ან ხელმისაწვდომი საზომი მაინც სწადია, რომელიც მნიშვნელოვანი კანონების დაცვას გვიბრძანებს. ასეთი სიმკაცრე ახასიათებს ყველა დროის დიდ ხელოვნებას, როგორც პრეისტორიულს, ასევე თანამედროვეს. ის, ვინც სახელდახელოდ მსჯელობს პოეტურ ხელოვნებაზე, ხომ უნდა დაფიქრდეს, რომ კლოპშტოკის "მესიას", რომელსაც დღეს აღარავინ კითხულობს, ათი ათასიდან არცერთ ლექსში ერთი ჰიატუსი არ ურევია და იგი ჟან პაულის პროზაშიც კია უარყოფილი? რასაც დღეს პოეტურ ხელოვნებად გვთავაზობენ, ის სხვა თვალით უნდა დავინახოთ: იმასთან, რაც ადრეულ ხანაში ყველა ერის ლექსში არსებობდა, მას ცოტა რამ თუ აქვს საერთო.

გარდასახვა ხელოვანისგან, განსაკუთრებით კი პოეტისგან, დიდ ხელოვნებას მოითხოვს. გარდასახვა შედარებით, ენის მუსიკით, სახის სიმბოლოდ ქცევის მეშვეობით მიიღწევა. გამონათქვამი ჯერ კიდევ არ არის ხელოვნება. ამ აზრს თუ გავიზიარებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ აბსტრაქციაც შეიძლება გარდასახვა იყოს, ისევე როგორც დოდეკაფონია და დისონანსი. მაგრამ პოეზია, რომელიც გარდასახვას მოკლებულ, უბრალოდ ნათქვამ სიტყვად რჩება, მხოლოდ მეტყველებაა და არა პოეზია.

შეიძლება კი დღეს არსებობდნენ ისეთი პოეტები, როგორიც ტასოა? სადღა არიან ისეთი პოეტები, რომელთა ამოცანა ერთადერთი ნაწარმოების შექმნაა, რომელსაც მთელ სიცოცხლეს უძღვნიან? ამაღლებულის უკანასკნელი მაგალითი "ფაუსტი" გახლავთ. რა მოწოდებაა ეს, რამაც ოდესღაც ხელოვანი წინასწარმეტყველის რანგში აიყვანა და სხვებისგან გამოარჩია? რაკი ტასო ვახსენეთ, აუცილებელია გავიხსენოთ, რომ მამამისი ბერნანდო ცნობილი პოეტი გახლდათ, რაც უფლებას გვაძლევს მემკვიდრეობითობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ახალგაზრდა ავტორს კიდევ ერთი მემკვიდრეობა ერგო, სახელდობრ, ლექსის ფორმა – რვასტრიქონიანი სტანცა, ოტავერიმი, რომელიც მან თავის ეპოსს

მოარგო. ტასომ ეს ფორმა თავისი დიდი წინამორბედისგან, არიოსტოსგან გადმოიღო, ოღონდ იგი არც არიოსტოს აღმოუჩენია, ისევე, როგორც შექსპირს არ გამოუგონია ხუთსტრიქონიანი იამბი. შექსპირი ამ ფორმას და როლანდის მითის მასალას თავის წინამორბედ ბოიარდოს უმადლის, რომელსაც წილად არ რგებია თავის მომდევნო პოეტების დიდება. ასევე უმადლიდა გოეთე "ჰერმან და დოროთეას" ფორმას ვოსის "ლუიზეს" და ხელოვნების ისტორია სავსეა ამგვარი მაგალითებით. მაინც რა უნდა ეთქვა კრიტიკას ასეთ აშკარა სესხებაზე? განა არ მართებდა გაეკიცხა მიმბაძველობა? მაგრამ სადღა მიაგნებდა ამ თავდაპირველ მაგალითებს? ის კრიტიკოსი, ვინც ტრადიციას პატივს არ სცემს, განა არიოსტოსა და ტასოს შეფასებას შეძლებს? განა შექსპირი მარლოსგან არ მოდის? განა ელისაბედის თეატრის სამეფო დრამა მარლოს "ედვარდ მეორით" არ იწყება? და, მიუხედავად ამისა, შექსპირი დიდია მარლოზე. მაინც რითი? ტასო არიოსტოზე დიდი არ არის, მაგრამ მან, ასე თუ ისე, მაინც მიაღწია სრულყოფილებას. ამრიგად, ტრადიცია ესთეტიკური ვალი კი არ არის, არამედ იგი ხელს უწყობს ფორმის განწმენდას და საქმეც სწორედ განწმენდილ ფორმას ეხება. ამ პოსტულატს საკამათოდ ვერ გავხდი.

რაკი ასეა, ანუ რაკი ხელოვნებას ფორმა სჭირდება, უფლება მაქვს ახალგაზრდა ხელოვანებს მოგიწოდოთ, მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე მიეცეთ მუსიკას, პოეზიას, მხატვრობას, ქანდაკებას, ცეკვას, არქიტექტურას. უფლება მაქვს გთხოვოთ, ამ მოწოდებას ისე სერიოზულად მოეკიდოთ, როგორც რელიგიურობამდე ამაღლებულ სიყვარულს, იმედსა და რწმენას მოეკიდებით. მე გთხოვთ, მცდარად არ გაიგოთ თქვენი ამოცანა და თვალი დროებით ფასეულობებს არ მიაპყროთ. არ გაუგონოთ იმ მწერლებს, ეპოქის სულზე ჭკვიანურად რომ ლაპარაკობენ! დრო წარმავალია, ხელოვნება კი წარუვალობას მოითხოვს. ხელოვნებას სურს სამყაროს სურათი შექმნას. იგი სამყაროს ერთგულია, რადგან სულის ალს მხოლოდ ვარსკვლავებში ან ვარდებში კი არ ხედავს, არამედ მას ბალახის პაწია ღეროშიც და ქვაშიც ჭვრეტს. მართალია, სამყაროც წარმავალია, მაგრამ საკუთარ თავშივე არა, როგორც ეს დრო-ჟამს სჩვევია. დაავიწროვეთ დროის შეგრძნება, გაიფართოვეთ სამყაროს შეგრძნება და თვალსაწიერი! მუსიკა იმ სფეროების ჰარმონიაში მთავრდება, საიდანაც იგი ჩვენთან ჩამოვიდა, პოეზია – ღვთიურ საქმეთა განდიდებაში, რომელთაგანი იგი თავად შეიქნება, სახვითი ხელოვნება კი შეთავაზებულის მიღებასა და ზეციურშივე დაბრუნებაში ჰპოვებს თავის დასასრულს.

თუკი მიზანს ასე ავიმაღლებთ, მაშინ მივხვდებით, რომ მის მისაღწევად ერთი სიცოცხლე არ კმარა. უსასრულო სასრულში – განა ეს აზრი სასოს არ წარგვიკვეთს, როცა პაწაწინა წარმატებას მივაღწევთ ხოლმე? გენიოსს, თუნდაც ყველაზე დიდს, არასოდეს სძულებია შრომა და გარჯა და არც იმ კანონებზე უთქვამს უარი, მასალის კომპოზიციისკენ, გამოსახვის მკაცრი კანონებისკენ, რიტმული ცვალებადობისკენ რომ მიგვიძღვებიან. მას არასოდეს გაუბედავს დაერღვია პირველქმნილი პრინციპი,რომელიც თავისი ბუნებით მათემატიკურია. მათემატიკა ღმერთების ენაა,ნათქვამია ნოვალისის ერთ ფრაგმენტში. ეგვიპტური და ბერძნული ტაძრები მათემატიკური, უფრო მეტიც, ასტრონომიული წესების მიხედვითაა

ნაგები, სვეტებშორისები ისეა გამოთვლილი, რომ ნაშთი არსად რჩებოდაო, წერს პოეტი ალბერტ შეფერი თავის წიგნში ეგინას ტაძრის შესახებ. კარგად დავფიქრდეთ ამაზე, სამშენებლო ხელოვნების შეგირდნო! თქვენ კი, მხატვრებო, ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობის" გეომეტრიულ კომპოზიციაზე ან რაფაელის "დისპუტის" ელიფსზე იფიქრეთ, რაზეც სიამოვნებით იჩეჩავთ ხოლმა მხრებს. თქვენ კი, პოეტებო, იმაზე იფიქრეთ, რომ კლასიკოსების გაკვალულ გზებს უყურადღებოდ აღარ მოეკიდოთ. ნუთუ, ამაოა ყველაფერი, რასაც ლესინგი, ჰერდერი, გოეთე, შილერი გვასწავლიდნენ? განა სავალალო არ იქნება გაგრძელდეს ახლანდელი ამორფული მდგომარეობა?

მაინც საიდან იღებს დასაბამს იგი? ვცდილობ პასუხი გავცე ამ კითხვას და ერთი შეხედვით საკუთარ თავს უნდა შევეწინააღმდეგო. მე თქვენ მოგიწოდეთ, შეგერბილებინათ დროის შეგრძნება, მაგრამ ხელოვანი ხომ თავისი დროის შვილიცაა, დღეს კი იგი შვილზე მეტიცაა, თუ გნებავთ, მას მარტვილსაც კი დავარქმევდი. ხელოვნებას სამი მოსისხლე მტერი ჰყავს: ატომის გახლეჩა, ფსიქოანალიზი და მასების ამბოხი, როგორც ოტეგა ი გასეტი უწოდებს სოციალურ რევოლუციას. სამივე საფრთხემ იქონია გავლენა პიკასოს სტილის ჩამოყალიბებაზე. თუკი არ არსებობს ერთი მთლიანი სული და არსებობს მხოლოდ კომპლექსები, მაშინ ვეღარც ადამიანის სახე იარსებებს, რომელიც ისევე დაიშლება, როგორც ამას ფიზიკა გვასწავლის. მაგრამ იგივე ფიზიკა ატომგულის ირგვლივ ელექტრონების ბრუნვას მზის ირგვლივ პლანეტების ბრუნვას ადარებს და ამგვარად იგი, ეჭვებს რომ ბადებს, მაშინვე უკან, რწმენისაკენ გვიბიძგებს ხოლმე; ის, ვინც ეჭვის უფსკრულში ჩადის, უკუნეთიდან კვლავ ვარსკვლავებს ჭვრეტს. ტამინოს ჯადოსნური ფლეიტა ხსნას თანამედროვე ადამიანსაც რწმენის მეშვეობით ჰპირდება.

თვით მასების ამბოხიც კი იძლევა მსგავსი სიკეთის იმედს. მაინც რა ზომით? ნუთუ მას ცალკეული ჩაგრულის საკეთილდღეოდ ტირანული კოლექტიურობა სურს? მას სურს ან უნდა სურდეს ეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას განვითარების უფლება აღარ რჩება. გოეთეს ცნობილი გამონათქვამი, რომელიც პიროვნულობას "დედამიწის შვილების უზენაეს ბედნიერებად" მიიჩნევს, მოულოდნელი აღმატებითი ხარისხი ხომ არ არის? განა სიყვარული არ არის ჩვენი უზენაესი ბედნიერება? ეს აზრები, როგორც ჩანს, შესაწყნარებელი აღარ არის. რენესანსის ეპოქაში და მის მიმბაძველ მეცხრამეტე საუკუნეში ხელოვნება პიროვნებას, მის მოვლა-პატრონობასა და განდიდებას ემყარებოდა. რა ხელოვნება შეიძლება არსებობდეს ჩვეულებრივზე ზეაღმატებული ადამიანების გარეშე? ჩვენ ვიცით, რომ ხელოვნების დიდი ეპოქები არ ასახელებდნენ და არ განადიდებდნენ ხელოვნების მსახურთა სახელებს და ახალგაზრდობა დღესაც ანონიმური ხელოვნებისკენ მიილტვის. ეგვიპტური,ბერძნული,რომაული ხელოვნების ქმნილებების, ბიზანტიური მოზაიკების, რომანული და გოტიკური ტაძრების შემოქმედთა სახელებს იშვიათად თუ მოუღწევიათ ჩვენამდე. საბერძნეთში პიროვნებას მხოლოდ პერიკლეს ეპოქის შემდგომ პერიოდში მიეზღო სათანადო პატივი და გოტიკური ნაგებობების ცალკეული ოსტატები – ერვინ ფონ შტაინბახი, ჰანს ფონ პრახატიცი, ანტონ პილგრამი – ცნობილი არიან ჩვენთვის. ანონიმურობა ღვთაებრიობის სამსახურს

ნიშნავს. ვინ იცის სელინუნტის მეტოპების მოქანდაკეთა სახელები, რომელთა ქმნილებები იმ სიმაღლეზე იყვნენ აღმართულნი, რომ მათი ჭვრეტა მხოლოდ ღმერთებს შეეძლოთ? ვინმემ თუ იცის რავენასა და ცეფალუს მოზაიკის ოსტატთა სახელები? დიახ, ასე სწირავდნენ ღმერთს თავიანთ ხელოვნებას უსახელო ოსტატები. ანონიმურობას ფესვები რწმენაში ჰქონდა გადგმული. დღეს რაღა გამართლება მოიძებნება საამისოდ? თუკი რომელიმე თქვენგანს დადებითი პასუხი მოეძევება, ეს ნუგეში იქნება ჩვენთვის. უარყოფითი პასუხები უხვად არსებობს. ისინი ეგზისტენციალიზმმა არცთუ უსაფუძვლოდ მოგვაყარა, მაგრამ ნიჰილიზმი უნაყოფოა და გოეთეს გვიანდელი გამონათქვამი, "რაც ნაყოფიერია, მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი", დღეს ისე მყარია, როგორც არასდროს.

მე მრავალ შეხედულებას შევეხე – იმაზე მეტს, ვიდრე ერთ დამკვირვებელს ძალუძს – და საწინააღმდეგო აზრებსაც განგებ არ მოვრიდებივარ. რაღა დამრჩა გირჩიოთ? ყოველი თქვენგანი ხანგრძლივი, მკაცრი თვითგამოცდის შემდეგ უნდა მიხვდეს, რა არის მისი მოწოდება. ხელოვნების სფეროში მოღვაწეობისთვის ნიჭი საკმარის უფლებას არ იძლევა. ყოველი ბავშვი გენიოსია, ყოველი ახალგაზრდა – ტალანტი, მაგრამ ამ ტალანტს მთელი სიცოცხლე უნდა მისდიო. რილკეს შეკითხვას ერთი ახალგაზრდა პოეტისადმი (რომელიც, სხვათა შორის, დიდი ვერაფერი პოეტი დადგა) – მოკვდებოდით, ლექსების წერა რომ აღარ შეგძლებოდათო, მეც გისვამთ და მოველი, რომ თქვენი პასუხი გულწრფელი იქნება. მეორე მხრივ, თითოეული თქვენგანი არანაკლებ გულწრფელად გაიცნობიერებს იმ ფარგლებს, რომელთა გადალახვის იმედი არასოდეს ექნება. ჩვენ ყველანი უნდა დავიბნეთ, შევცდეთ, რაღაცაზე ვთქვათ უარი – ეს დასახული გზის საპოვნელად არის საჭირო. ჩვენი შეცდომებიც, ჩვენი დაბნევაც, უარყოფაც ჩვენ გვეკუთვნის, ისინი ჩვენი შემადგენელი ნაწილია. დამარცხების ნუ შეგეშინდებათ! დასეტყვილ მარცვლეულს წამოდგომა ძალუძს. მხოლოდ ნაუცბათევი გამარჯვების გეშინოდეთ! გამარჯვების მზეს ძალა შესწევს გადაბუგოს მომავალი მოსავალი. ახალგაზრდა ხელოვანებო, გეშინოდეთ მხოლოდ ერთი სიავისა: არ დაუშვათ კომპრომისი მხოლოდ გარეგნული მოგების ხათრით. ვინც ამას სჩადის, იმას შეწყალების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ასეთ ხელოვანზე უარი უნდა ვთქვათ. იგი გამოეთიშება იმ საიდუმლო ორდენს, რომელსაც ხელოვნების ყველა ერთგული მსახური მიეკუთვნება, ერთმანეთთან რა შეურიგებლებიც უნდა იყვნენ ისინი. და თუ სიცოცხლის დასასრულს თქვენი ნაღვაწი ამაო აღმოჩნდება, რის განსჯის უფლება მომდევნო თაობას ყოველთვის არცა აქვს, ეტყობა, ნებისმიერი მსახურება ნაკლებად ამაოა, ისევე, როგორც – კარგი საქმენიც, რომელთაც არავითარი შედეგი არ მოჰყვება ხოლმე.

ერთი რამ მინდა კიდევ გიამბოთ. ძველ, ღვთისმოსავ რუსეთში ხატმწერისათვის არ კმაროდა ხელობის ცოდნა. ეკლესია ხატწერის უფლებას მხოლოდ იმ მხატვრებს აძლევდა, ვინც უმწიკვლო ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ სამაგიეროდ ასეთ მხატვარს ლამის ისეთივე პატივს მიაგებდნენ, როგორც – იმ სასულიერო პირს, ვინც იერარქიის მეორე საფეხურს მიაღწევდა. ასეთ მოთხოვნებს, რამდენადაც ვიცი, მხატვარს სხვა ქვეყნებში არ უყენებდნენ. მე მგონი,

დღეს თქვენ ასეთივე ღირებულება გენიჭებათ. ცხადია, საერო ცხოვრებაშიც მჟღავნდება სულის სიწმინდე. განა რელიგიურ მხატვრობაში ვგრძნობთ განსხვავებას ბიზანტიურ ღვთისმშობელსა და რაფაელის მადონას შორის? სიწმინდეს ვგრძნობთ რემბრანდტის სურათებში, განყენებულობას ვხედავთ იზენჰაიმერის საკურთხეველში თუ ტოლედოს სანახებში. ვიცი, ზოგი რამ შეიძლება ჩემი მოწოდებისთვის საზიანო აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ ხელოვნება ტრანსცენდენტური უნდა იყოს. არატრანსცენდენტური ხელოვნებაც შეიძლება გენიალური აღმოჩნდეს,ოღონდ იგი იშვიათად თუ შეგვძრავს და დაგვიპყრობს. ყოველი სურათი, რომელსაც ვხატავთ ან ვთხზავთ, ყოველი ბგერათა წყება, თუნდაც იგი სასულიერო მუსიკად არ იყოს ჩაფიქრებული, უფრო მაღალი ჰარმონიის მაუწყებელი უნდა გახდეს. ხელოვანს მხოლოდ მიწიერი სამშობლო არ გააჩნია, იგი იმ წინაპრებში სახლობს, რომლებიც მიღმა სამყაროდან იღებენ დასაბამს. ეს აზრი რომანტიკულად არ უნდა გავიგოთ. ეს რწმენის რეალობა გახლავთ, რომელიც შესაძლებელს ხდის "ორივე სფეროდან ფართოდ ამოიზარდოს" და დაგვარწმუნოს, რომ ამ ორ სფეროს შორის არაფერი ისეთი ტრაგიკული არ ძევს, რომლის შემაძრწუნებელი მაგალითები ხელოვანთა ბიოგრაფიებში ასე უხვად მოიძებნება. სწორედ ამ შიშისგან თავის დაღწევა და მისი გადალახვა წარმოადგენს ახალი ეპოქის ხელოვანთა ამოცანას. აი, მაშინ შეიძლება პიროვნული უსახელოსთან, შემოქმედებითი – რელიგიურთან, ხოლო წარსული მომავალთან შეუღლდეს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ანტონ ვილდგანსი

ზევით ატყორცნილი მზერა
პწკარედი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის
მარტოობის ბედნიერება
პწკარედი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის
შუადღის დასვენება
პწკარედი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის
საყვარელი მიდამოსადმი
პწკარედი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის
მე ქალაქის შვილი ვარ
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
ავსტრიული სიმღერა
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
ავსტრიული მრწამსი
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
მცირე ყოველდღიურობანი
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
მსახურები
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
ახალგაზრდა მოსამართლისადმი, რომელიც ფიცს დებს
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
ტუსაღები
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
წმინდა შემოდგომა
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
კამერული მუსიკა
პწკარედი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი გია ჯოხაძის
მბჟუტავი წამი
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
უკანასკნელი აღსარება
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
კიდევ ერთი დღე მიიწურა
პწკარედი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტერატურული თარგმანი გია ჯოხაძის
ლექსი, მიძღვნილი იარაღასხმულ ხალხისადმი
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ომში მომართვა ღვთისადმი
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი

ჩემი ბავშვის თვალსაზრისით
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ჩემი ძველი ვიოლინო
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ნაირ-ნაირი ხალხი მესტუმრა
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
შედეგი
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ციკლიდან სონეტები ედის
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
წარუმატებლობის ელეგია
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
გაზაფხულის ბალადა
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
მითი შემოდგომისა
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ღრმა გამოხედვა
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ადაჯიო ჩელოსათვის
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
შუა ქალაქში
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
მხოლოდ მსურს მაინც
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ერთ უცნობს
პწკარედი ნატო თხილავასი, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი

ალბერტ ერენშტაინი*

დილის ლოცვა *თარგმანი დალილა ბედიანიძის*
Ich bin des Lebens und des Todes müde
მე დავიღალე სიცოცხლითაც და სიკვდილითაც *თარგმანი ნინო დარბაისელის*
ეროსი *თარგმანი ნინო დარბაისელის*
მეზღვაურული *თარგმანი ნინო დარბაისელის*
ომის ღმერთი *თარგმანი ნინო დარბაისელის*
კასტილიელი ბერნალ დიასი *თარგმანი ზვიად რატიანის*
გეორგ თრაკლი *თარგმანი ზვიად რატიანის*
დედა *თარგმანი ზვიად რატიანის*
ღამის ლოცვა *თარგმანი ნინო დარბაისელის*

---

* *ალბერტ ერენშტაინის ყველა აქ წარმოდგენილი ლექსის ქართული პწკარედი შესრულებულია* ***ნანა გოგოლაშვილის*** *მიერ.*

ძახილი *თარგმანი ნინო დარბაისელის*
ვერცხლის ქორწილი *თარგმანი ნინო ჟორჟოლაძის*
სურვილი *თარგმანი ნინო ჟორჟოლაძის*
შეკითხვა *თარგმანი ნინო დარბაისელის*
საყდარი მინდვრად *თარგმანი ზვიად რატიანის*
ღმერთის სიკვდილი *თარგმანი ზვიად რატიანის*
ქადაგება *თარგმანი ნინო დარბაისელის*
ხორცი *თარგმანი ნინო დარბაისელის*
გამარჯვება *თარგმანი გიორგი კეკელიძის*
საშველად ხმობა *თარგმანი შარლოტა კვანტალიანის*
სიკვდილს *თარგმანი შარლოტა კვანტალიანის*
უძლურება *თარგმანი შარლოტა კვანტალიანის*
მომაკვდავი ევროპა *თარგმანი მერი შალვაშვილის*
ხმა ბარბაროპას თავზე *თარგმანი მერი შალვაშვილ*
მოკლულ ძმას *თარგმანი გიორგი კეკელიძის*
დიდი ქალაქი *თარგმანი გიორგი კეკელიძის*
მელანქოლია *თარგმანი გიორგი კეკელიძის*
გამოთხოვება *თარგმანი გიორგი კეკელიძის*
მეკობრეთა სიმღერა *თარგმანი გიორგი კეკელიძის*
საწყისი *თარგმანი დალილა ბედიანიძის*

ფელიქს ბრაუნი

მკითხველი
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
მარადისობა
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
შინაგანი ცხოვრება
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
მე
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
იმედი
პწკარედი შორენა შამანაძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
წმინდა ექო
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ასტროლოგია
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ლოცვა
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
მუზის დამშვიდობება
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი

ზალცბურგული სონეტები
პწკარედი შორენა შამანაძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ვაჟიშვილი
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
სირიელი ქალი
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ომი და უცნობი ქალაქში
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
წმინდა აგატას ფეხი
პწკარედი შორენა შამანაძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
წინასწარმეტყველება
პწკარედი შორენა შამანაძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
სტუმარი
პწკარედი შორენა შამანაძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
შეღამება
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
ერთი მისტიკური შეგონების მიხედვით
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
გამოეთხოვე
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
უხილავი ძელსკამი
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
სიცარიელე
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
სული
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
ოდა წყლისპირას
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
შემოდგომის ოდა
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
წვდომა
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
დაიკო
პწკარედი მაია ბადრიძის, ლიტერატურული თარგმანი ბათუ დანელიასი
გულისძგერა
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
მეგობარი
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
Der Tod der Geigerin
მევიოლინე ქალის სიკვდილი
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
ოდა სიკვდილს
თარგმანი დალი ფანჯიკიძის

საიდუმლო
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
ზიარება
თარგმანი დალი ფანჯიკიძის
სიტყვა
თარგმანი დალი ფანჯიკიძის

დანართი

ანტონ ვილდგანსი

შემოქმედებითი აღმაფრენისა და ხელოვანის შრომის შესახებ
თარგმნა შორენა შამანაძემ

ალბერტ ერენშტაინი

ნამდვილი ხელოვნებისა და უცხო ენათა შესახებ
თარგმნა შორენა შამანაძემ

ფელიქს ბრაუნი

სიტყვა ახალგაზრდა ხელოვანებისადმი
თარგმნა დალი ფანჯიკიძემ